

See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/316822820>

# Contrastive Phonetics of Languages / in Georgian / /On the material of Georgian, English, German and Fr....

Book · May 2017

CITATION

1

READS

380

3 authors, including:



**George Kuparadze**

Ivane Javakishvili Tbilisi State University

36 PUBLICATIONS 2 CITATIONS

[SEE PROFILE](#)



**Ivane Lezhava**

Ivane Javakishvili Tbilisi State University

4 PUBLICATIONS 2 CITATIONS

[SEE PROFILE](#)

Some of the authors of this publication are also working on these related projects:



Phraseology - Cultural Code of Ethnicity (On the material of French, English, and Georgian languages)  
[View project](#)



Analysis of formal and informal address in western and eastern cultures on the material of English and Turkish languages [View project](#)

# ენათა შევირისპირებითი ფონეტიკა

ქართული, ინგლისური,  
გერმანული და ფრანგული  
ენების მასალაზე

ზიურის ანკლადიანი  
ივანე ლეჟავა  
გიორგი ყუფარაძე

თბილისი  
2017

# ენათა შიკირისპირებითი ფონეტიკა

(ქართული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების მასალაზე)

## **Contrastive Phonetics of Languages**

(On the material of Georgian, English, German and French languages)

თბილისი  
2017

## ISBN

ნაშრომში წარმოდგენილია ქართული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების შეპირისპირებითი ფონეტიკური ანალიზი, ამ ენათა ბგერითი წყობის შეპირისპირებითი აღწერა. ნაშრომი შესრულებულია ლ.არმსტრონგის, გ.ახვლედიანის, ფ.ბეიერის, ლ.გამსახურდიას, შ.გაფრინდაშვილის, ა.გოლუბევის, პ.დელატრის, გ.დოლიძის, ფ.ვირეტელის, ჰ.კანტის, ფ.კარტონის, ჩ.კრეიდლერის, ი.მაიერის, მ.მრევლიშვილის, ი.სმირნოვასა და ს.ჟლენტის მიერ ჩატარებული გერმანიკული, რომანული და ქართული ენების კვლევათა მონაცემების მიხედვით.

ნაშრომი განკუთვნილია ლინგვისტური ფაკულტეტების სტუდენტთათვის და ლინგვისტიკის დარგის მეცნიერ-მკვლევართათვის.

**შემდგენლები:** ციური ახვლედიანი  
ივანე ლეჟავა  
გიორგი ყუფარაძე

**რედაქტორი:** თინათინ ბოლქვაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**რეცენზენტები:** მანანა რუსიეშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნუნუ კაპანაძე


ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ქეთევან გაბუნია

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. სამეტყველო ორგანოები .....	4-5
2. ფონეტიკური ტრანსკრიფცია .....	6
2.1. ხმოვანთა დიაგრამა საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის მიხედვით ....	7
2.2. სამეტყველო ბგერების ტრანსკრიფციული სიმბოლოები .....	7
3. ქართული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ანბანი .....	10
4. ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ქართული ენების საარტიკულაციო ბაზისები და ფონეტიკური წყობა .....	11
5. ხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია .....	12
5.1-2 ხმოვანთა კლასიფიკაცია ენის მდგომარეობის მიხედვით .....	13
6. თანხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია .....	14
6.1. თანხმოვანთა კლასიფიკაცია წარმოების რავგარობის მიხედვით .....	16
6.2. თანხმოვანთა კლასიფიკაცია წარმოების ადგილის მიხედვით .....	16
7. ბგერათა შედარების კრიტერიუმები .....	16
8. საარტიკულაციო ბაზისების დახასიათება .....	18
9. ბგერათა აღწერის თანმიმდევრობა .....	21
10. ნაშრომში გამოყენებული დიაკრიტიკული ნიშნები .....	22
11. შემართვა .....	22
12. ხმოვანი ბგერები .....	25
12.1. წინა რიგის არალაბიალიზებული ხმოვნები .....	25
12.2. წინა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები .....	32
12.3. შუა და უკანა რიგის არალაბიალიზებული ხმოვნები .....	36
12.4. შუა და უკანა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები .....	41
12.5. ნაზალური (ცხვირისმიერი ხმოვნები) .....	48
12.6. ხმოვანთა შენარჩუნება უმახვილო მარცვლებში .....	52
12.7. ნეიტრალური [ə] ხმოვნის ამოვარდნის შემთხვევები .....	53
12.8. დიფთონგები .....	54
12.9. სამი ხმოვნის ბგერათშეერთება .....	61
13. თანხმოვანი ბგერები .....	63
13.1. სშულ-მსკდომი თანხმოვნები .....	63
13.2. ნაპრალოვანი თანხმოვნები .....	71
13.3. აფრიკატები .....	84
13.4. ნახევარხმოვნები (აპროქსიმანტები) .....	87
13.5. ცხვირისმიერი თანხმოვნები (ნაზალური).....	91
13.6. გვერდითი თანხმოვნები (ლატერალური) .....	97
13.7. მთრთოლი თანხმოვნები (ვიბრანტები) .....	99
ლიტერატურა .....	101



სამეტყველო ტრაქტი

The vocal tract – Der Vokaltrakt – Le canal vocal


# 1. სამეტყველო ორგანოები

	ქართულად	ინგლისურად	გერმანულად	ფრანგულად
I	ხორხი	larynx	Kehlkopf (m)	larynx (m)
II	ხახის ღრუ	pharynx	Rachenraum (m)	pharynx (m)
III	პირის ღრუ	mouth cavity	Mundhöhle (f)	cavité buccale (f)
IV	ცხვირის ღრუ	nasal cavity	Nasenhöhle (f)	fosses nasales (f pl)
1	ენა	tongue	Zunge (f)	langue (f)
2	ენის წვერი	tip of the tongue	Zungenspitze (f)	pointe de la langue (f)
3	ენის ზურგის წინა ნაწილი (წინაენა)	blade of the tongue	Vorderzunge (f)	partie antérieure de la langue(f)
4	ენის ზურგის შუა ნაწილი (შუაენა)	front of the tongue	Mittelzunge (f)	partie médiane de la langue (f)
5	ენის ზურგის უკანა ნაწილი (უკანაენა)	back of the tongue	Hinterzunge (f)	partie postérieure de la langue (f)
6	ენის ძირი	root of the tongue	Zungenwurzel (f)	racine de la langue (f)
7	ბაგეები	lips	Lippen (f pl)	lèvres (f pl)
8	კბილები	teeth	Zähne (m pl)	dents (f pl)
9	ნუნები (ალვეოლები)	alveolar ridge	Alveolarrand (m)	alvéoles (m pl)
10	მაგარი სასა (პალატუმი)	hard palate	harter Gaumen (m)	palais dur (m)
11	რბილი სასა (ველუმი)	soft palate	weicher Gaumen (m)	palais mou (m)
12	ნაქი (უეულა)	uvula	Zäpfchen (n)	luette (f)
13	სახმო სიმები [მბგერი იოგები]	vocal cords [vocal folds]	Stimmbänder (n pl) [Stimmlippen (f pl)]	cordes vocales (f pl) [plis vocaux (m pl)]
14	სახმო სიმებს შუა ნაპრალი (ყია)	glottis	Stimmritze (f)	glotte (f)
15	სასუნთქი მილი (ტრაქეა)	windpipe	Luftröhre (f)	trachée (f)
16	ნესტო	nostril	Nasenloch (f)	narine (f)

## 2. ფონეტიკური ტრანსკრიფცია

ფონეტიკური ტრანსკრიფცია გამოიყენება ბგერითი ერთეულების ფონეტიკური თვისებების ასახვისათვის. მთავარ პრინციპს წარმოადგენს ტრანსკრიბირებული ბგერისა და გამოყენებული პირობითი ნიშნის ცალსახა შესაბამისობა. ყველაზე მეტად გამოიყენება საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი (International Phonetic Alphabet, IPA), შემუშავებული საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაციის მიერ ლათინური ანბანის საფუძველზე.

### 2.1. ხმოვანთა დიაგრამა საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის მიხედვით<sup>1</sup>



<sup>1</sup> i • y ტიპის წყვილებში მარჯვენა ხმოვანი ლაბიალიზებულია.

<sup>2</sup> ტერმინები ვიწრო – დახურული და ფართო – ღია სინონიმებია.

## 2.2. სამეტყველო ბგერების ტრანსკრიფციული სიმბოლოები

ბგერა	სიტყვა-ნიმუში, რომელშიც გვხვდება მოცემული ბგერა	ბგერა	სიტყვა-ნიმუში, რომელშიც გვხვდება მოცემული ბგერა	ბგერა	სიტყვა-ნიმუში, რომელშიც გვხვდება მოცემული ბგერა	ბგერა	სიტყვა-ნიმუში, რომელშიც გვხვდება მოცემული ბგერა
ქართული სმოვნები		ინგლისური სმოვნები		გერმანული სმოვნები		ფრანგული სმოვნები	
i	თითი [tʰitʰi] ის [is]	i: ɪ	bee [bi:] it [ɪt]	i: ɪ	hier [hi:ɐ] ist [ʰɪst]	i	ville [vil]
ე	ხე [xɛ] ეს [ɛs]	e æ	pet [pet] cat [kæt]	e: ɛ ɛ:	schwer [ʃve:ɐ] Hände [ˈhɛndə] Bär [be:ɐ]	e ɛ ɛ̃	café [kaˈfe] tête [te:t] prince [prɛ:s]
a	და [da] ათი [atʰi]	ʌ ɑ:	bus [bʌs] arm [ɑ:m]	a a: ɐ	Amt [ˈamt] Bahn [ba:n] aber [ˈa:bɐ]	a ɑ ɑ̃	chatte [ʃat] châle [ʃɑ:l] angle [ɑ̃:gl]
ო	ლო [dɔ] ომი [omi]	ɒ ɔ:	dog [dɒg] port [pɔ:t]	ɔ o:	Oft [ˈɔft] Ohr [ˈo:ɐ]	ɔ o ɔ̃	botte [bɔt] pot [po] rond [Rɔ̃]
უ	კუ [kʰu] უმი [umi]	ʊ u:	foot [fʊt] tool [tu:l]	ʊ u:	Duft [duft] du [du:]	u	ours [urs]
				ʏ y:	Glück [glʏk] Typ [ty:p]	y	une [yn]
		ɜ ə	bird [bɜ:d] figure [ˈfɪgə]	œ ø ɘ	zwölf [tsvœlf] Bø [bø:] Tinte [ˈtɪntə]	œ ø ɘ œ̃	œuf [œf] lieu [ljø] demi [dɛˈmi] à jeun [aˈʒœ̃]

ქართული სმოვნებისთვის საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის ნიშნები ზუსტად ვერ ასახავს რეალობას. ქართული ე და ო სმოვნები რეალურად ოდნავ უფრო დახურულებია (ვიწროა), ვიდრე [ɛ] და [ɔ], წესით, შესაბამისად, [ɛ] და [ɔ] სიმბოლოები უნდა იყოს გამოყენებული. იგივე უნდა ითქვას ა სმოვნის შესახებაც, ეს სმოვანი წინა რიგის დაბალი აწეულობის [a] სმოვანთან შედარებით ოდნავ უფრო უკან წარმოითქმის და ოდნავ უფრო ვიწროა, ანუ შუა რიგის დაბალზე ოდნავ მაღალი აწეულობის [ɛ] სმოვანია (near-open central – ანუ დაბალი აწეულობის ვიწრო).

ქართული თანხმოვნები		ინგლისური თანხმოვნები		გერმანული თანხმოვნები		ფრანგული თანხმოვნები	
p'	პური [p'uri]	p	pig [pɪg]	p	Pakt [pakt]	p	post [pɔst]
p <sup>h</sup>	ფარა [p <sup>h</sup> ara]	b	big [bɪg]	b	Baum [baʊm]	b	bon [bɔ̃]
b	ბარი [bari]			pf	Pferd [pfe:ʁt]		
t'	თომი [t'omi]	t	tea [ti:]	t	Tier [ti:ʁ]	t	thé [te]
t <sup>h</sup>	თოვლი [t <sup>h</sup> avli]	d	date [dɛt]	d	da [da]	d	datte [dat]
d	დანა [dana]			ts	Zahn [tsa:n]		
ts'	წაბლი [ts'abli]						
ts	ცოტა [tsɔt'a]						
dz	ძუა [dzua]						
tʃ'	ჭა [tʃ'a]	tʃ	cheese [tʃi:z]	tʃ	Deutsch [dɔɪtʃ]		
tʃ	ჩირი [tʃiri]	dʒ	jam [dʒæm]	dʒ	Gin [dʒɪn]		
dʒ	ჯარი [dʒari]						
k'	კარი [k'ari]	k	cake [keɪk]	k	Kladde ['kladə]	k	crabe [krab]
k <sup>h</sup>	ქონი [k <sup>h</sup> oni]	g	goat [gəʊt]	g	Garten ['gɑrtən]	g	gamme [gam]
g	გემი [gemi]						
(f)	კქენი [fk <sup>h</sup> eni]	f	flat [flæt]	f	Feder ['fe:də]	f	feuille [fœj]
v	ვარდი [vardi]	v	veal [vi:l]	v	Wagen ['va:gən]	v	vie [vi]
(w)	ვურჩიე [wurtʃiɛ]						
s	სამი [sami]	s	sea [si:]	s	Skizze ['skitsə]	s	sucre [sykʁ]
z	ზარი [zari]	z	zoo [zu:]	z	Saal [za:l]	z	zébu [ze'by]
ʃ	შავი [ʃavi]	ʃ	ship [ʃɪp]	ʃ	Schuh [ʃu:]	ʃ	chose [ʃo:z]
ʒ	ჟოლო [ʒɔlɔ]	ʒ	measure ['meɪʒə]	ʒ	Jabot [ʒa'bo:]	ʒ	gel [ʒɛl]
		θ	thin [θɪn]				
		ð	that [ðæt]				
				ç	Milch [mɪlç]		
				j <sup>1</sup>	Jahr [ja:ʁ], [ja:ʁ]*		
q'	ყანა [q'ana]			x	Buch [bu:x]		
χ	ხარი [χari]			(γ)	Bären ['be:γən]		
ɣ	ღერო [ɣɛrɔ]			ʁ	Rost [ʁɔst]	ʁ	mur [my:ʁ]
				χ	Fracht [fʁaxt]	(χ)	tarte [taxt]
h	ჰავა [hava]	h	hen [hen]	h	Hase ['ha:zə]		

<sup>1</sup> ამ ნაპრალოვან ბეგრას აპროქსიმანტადაც მიიჩნევენ, რომლის ტრანსკრიფცია [j] ოღნავ განსხვავებულია.

m	მიწა [mits'a]	m	mule [mjʌ:l]	m	Mut [mu:t]	m	mer [mɛ:R]
n	ნავი [navi]	n	nose [nəʊz]	n	nein [naɪn]	n	nappe [nap]
l	ლობი [lɔmi]	l	leaf [li:f]	l	Lyrik ['ly:rɪk]	l	lune [lyn]
r	რუ [ru]	r*	roof [ru:f]	r/R	rot [ro:t]	R	roc [Rɔk]
		ŋ	ring [rɪŋ]	ŋ	eng [ʰɛŋ]	ŋ	camping [kɑ̃'piŋ]
						ɲ	ligne [liɲ]
j	ღიალექტებში	j	yak [jæk]	j	Jahr [jɑ:ɣ]*	j	iode [jɔd]
w	ღიალექტებში	w	wine [waɪn]			w	noix [nwa]
						ɥ	nuit [nuɥ]

ინგლისური ღიფთონგები		გერმანული ღიფთონგები		გერმანული ზემოკლე (ძალიან მოკლე) ზმოვნები <sup>1</sup>	
ai	sky [skai]	aɪ	Mais [maɪs]	ჲ/უ	Statue ['ʃta:tʌ]
au	round [raʊnd]	aʊ	Haus [haʊs]	ბ/ღ	Couloir [ku'loa:ɣ]
oi	boy [bɔi]	ɔɪ	neu [nɔɪ]	ჲ/ყ	Nuance [nʏ̃̃:sə]
au	boat [bɔt]			ჲ/ღ	Union ['u'ni'o:n]
ei	table ['teɪb(ə)]		nur in Fremdwörtern: Lady ['leɪdi],	ღ	Uhr ['ʰu:ɣ]
iə	ear [iə]	ɛɪ	E-Mail ['i:meɪl], hey [heɪ]		
eə	bear [beə]		Homepage ['hɑ:mp'eɪdʒ]		
uə	tour [tʊə]	ɔɪ			

<sup>1</sup> ასეთ ზმოვნებს ტრანსკრიფციაში პატარა რკალი ზემოდან მოუდით მახვილისწინა პოზიციაში და ქვემოდან – მახვილისშემდგომ პოზიციაში.

### 3. ქართული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ანბანი

ქართული		ინგლისური	გერმანული	ფრანგული
ანბანი		THE ALPHABET	DAS ALPHABET	L' ALPHABET
ა [an]	A a	[eɪ]	[ˈa:]	[a]
ბ [ban]	B b	[bi:]	[be:]	[be]
გ [gan]	C c	[si:]	[tse:]	[se]
დ [dɔn]	D d	[di:]	[de:]	[de]
ე [ɛn]	E e	[i:]	[ˈe:]	[œ]
ვ [vin]	F f	[ɛf]	[ˈɛf]	[ɛf]
ზ [zɛn]	G g	[dʒi:]	[ge:]	[ʒe]
თ [tʰan]	H h	[ɛɪf]	[ha:]	[aɪ]
ი [in]	I i	[aɪ]	[ˈi:]	[i]
კ [kʰan]	J j	[dʒɛɪ]	[jɔt]	[ʒi]
ლ [las]	K k	[keɪ]	[ka:]	[ka]
მ [man]	L l	[ɛl]	[ˈɛl]	[ɛl]
ნ [nar]	M m	[ɛm]	[ˈɛm]	[ɛm]
ო [ɔn]	N n	[ɛn]	[ˈɛn]	[ɛn]
პ [pʰar]	O o	[əʊ]	[ˈo:]	[ɔ]
ჟ [ʒan]	P p	[pi:]	[pe:]	[pe]
რ [raɛ]	Q q	[kju:]	[ku:]	[ky]
ს [san]	R r	[ɑ:]	[ˈɛr]	[ɛ:R]
ჭ [tʰar]	S s	[ɛs]	[ˈɛs]	[ɛs]
უ [un]	T t	[ti:]	[te:]	[te]
ფ [pʰar]	U u	[ju:]	[ˈu:]	[y]
ქ [kʰan]	V v	[vi:]	[faʊ]	[ve]
ღ [ɣan]	W w	[ˈdʌb(ə)lju:]	[ve:]	[dubləˈve]
ყ [qʰar]	X x	[ɛks]	[ˈɪks]	[ɪks]
შ [ʃin]	Y y	[waɪ]	[ˈɣpsɪlɔn]	[iˈgrɛk]
ჩ [tʃin]	Z z	[zed]	[tset]	[zɛd]
ც [tsan]				
ძ [dzil]				
წ [tsʰil]				
ჭ [tʃʰar]				
ხ [xan]				
ჯ [dʒan]				
ჰ [haɛ]				

## 4. ქართული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების საარტიკულაციო ბაზისები და ფონეტიკური წყობა

სამეტყველო ბგერების საარტიკულაციო, აკუსტიკურ და პერცეფციულ თავისებურებებს შეისწავლის **ფონეტიკა**. პერიოდული რხევების შედეგად გამოცემულ ბგერას ეწოდება მუსიკალური ტონი ან უფრო მარტივად **ტონი**, ხოლო ბგერები, რომლებიც წარმოიქმნება არაპერიოდული რხევების შედეგად, იწოდება **ჩქამად**.

სახმო სიმების თრთოლვისას წარმოქმნილი ტონი წარმოდგენილია კვაზიპერიოდული რხევებით. სახმო სიმების რხევათა სიხშირე განსაზღვრავს ბგერის სიმაღლეს, ბგერის სიძლიერეს ანუ ინტენსივობას – რხევის ამპლიტუდა, ხოლო ბგერის ტემბრს – ჰარმონიული სტრუქტურა. ტემბრი არის ბგერის ის თვისება, რომლითაც ერთმანეთისაგან განსხვავდება სხვადასხვა მუსიკალური საკრავის ხმა: გიტარისა ვიოლინოს ხმისგან, ორივესი ფორტეპიანოსაგან და ა.შ. ერთი ადამიანის ხმა განსხვავდება მეორე ადამიანის ხმისაგან ტემბრით, ასევე თითოეულ სამეტყველო ბგერას, კერძოდ კი ხმოვანს აქვს თავისი ტემბრი, განსხვავებული სხვა ხმოვნის ტემბრისაგან.

ტემბრი არის ხმოვნის ისეთი შეფერილობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ ის სამეტყველო ბგერები, რომლებიც სიმაღლის, ინტენსივობისა და გრძლივობის მიხედვით ერთნაირია, მაგრამ განსხვავებული ელფერიტაა წარმოდგენილი. ბგერის ტემბრი განისაზღვრება იმ რეზონატორების ზომებითა და ფორმით, რომელსაც ბგერა გაივლის. ეს რეზონატორებია ხორხის ზედა ნაწილი, ხახის, პირისა და ცხვირის ღრუები.

სამეტყველო ბგერებს, ენაში მათ ფუნქციათა თვალსაზრისით, შეისწავლის **ფონოლოგია**, სადაც მეტყველების ყველა ბგერა დაიყვანება ენის ბგერით ერთეულთა განსაზღვრულ რიცხვამდე, ანუ ფონემებამდე. ფონემის ცნება არ არის ფიზიკური ბგერის ცნების ტოლფარდი. ფონემა აღნიშნავს ბგერის პოზიციურად განპირობებულ ვარიანტთა ერთობლიობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეული ფონემა მეტყველებაში რეალიზდება ერთი ან რამდენიმე ვარიანტით, რომელთაც ალოფონები ეწოდება; თვით ფონემა კი ემსახურება სიტყვებისა და მათი ფორმების განსხვავებას. მეტყველებაში, ფონემის ჩანაცვლება სხვა ფონემით იწვევს სიტყვის აზრის შეცვლას და შესაბამისად მოსაუბრეთა არასწორი ურთიერთგაგების მიზეზადაც გვევლინება. ფონემის ერთი შეფერილობის (ანუ ვარიანტის) მეორით ჩანაცვლება არ იწვევს აზრის დამახინჯებას, მაგრამ მეტყველებას ანიჭებს უჩვეულო აქცენტს.

ამგვარად, ფონოლოგიური თვალსაზრისით, ენის ერთეულებს წარმოადგენენ არა თვით ბგერები, სიტყვები, სიტყვათშეერთებები და წინადადებები, არამედ მათი შესაბამისი კატეგორიები ფონემისა, მარცვლისა, მახვილიანი ჯგუფისა და სინტაგმისა.

ინგლისური და გერმანული განეკუთვნებიან გერმანიკულ ენათა ჯგუფს, ხოლო ფრანგული – რომანულ ენათა ჯგუფს, მაგრამ მიუხედავად განსხვავებ-

ბისა მათი გეოგრაფიული სიახლოვე ყოველმხრივ განაპირობებს მათ საერთო ნიშნებსაც.

ქართული ენა, რომელიც განეკუთვნება კავკასიურ ენათა ქართველურ ენობრივ ოჯახს, ძალიან განსხვავებულია ფონეტიკის თვალსაზრისით ზემოთ ჩამოთვლილ ენათაგან, და ჩვენი მიზანია შეპირისპირებითი მეთოდით წარმოვადგინოთ ქართული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების ფონეტიკური მახასიათებლები.

## 5. ხმოვანთა ზოგადი კლასიფიკაცია

ხმოვან ბგერათა კლასიფიკაციის საფუძვლებია:

### 1. ენის ჰორიზონტალური მდგომარეობა

- წინა რიგის;
- შუა, ანუ შერეული რიგის;
- უკანა რიგის.

### 2. ენის ვერტიკალური მდგომარეობა

- მაღალი აწეულობის – ვიწრო (დახურული), ფართო (ღია);
- საშუალო აწეულობის – ვიწრო, ვიწროსა და ფართოს შორის, ფართო;
- დაბალი აწეულობის (ვიწრო, ფართო).

### 3. ბაგეების მდგომარეობა

- ლაბიალიზებული (მომრგვალებული);
- არალაბიალიზებული (არამომრგვალებული).

### 4. რბილი სასის მდგომარეობა

- ცხვირისმიერები (პირისმიერ-ცხვირისმიერები);
- მსუბუქად ნაზალიზებულნი;
- პირისმიერები.

ხმოვანთა გრძლივობაც წარმოადგენს დიფერენციალურ ნიშანს. ქართული-სათვის ხმოვნის გრძლივობას ფონოლოგიური ღირებულება არ აქვს და მხოლოდ ინტონაციური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. ასევე ფრანგულ ენაში გრძლივობა არ განეკუთვნება ხმოვან ფონემათა მუდმივ ნიშნებს, თუმცა გრძელ და მოკლე ხმოვანთა შორის განსხვავება ფრანგული მეტყველების რიტმიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

ინგლისურ და გერმანულ ენებში, გრძელი და მოკლე ხმოვნები წარმოადგენენ სხვადასხვა ფონემებს, ეს კი ნიშნავს, რომ ერთი ბგერის მეორით შეცვლა გამოიწვევს ფონოლოგიურ შეცდომას.

ჩვენს განსახილველ ენებში არსებობს ოპოზიციები რიგისა და აწეულობის მიხედვით; ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ერთი ბგერის მეორით შეცვლით, არ უნდა შეიქმნას ფონოლოგიური შეცდომის საშიშროება.

## 5.1. ხმოვანთა კლასიფიკაცია ენის ჰორიზონტალური მდგომარეობის მიხედვით\*

	ქართული	ინგლისური	გერმანული	ფრანგული
წინა რიგი	i ე	i: e æ ე <sup>1</sup> ɪ ა <sup>2</sup>	ɪ i: e: ე ე: ø: ყყ: æ ე̃ ა̃ <sup>4</sup>	ɪ e e a ø œ ə y ე̃ ა̃
შუა რიგი	a	ɜ: ə ʌ	a a: ə ɐ ä	
უკანა რიგი	u ა	(ʌ) u o <sup>3</sup> ɑ: ɒ: ɔ: u:	ɔ o: u u: õ	ɑ ɔ o u ა̃ ა̃

<sup>1</sup> ე – ლიფთონგის ბირთვი [eə] (= [eə]).

<sup>2</sup> ა – ლიფთონგების ბირთვი [aɪ], [aʊ].

<sup>3</sup> o – ლიფთონგის ბირთვი [oʊ] (= [əʊ]).

<sup>4</sup> გერმანულში ე̃, ა̃, ä, õ ნაზალური ხმოვნები გვხვდება მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში.

## 5.2. ხმოვან ბგერათა კლასიფიკაცია ენის ვერტიკალური მდგომარეობის მიხედვით

		ქართული	ინგლისური	გერმანული	ფრანგული
მაღალი აწეულობა	<i>ვიწრო</i>	i u	i: u:	i: u: y:	i u y
	<i>ფართო</i>		ɪ ʊ	ɪ ʊ ʏ	
საშუალო აწეულობა	<i>ვიწრო</i>	ე ა	e o <sup>1</sup> ə	e: o: ø:	e ø œ ə ə̃
	<i>ფართო</i>		ɜ: e <sup>2</sup> ʌ	e: e: ɔ: œ ე̃ ა̃ õ	ე ა ე̃ ა̃
დაბალი აწეულობა	<i>ვიწრო</i>	a	æ ɔ:	ɐ	
	<i>ფართო</i>		ɑ: ɒ a <sup>3</sup>	a a: ä	a ɑ ä

<sup>1</sup> o – ლიფთონგის ბირთვი [oʊ] (= [əʊ]).

<sup>2</sup> ე – ლიფთონგის ბირთვი [eə] (= [eə]).

<sup>3</sup> ა – ლიფთონგების ბირთვი [aɪ], [aʊ].

\* ენის ჰორიზონტალური მდგომარეობის მიხედვით დასაშვებია 5 რიგის გამოყოფაც, 2-2 წინა და უკანა და 1 შუა.

## 6. თანხმობანთა ზოგადი კლასიფიკაცია

### 1. აქტიური სამეტყველო ორგანოს მიხედვით

*ბაგისმიერები;*

*ენისმიერები: წინაენისმიერები, შუაენისმიერები, უკანაენისმიერები, ენისძირისმიერები;*

*ნაჩისმიერები;*

*ხორხისმიერები.*

### 2. წარმოების ადგილის მიხედვით

*ბაგისმიერები – ლაბიალურები;*

*ბაგეკბილისმიერები – ლაბიოდენტალურები;*

*კბილისმიერები – დენტალურები;*

*წინაუნისმიერები – პრეალვეოლარულები;*

*ნუნისმიერები – ალვეოლარულები;*

*უკანაუნისმიერები – პოსტალვეოლარულები;*

*სასანუნისმიერები – პალატალვეოლარულები;*

*მაგარსასისმიერები – პალატალურები;*

*რბილსასისმიერები – ველარულები;*

*ნაჩისმიერები (უკანაველარულები) – უველარულები (პოსტველარულები);*

*ხანისმიერები – ფარინგალურები;*

*ხორხისმიერები – ლარინგალურები.*

### 3. ენის მდგომარეობის მიხედვით

*აპიკალურები (არტიკულაცია – ენის წვერით);*

*დორსალურები (არტიკულაცია – ენის ზურგით);*

*კაკუმინალურები (არტიკულაცია – ვერტიკალურად აწეული ენის წინა მხრით);*

*კორონალურები (არტიკულაცია – ენის ზურგის ბრტყელი ან ჩაზნექილი კიდეების აწევით სასისაკენ).*

### 4. წარმოების რაგვარობის მიხედვით

*ხშულები (იმპულსური ჩქამი წარმოიქმნება განხშვის შედეგად);*

*ნაპრალოვნები (ტურბულენტური ჩქამის არსებობა ნაპრალში ჰაერის ნაკადის გავლისას);*

*ვიბრანტები (წყვეტილი მოდულაციები ჩქამის გარეშე);*

*ხშულ-ნაპრალოვნები (ლატერალები, ნაზალები და აფრიკატები, რომლებსაც პირველი ელემენტის (ხშვის) მიხედვით ხშირად ხშულებს მიაკუთვნებენ).*

**5. სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით**

*ერუები (არაფშვინვიერი, ფშვინვიერი, მკვეთრი);  
მუღერები.*

**6. ჩქამისა და ტონის თანაფარდობის მიხედვით**

*ჩქამიერები;  
სონორები.*

**7. ენის ზურგის შუა ნაწილის მდგომარეობით**

*მავრები;  
რბილები.*

**8. ბგერის წარმოებაში ცხვირის ღრუს მონაწილეობა-არმონაწილეობის მიხედვით**

*ცხვირისმიერები;  
პირისმიერები.*

**6.1. თანხმოვან ბგერათა კლასიფიკაცია წარმოების რაგვარობის მიხედვით**

		ქართული	ინგლისური	გერმანული	ფრანგული
ხშულები	მსკლომები	p' p <sup>h</sup> b t' t <sup>h</sup> d k' k <sup>h</sup> g q'	p b t d k g	p b t d k g  '=ჟ	p b t d k g
	აფრიკატები	ts' ts dz tʃ' tʃ dʒ	tʃ dʒ	pf ts tʃ dʒ	
ნაპრალოვნები და აპროქსიმანტები	(w) (f) v  s z  ʃ ʒ  χ ɣ h	w f v θ ð s z r* ʃ ʒ j h	w f v θ ð s z r* ʃ ʒ j h	f v s z ʃ ʒ ç j x (γ) χ ɣ h	w ʎ f v s z ʃ ʒ j ɣ (χ)
ვიბრანტები	r			R r	R r
ლატერალები	l	l †		l	l
ნაზალები	m n	m n	m n ɲ	m n ɲ	m n ɲ ɲ

## 6.2. თანხმოვანთა კლასიფიკაცია წარმოების ადგილის მიხედვით

	ქართული	ინგლისური	გერმანული	ფრანგული
ლაბიალური	p' p <sup>h</sup> b m	p b m w	p b m	p b m w y
ლაბიოდენტალური	(f) v	f v	f v pf	f v
დენტალური		t' t <sup>h</sup> d	θ ð	t d n
(პრე)ალვეოლარული	n l	s z	t d n l ʃ	t d n l r
	ts' ts dz	r	s z	s z ts
პოსტალვეოლარული	ʃ ʒ tʃ' tʃ dʒ	r*	ʃ ʒ tʃ dʒ	ʃ ʒ r
პალატალვეოლარული		tʃ dʒ ʃ ʒ		
პალატალური		j	ç j	j ɲ
ველარული	k' k <sup>h</sup> g	k g ŋ	k g ŋ x (χ)	k g ŋ
პოსტველარული				
უველარული	q' χ ʁ		ʀ χ ʁ	ʀ (χ) ʁ
ფარინგალური			h	
ლარინგალური	h	h	' (?)	

## 7. ბგერათა შედარების კრიტერიუმები

- ხმოვნებში** – ხმოვანთა ღიაობის ხარისხი და რიგი, გრძლივობა, დიფთონგოიდობა ან უცვლელობა ჟღერადობის მანძილზე; ხმოვანთა რედუქცია უმახვილო მარცვლებში; ხმოვანთა ცვლილება რბილი ან მაგარი თანხმოვნების მეზობელ პოზიციაში; თანამდევი ბგერითი ელფერების არსებობა; შემართვის თავისებურებები.
- თანხმოვნებში** – მჟღერობა და სიყრუე – ამ მახასიათებლების შენარჩუნება ან ცვლილება სხვადასხვა პოზიციაში; ასპირაციის ხარისხი პოზიციების მიხედვით; გლოტალიზებული ბგერების არსებობა; სიმაგრე და სირბილე; გრძლივობა; თანამდევი გარდამავალი ბგერის არსებობა.

ყოველ ენაში, ბგერის წარმოსაქმნელად გამოიყენება სამეტყველო ორგანოთა საკუთარი წყობა და საარტიკულაციო მოძრაობა, რაც ისტორიულადაა ჩამოყალიბებული. მათი ერთობლიობა შეადგენს ენის საარტიკულაციო ბაზისს. ამოსუნთქვის ხასიათი, კუნთოვანი ენერგიის განაწილება ბგერების წარმოქმნის დროს, განეკუთვნება ენის რიტმული ბაზისის თავისებურებებს. საარტიკულაციო ბაზისის ნიშანთა აღწერის დროს, საწყის პუნქტად მიღებულია სამეტყველო ორგანოების ინდიფერენტული მდგომარეობა, ანუ მშვიდ მდგომარეობაში ყოფნა.

შედარება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. სამეტყველო ორგანოთა დაჭიმულობა;
2. ბაგეების არტიკულაცია;
3. ბაგეების მდგომარეობა;
4. ენის არტიკულაცია;
5. ხმის ტემბრი;
6. რბილი სასის მდგომარეობა;
7. სახმო სიმების აქტიურობა;
8. ნაქის აქტიურობა;
9. ხმოვანთა დაჭიმულობა;
10. შერეული რიგის ხმოვანთა არსებობა;
11. დიფთონგები და დიფთონგოიდები;
12. დიფთონგთა ბირთვები;
13. გრძლივობის თანაფარდობა ღიაობის ხარისხთან;
14. მარცვლის გრძლივობა და ტიპი;
15. ცხვირისმიერ ხმოვანთა არსებობა;
16. შემართვის ხასიათი;
17. წინა რიგის მომრგვალებული ხმოვნების არსებობა;
18. თვისებრივი რედუქცია;
19. თანხმოვანთა ენერგიულობა;
20. მჟღერობა-სიყრუის მიხედვით ოპოზიციის ნეიტრალიზაცია;
21. მჟღერ თანხმოვანთა მჟღერობის ხარისხი;
22. თანხმოვანთა სიმაგრე და სირბილე;
23. [m], [n], [l]-ს გრძლივობა ბოლოკიდურ პოზიციაში;
24. [t], [d], [n]-ს არტიკულაცია;
25. უველარულ და ფარინგალურ ბგერათა არსებობა;
26. ბგერის გაორმაგება თანხმოვანი ასოს გაორმაგების დროს;
27. ფშვინვა (ასპირაცია);
28. თანამდევი ბგერის არსებობა სიტყვის ბოლოს;
29. მახვილიანი მარცვლის გამოყოფა სიტყვასა და ფრაზაში;
30. სიტყვის რიტმი;
31. ფრაზის რიტმი;
32. არტიკულაციური დაჭიმულობა სინტაგმაში;
33. სასაუბრო მეტყველების ტემპი;

## 8. საარტიკულაციო ბაზისების დახასიათება

### ქართული ენა

ქართული წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოები უფრო მოღუნებულია ფრანგულთან შედარებით, თუმცა უფრო დაჭიმულია ინგლისურთან მიმართებით. გერმანული და ქართული კი ამ თვალსაზრისით თითქმის არ განსხვავდება (ახვლედიანი 1938:186, 193, 198).

სალიტერატურო წარმოთქმაში ქართული ხმოვნების თავისებურებებია სათანადო კუნთების დაჭიმულობის შედეგად არარედუცირებული, მკაფიო და გამოკვეთილი არტიკულაცია და ნელი შემართვა-დამართვა. უმეტესობა ქართველი ენათმეცნიერებისა თვლის, რომ სალიტერატურო ქართულისთვის, განსხვავებით დიალექტებისაგან, არ არის დამახასიათებელი დიფთონგები და დიფთონგოიდები, თუმცა ზეპირმეტყველებაში სუსტი დიფთონგები არცთუ იშვიათია (ახვლედიანი 1938:114; ჟღერტი 1956:31; ფუტკარაძე, მიქაუტაძე 2014:78).

ქართულ მახვილიანსა და უმახვილო ხმოვნებს შორის არ არის არსებითი განსხვავება, როგორც ტემბრალურის, ისე გამოკვეთილობის თვალსაზრისით, თუმცა იზოლირებულად წარმოთქმული სიტყვის ან წინადადების ბოლოს, ხმოვანი, როგორც წესი დასუსტებულია. ქართულ წარმოთქმაში ხმოვნისა და თანხმოვნის ურთიერთგავლენა ძალიან სუსტია. თავკიდურ პოზიციაში მჟღერი ხმოვნის ხშვის ფაზაა დაყრუებული, ხოლო ბოლოკიდურში – სკლომის; ამ პოზიციაში შესაძლებელია ასპირაციის არსებობაც ანუ მჟღერის ნაცვლად ფშვინვიერის წარმოთქმა. ქართული მკვეთრები აკუსტიკურად უახლოვდება ფრანგული ყრუ ხშულ-მსკდომებს (p, t, k), ხოლო გერმანული და ინგლისური ყრუ ხშულები ქართულ ფშვინვიერებთან უფრო ახლოს დგას ვიდრე მკვეთრებთან (ახვლედიანი 1938:188, 195, 201).

### ინგლისური ენა

პირის კუნთები, განსაკუთრებით ენისა, დაჭიმულია არა იმდენად ძლიერად, როგორც ქართულ, გერმანულ და ფრანგულ ენებში. ბაგეების არტიკულაცია ძალიან სუსტია; ბაგეები არასოდეს არ წამოიწევა წინ ძლიერად, არ იჭიმება და არ მომრგვალდება; ნეიტრალურ პოზიციაში ბაგეების კუთხეები აწეულია, ჰგავს ღიმილის პოზიციას; ენა მოღუნებულია, გაბრტყელებულია და ოდნავ უკანაა წაწეული; ხმას არა აქვს ხორხისმიერი ტემბრი; რბილი სასა აწეულია; ხმოვნებისა და მჟღერი თანხმოვნების წარმოთქმისას სახმო სიმები აქტიურია; ნაქი არ წარმოადგენს აქტიურ სამეტყველო ორგანოს; ხმოვნები არცთუ ძალიან დაჭიმულია; არსებობს შერეული რიგის ხმოვნები: გრძელი [ɜ:] და ნეიტრალური [ə]; დიფთონგები და დიფთონგოიდები [i:], [u:] ხასიათდებიან გარდამავალი არტიკულაციით პირველი ელემენტიდან მეორისაკენ. დიფთონგების [ai], [ea] ([εα]), [au] ([ou]) ბირთვები განსაკუთრებულ ბგერებს წარმოადგენენ.

გრძლივობა ეხამება ხმოვანთა მეტ დახურულობას, სიმოკლე – მეტ ღიაობას. გრძელი ხმოვნები უფრო დაჭიმულია, ვიდრე მოკლეები. მოკლე და გრძელი ხმოვნები გვხვდება როგორც ღია, ასევე დახურულ მარცვლებში. ცხვირის-

მიერი ხმოვნები არ არის. ახასიათებს რბილი შეძარტვა. არ არსებობს წინა რიგის მომრგვალებული ხმოვნები. უმახვილო მარცვალში ხმოვნები ხშირად ექვემდებარებიან თვისებრივ რედუქციას.

თანხმოვნები წარმოითქმიან ენერგიულად, სიტყვის ბოლოში არ ყრუვდებიან. ხშულ-მსკლომები და ასევე ნაპრალოვან თანხმოვანთა უმეტესობა ქმნის ოპოზიციებს მჟღერობა-სიყრუის მიხედვით: ყრუები – უფრო დაჭიმულები, მჟღერები – ნაკლებად დაჭიმულები. მჟღერობის მიხედვით ოპოზიცია არასდროს ნეიტრალიზდება. მჟღერი ხშული და მჟღერი ნაპრალოვანი თანხმოვნები, სიტყვის შუაში, მჟღერ გარემოცვაში, სრულად მჟღერები არიან. თანხმოვან ფონემათა უმეტესობა მაგარია. რბილ თანხმოვანთა სისტემა შემოიფარგლება [ʃ], [ჰ], [ტ], [დჰ], [ლ] ბგერებით. [ლ], [მ], [ნ] სიტყვის ბოლოში გრძლივება, შეუძლიათ მარცვლის შექმნა. [ტ], [დ], [ნ] ბგერების წარმოთქმისას ენის წინა ნაწილი არტიკულირებს ალვეოლებთან. ენის ბრტყელი და დაბალი მდებარეობის წყალობით შესაძლებელია ფარინგალური [h]-ს და უკანაენისმიერი ველარული [ŋ]-ს წარმოთქმა. გაორმაგებული თანხმოვანი ასო სიტყვის შუაში არ ნიშნავს ბგერის დაგრძელებას. ყრუ ხშულების ფშვინვის (ასპირაციის) არსებობა მახვილიან მარცვალში ხმოვნის წინ. სიტყვის ბოლოს არ ისმის თანამდევი ბგერა. მახვილიანი მარცვალი გამოიყოფა გაცილებით ძლიერად, ვიდრე ფრანგულ ენაში, უმახვილო მარცვლები კი გაცილებით უფრო სუსტია და არამკაფიო. მახვილები ფრაზაში ნაწილდება არათანაბრად. მრავალმარცვლიან სიტყვებში ზოგჯერ ჩნდება დამატებითი (თანამახვილი) მახვილი. სინტაგმის მახვილიანი მარცვლები წარმოითქმიან დროის მეტ-ნაკლებად თანაბარი შუაღედით. ძალიან მაღალი საარტიკულაციო დაჭიმულობა რიტმული ჯგუფის თავში. დამახასიათებელია სწრაფი სასაუბრო მეტყველება (3-4 მარცვალი წაშში) და გერმანულ ენასთან შედარებით მონოტონურად გამოიყურება. ფრაზულ მელოდიას აქვს მშვიდი, ტალღისებური სურათი. ინგლისელი ლაპარაკობს უფრო დაბალი ტონალობით, ვიდრე გერმანელი, მშვიდად დგას და თითქმის არ შესტიკულირებს.

### გერმანული ენა

გერმანული მეტყველებისათვის დამახასიათებელია საწარმოთქმო ორგანოების ძლიერი დაჭიმულობა და სტაბილური არტიკულაცია. ბაგეების მომრგვალებისას და წინ წამოწევისას უფრო აქტიურია ზედა ბაგე; ბაგეთა შორის ნაპრალი ოვალური ფორმისაა. ბაგეები არ არის დაჭიმული და არ ებჯინება კბილებს. ენა შუა მდგომარეობაშია, მისი წვერი ეხება ქვედა წინა კბილებს. ხორხი, ენის ძირი და უკანა ნაწილი დაბლაა დაწეული, რის შედეგადაც ხმა იძენს ხორხისმიერ ტემბრს. სახმო სიმები ნაკლებად აქტიურია, ვიდრე ინგლისურ და ფრანგულ ენებში. ნაქი და ხახა აქტიური სამეტყველო ორგანოებია. ხმოვანი მონოფთონგები შედარებით დაჭიმულია, ამიტომ ბგერის საწარმოთქმო თვისებები შენარჩუნებულია ჟღერადობის მანძილზე. არსებობს დიფთონგები, მაგრამ არ არსებობს დიფთონგოიდები. დიფთონგების ბირთვები ემთხვევა [a] და [ɔ] ფონემებს. გრძლივობა ეხამება ხმოვანთა მეტ დახურულობას, სიმოკლე – მეტ

ლიაობას. გრძელი ხმოვნები უფრო დაჭიმულია, ვიდრე მოკლეები. მოკლე ხმოვანი შესაძლებელია მხოლოდ დახურულ მარცვალში, გრძელი ხმოვანი უფრო ხშირად გვხვდება ღია მარცვალში. ხმოვნები ზოგი ავტორის<sup>1</sup> მიხედვით იღებენ სუსტ ნაზალურ ელფერს, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია შერეული რიგის ნეიტრალური [ə] ხმოვნისთვის. სიტყვის ან სიტყვის ძირის თავკიდურ ხმოვნებს ახასიათებს მაგარი შემართვა. არსებობს წინა რიგის მომრგვალებული ხმოვნები. თვისებრივ რედუქციას ექვემდებარება მხოლოდ ორი ხმოვანი: [e:] და [ɛ:]. თანხმოვნები წარმოითქმინ ენერგიულად, ბოლოკიდურ პოზიციაში მუდამ ყრუვდებიან. შუა გერმანულში ოპოზიცია მჟღერობა-სიყრუის მიხედვით ნეიტრალიზდება მჟღერი თანხმოვნების დაყრუების ხარჯზე, ხოლო ჩრდილოგერმანულსა და ზემოგერმანულში – თანხმოვნის დაყრუებით სიტყვისა და მარცვლის გასაყარზე. ყველა მჟღერი თანხმოვანი წარმოითქმის ნახევრადყრუდ. თანხმოვანთა უმეტესობას არ გააჩნია პალატალიზებული ვარიანტი. მხოლოდ [k], [g], [l] და გაცილებით ნაკლები ხარისხით [p], [b], [m] რბილდება წინა რიგის ხმოვნების წინ. [l], [m], [n] სიტყვის ბოლოს წარმოითქმის უკიდურესად მოკლედ, შეუძლიათ მარცვლის შექმნაც. [t], [d], [n]-ს წარმოითქმისას ენის წინა ნაწილი არტიკულირებს ალვეოლებთან. არსებობს უკუღარული და ფარინგალური ბგერები. გაორმაგებული თანხმოვანი აღნიშნავს გაორმაგებულ ბგერას მხოლოდ რთული სიტყვების ნაწილების და იშვიათად – მორფემების გასაყარზე. მახვილიან მარცვალში ხმოვნის წინ და სიტყვის ბოლოს ყრუ ხშულებისთვის დამახასიათებელია ასპირაცია. სიტყვის ბოლო თანამდევნი ბგერის გარეშეა. მახვილიანი მარცვალი წარმოითქმის ძლიერი კუნთოვანი დაჭიმულობით. თანამახვილი ჩნდება მხოლოდ რთულ (შედგენილ) სიტყვებში. სიტყვის რიტმი დამაკალია. ფრაზული მელოდია ინდივიდუალურია, განსხვავებულია დიალექტების მიხედვით ჩრდილო გერმანიაში – აღმავალია, სამხრეთში – დამაკალი. გერმანული მეტყველების ტონი გაცილებით დაბალია, ვიდრე ფრანგული, მხოლოდ არა იმდენად დაბალი, როგორც ინგლისური; მეტყველებას ახლავს ჟესტები მახვილების ხაზგასმით.

## ფრანგული ენა

ფრანგულისთვის დამახასიათებელია არტიკულაციის ძლიერი დაჭიმულობა, მკაფიოობა და სტაბილურობა. ბაგეები არტიკულირდება ძალიან ენერგიულად, მაგრამ არტიკულაციის დროს კუნთების ინტენსიური მუშაობა თითქმის არ ჩანს: სახე მშვიდია, ლოყები უძრავია. თავისუფალ მდგომარეობაში, ბაგეების კუთხეები დაჭიმულია და აწეულია. ენა ყოველთვის წინაა (გამონაკლისია ბგერა [ɑ]), ენის წვერი ქვედა კბილებთანაა. ხმას არა აქვს ხორხისმიერი ტემბრი. ცხვირისმიერი ხმოვნების არტიკულაციისას, რბილი სასა ჩამოშვე-

<sup>1</sup> იხ. G. Lindner, *Der Sprechbewegungsablauf. Eine phonetische Studie des Deutschen.* Akademie – Verlag – Berlin, 1975; А. П. Голубев, И. Б. Смирнова, *Сравнительная фонетика английского, немецкого и французского языков*, Москва 2005.

ბულია, დანარჩენ შემთხვევებში – აწეულია. სახმო სიმები ძალიან აქტიურია. აქტიურია ნაქიც. ხმოვნები ძალიან დაჭიმულია, ბგერის საწარმოთქმო თვისებები შენარჩუნებულია მთელი ჟღერადობის მანძილზე. არ არის შუა (შერეული) რიგის ხმოვნები, ხმოვანთა უმეტესობა – წინა რიგისაა. დიფთონგები არ არსებობს. ხმოვნის გრძლივობა გავლენას არ ახდენს ლიოობის ხარისხზე. გრძელი და მოკლე ხმოვნები ერთნაირადაა დაჭიმული. არსებობს ოთხი ცხვირისმიერი ხმოვანი. ხმოვნებს ახასიათებს რბილი შემართვა. არსებობს წინა რიგის მომრგვალებულ ხმოვანთა სერია. ხმოვნების ჟღერადობა მკაფიო და ნათელია, რადგან სამეტყველო ორგანოები მზადაა მათ წარმოსათქმელად სახმო სიმების ვიბრაციის დაწყებამდე. ხმოვნებისთვის არ არის დამახასიათებელი თვისებრივი რედუქცია.

თანხმოვნები წარმოითქმიან ძალიან ენერგიულად, სიტყვის ბოლოს არ ყრუვდებიან. როგორც ყრუ, ასევე მჟღერი თანხმოვნები წარმოითქმიან დაჭიმულად. მჟღერობის მიხედვით ოპოზიციის ნეიტრალიზაცია არ ხდება. მჟღერ თანხმოვნებს გააჩნია მჟღერობის მაღალი ხარისხი. რბილად ჟღერენ მხოლოდ [k], [g] და [l] ნებისმიერ პოზიციაში. [l], [m], [n], [ŋ] სიტყვის ბოლოში წარმოითქმიან მოკლედ და მკაფიოდ, არ შეუძლიათ მარცვლის შექმნა.

[t], [d], [n] – თანხმოვნების წარმოთქმისას ენის წინა ნაწილი არტიკულირებს ზედა კბილებთან. არსებობს უვულარული ბგერები, ფარინგალურები – არ არსებობს. გაორმაგებული თანხმოვანი სიტყვის შუაში არ ნიშნავს ბგერის დაგრძელებას, ხოლო მორფემის საზღვარზე ბგერა ყოველთვის არ გრძელდება. ფშვინვა (ასპირაცია) არ არსებობს. სიტყვების ბოლოში შეიძლება გაჩნდეს [ə] ბგერის ელფერი იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა მთავრდება e-ზე. დინამიკური მახვილი არ წარმოადგენს დაჭიმულობის უცაბედ და მკვეთრ გაძლიერებას, იგი მზარდი ხასიათისაა. გამომყოფი მახვილები სხვა ენების ასეთ მახვილებზე ნაკლებად ძლიერები არიან ან საერთოდ არ არსებობენ. დაჭიმულობა თანაბრად ნაწილდება მარცვლებს შორის. დამატებითი მახვილები ცალკეულ სიტყვებში არ არის. სუსტი დამატებითი მახვილი შეიძლება გაჩნდეს მეტყველებაში მხოლოდ მრავალმარცვლიან აზრობრივ ჯგუფებში. სიტყვის რიტმი აღმავალია. რიტმი ბინარულია ან ტერნარული. დამახასიათებელია ძალიან მაღალი საარტიკულაციო დაჭიმულობა რიტმული ჯგუფის ბოლოს და სწრაფი სასაუბრო მეტყველება (6 მარცვალი წამში). ფრაზული მელოდია სქემატურია, ტონის დონე უპირატესად თანაბარია. მძიმის წინ ხდება ტონის აწევა, წერტილის წინ კი – დაწევა. ფრანგი ლაპარაკობს უფრო მაღალი ტონითა და დაჭიმული სამეტყველო აპარატით, ვიდრე გერმანელი ან ინგლისელი, ხშირად იყენებს ჟესტებს.

## 9. ბგერათა აღწერის თანმიმდევრობა

ქართული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების ბგერებს დავახასიათებთ და შევადარებთ ერთმანეთს შემდეგი თანამიმდევრობით:

- წინა რიგის არალაბიალიზებული ხმოვნები;
- წინა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები;

- შუა და უკანა რიგის არალაბიალიზებული ხმოვნები;
- შუა და უკანა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები;
- ცხვირისმიერი ხმოვნები;
- ლიფთონგები და სამხმოვნოანი შეერთებები;
- ხშულ-მსკლომი თანხმოვნები;
- ნაპრალოვანი თანხმოვნები;
- აფრიკატები;
- სონორები და აპროქსიმანტები.

შეპირისპირებით დახასიათებებში ეს თანამიმდევრობა იშვიათად ირღვევა იმ მიზნით, რომ ენების მიხედვით კარგად გამოჩნდეს ჟღერადობით მსგავსი ბგერების მსგავსება და განსხვავება. შედარების შედეგებში ასახულია: სამეტყველო ორგანოების მდგომარეობა, ბგერის მოკლე დახასიათება, ბგერის არტიკულაცია, ბგერის დამატებითი აკუსტიკური მახასიათებლები. ბგერა შეპირისპირებული იქნება იმავე ენის სხვა ბგერასთან ან ბგერებთან, რომლებიც იმყოფებიან ანალოგიურ პოზიციაში (სიტყვაში), ან შეპირისპირებული იქნება ნულოვან ფონემასთან (ბგერის არარსებობასთან); შემდეგ ბგერა შედარებულია სხვა ენათა მსგავს ან რაიმე მახასიათებლით ახლომდგომ ბგერებთან; შემდეგ კი მოცემულია რეკომენდაციები ისეთი ბგერების სწორად დაყენებისა და წარმოთქმისათვის, რომლებიც ენის შემსწავლელთათვის წარმოადგენს სირთულეს; დაბოლოს, ოთხივე ენის მსგავსი ბგერების შესაპირისპირებლად ბგერები, შეძლებისდაგვარად, წარმოდგენილი იქნება სამ პოზიციაში: სიტყვის თავი-დურში, ბოლოკიდურში და შუაში.

## 10. ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი დიაკრიტიკული ნიშნები:

- [:] – გრძელი ხმოვანი, მაგ., [o:];
- [·] – ხმოვნის ნახევარსიგრძე, მაგ., [a·];
- [ǣ]/[ǣ] – უმარცვლო ხმოვანი, მაგ., [ˈamt];
- [ˈ] – ხმოვანთა მაგარი შემართვის ნიშანი, მაგ., [ˈamt];
- [<sup>h</sup>] – თანხმოვანთა ძლიერი ფშვინვის (ასპირაციის) ნიშანი, მაგ., [t<sup>h</sup>a:k<sup>h</sup>];
- [~] – ცხვირისმიერ ხმოვანთა ნიშანი, მაგ., [ǣ̃];
- [ˈ] – ძირითადი მახვილი, მაგ., [ˈsiti];
- [ˌ] – მეორადი მახვილი, მაგ., [ˌzɔn,ˈa:bənt];
- [ˈ] – ფრაზული მახვილი, მაგ., ˈHelga ˈschreibt ˈschnell.

## 11. შემართვა

ბგერის შემართვა ეწოდება ხორხში გამავალი ჰაერით სახმო სიმების განხშვის ხერხს. ეს არის იზოლირებული სამეტყველო ბგერის არტიკულაციის პირველი ფაზა. ხმოვანი ბგერის შემართვა – ეს არის ხმოვანი ბგერის დასაწყისი, ხმოვანი ბგერის არტიკულაციის დაწყების მომენტი, სადაც შეიძლება

განსხვავებული თანფარდობა იყოს სახმო სიმების რხევასა და ფილტვებიდან წამოსული ჰაერის ხორხში გავლის დაწყებას შორის; ამისდა მიხედვით განასხვავებენ მაგარ (ძლიერ), რბილ (სუსტ) და ფშვინვიერ (ასპირირებულ) შემართვას.

*მაგარი შემართვის* დროს, სახმო სიმები ბგერის დასაწყისში მჭიდროდ დაიხშვება და ეწინააღმდეგება ამომავალ ჰაერს. წარმოიქმნება ენერგიული ბგერა, შესამჩნევი „ტკაცუნა“ ელფერით დასაწყისში.

*რბილი შემართვის* დროს, სახმო სიმები ნაკლებად ენერგიულად იხშვება, მათ განხშვას არ ახლავს ჩქამი.

*ფშვინვიერი შემართვის* დროს, სახმო სიმები არასრულად იხშვება. ჰაერი გაივლის სახმო ნაპრალში სიმების დახშვამდე, ამის შემდეგ იხშვებიან სახმო სიმები და იწყებენ ვიბრირებას.

მაგარი და რბილი შემართვების დროს, სახმო სიმები იწყებენ ვიბრირებას უშუალოდ განხშვის შემდეგ.

**ქართული [ ], რბილი შემართვა,** სახმო სიმები ჩქამის წარმოუქმნელად იწყებენ რხევას. ქართული ხმოვნებისათვის დამახასიათებელია რბილი (ნელი) შემართვა.

**არხი** [arχi]

**ორი** [ori]

ქართულ მეტყველებაში ზოგჯერ მაგარი შემართვა წარმოითქმება დაჟინებულად თქმულ **არა** [ˈara]-ში (ახვლედიანი 1999:110) და უარყოფითი რეაქციის ემოციური გამოხატვის დროს.

*შენიშვნა:* ქართულში ძლიერდამართვიანი თანხმოვნებია აბრუპტივები ხმოვნის წინ (ახვლედიანი 1999:110).

**ინგლისური [ ], რბილი შემართვა,** სახმო სიმები ხშივდნ უშუალოდ გადადიან ვიბრაციაზე.

რბილ შემართვათა თანამიმდევრობა ქმნის „გადაბმულობას“: რიტმული ჯგუფის შიგნით, ბოლოკიდური თანხმოვნები, სონორები ან ხმოვნები უერთდებიან მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანს, გადაბმისას თანხმოვნები და ხმოვნები არ იცვლიან თავიანთ თვისებებს. გადაბმა ხდება სინტაგმის ფარგლებში.

**Not at all.** [ˈnɒt ət ˈɑːl]

**an apple** [ən ˈæp(ə)l]

მაგარი შემართვა გვხვდება მხოლოდ ემფატიკური მახვილის დროს:

**It was the only** [ˈəʊnli] **way.**

**He is absolutely** [ˈæbsəluːtli] **wrong.**

**Ladies and gentlemen!** [ˈleɪdɪz ənd ˌdʒentlmən!]

**Is it an apple? – It is.** [ˈɪz ɪt ən ˈæp(ə)l? – ɪt ˈɪz]

**Where is it?** [ˈweə ɪz ɪt?]

**How are you?** [ˈhaʊ ə ˌjuː?]

**გერმანული [']**, **მაგარი შემართვა** (გლოტალური სკლომა), სახმო სიმები ხშირად უშუალოდ გადადიან ვიბრაციაზე.

სახმო სიმები იხშვება და იწყებს ვიბრაციას სკლომასთან ერთად. ჟღერს ყველა თავიკიდური ხმოვნის წინ და რთულ სიტყვათა მეორე ნაწილის წინაც: **Kurort** ['ku:ʁ'tɔrt], **Sonnabend** ['zɔn,'a:bənt]. იმ სიტყვებში, რომლებიც უკვე აღარ აღიქმება რთულებად, ეს ბგერა არ არსებობს: **allein** ['a'lain]. **daraus** [da'r aʊs], **heraus** [he'raʊs]. **hinaus** [hi'nauʃ]. ეს ბგერა არ გააჩნია აგრეთვე მოკლე უმახვილო სიტყვებსაც, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი წინამავლებთან: **will ich** ['vil ɪç], **hat er** ['hat e:ç], **muss es** ['mus es]. ასევე არ გვხვდება ფუძის თავიკიდური ხმოვნის წინ თავსართიან სიტყვებში: **überall** [ˈy:be'ʌl].

**Am Abend aß er einen Eis und einen Apfel**

[ˈam ˈa:bənt ˈa:s ˈe:ç ˈaɪnən ˈaɪs ˈunt ˈʰapfəl]

მაგარი შემართვა განსაკუთრებით გაისმის ხველის ან ჩურჩულით ლაპარაკის დროს. რადგან ეს ბგერა არ არის გამოხატული გრაფიკულად, უცხოელები ხშირად ივიწყებენ მის წარმოთქმას.

**Damen und Herren!** ['dɑ:mən ˈunt ˈherən!]

**Ist das ein Apfel?** [ˈɪst das ˈa ɛn ˈapfəl?]

**Ja, das ist ein Apfel.** [ˈja:} das ˈɪst ˈa ɛn ˈapfəl]

**Wo ist der?** [ˈvo: ˈɪst de:ʁ?]

**ფრანგული [ ]**, **რბილი შემართვა**, სახმო სიმები ხშირად უშუალოდ გადადიან ვიბრაციაზე.

რბილ შემართვათა თანამიმდევრობა ქმნის ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა „გადაჯვარება“ და „გადაბმა“, რითაც აიხსნება სამეტყველო ნაკადის უწყვეტობა. სიტყვებს შორის საზღვრები სრულიად გამქრალია, იქნება რა რიტმულ ჯგუფებში ახალი ერთეულები – მარცვლები. ბგერები შეიძლება გადაჯგუფდნენ კიდევ, რათა შეადგინონ სრულფასოვანი მარცვალი: ბოლოკიდური თანხმოვანი უერთდება მომდევნო სიტყვის ხმოვანს, ბოლოკიდური ხმოვანი კი – მომდევნო ხმოვანთან ერთად შერწყმულად წარმოითქმის.

**Cette œuvre est bonne.** [s ɛ-ˈt ɛ: -vʁ ɛ-ˈbɔn]

**Il va à Arles.** [il - ˈva-a-a-ˈarl]

თანხმოვანთა ხმოვნებთან გადაბმა მდგომარეობს იმაში, რომ გაბმულ მეტყველებაში ხმოვნის წინ მდებარე თანხმოვანი წარმოითქმის, ხოლო იზოლირებულ სიტყვაში – არა. გადაბმა სამ კატეგორიად იყოფა: აუცილებელი, ფაკულტატიური და აკრძალული.

**Mesdames et messieurs!** [me-ˈdam-z ɛ-me-ˈsjø!]

**Est-ce une pomme?** [ɛ -syn-ˈpɔm?]

**C'est une pomme.** [sɛ-t ɛn-ˈpɔm]

**Où est-elle?** [u-ɛ-ˈt ɛl?]

**Comment allez-vous?** [ka-ˈmɑ̃-t a-le-ˈvu?]

## 12. ხმოვანი ბგერები

### 12.1. წინა რიგის არალაბიალიზებული ხმოვნები<sup>1</sup>

#### ქართული ი [i]

წინა რიგის, მაღალი აწეულობის არც ვიწრო და არც ფართო ხმოვანი, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი.

ბაგეები გაწეულია განზე – თითქმის ღიმილის მდგომარეობაში, ენის წვერი ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებთან ძვეს, ჩანს ზედა კბილების მწკრივი, ნეკის თითი ძლივს მოთავსდება ზედა და ქვედა კბილებს შორის, ენა წამოწეულია წინ, წინა ენა ამოზნექილია და საკმაოდ უახლოვდება მაგარ სასას, ამიტომ პირის ღრუს სარეზონანსო არე ორ – წინა (მცირე ზომის) და უკანა (დიდი ზომის) ნაწილებად არის გაყოფილი. ენის გვერდითი კიდეები ეხება მაგარ სასას. რბილი სასა და ნაქი აწეულია და კეტავს ცხვირის ღრუში გასასვლელს. ქართული ი ოდნავ უფრო ღიაა (ფართოა) [i]-ზე და და [i]-ზე უფრო დახურული (ვიწრო).

თითი [t<sup>h</sup>it<sup>h</sup>i]

ის [is]

#### ინგლისური [i:]

წინა რიგის, მაღალი აწეულობის, ვიწრო, გრძელი, დაჭიმული, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება თითქმის ვიწროა. ენა წინ წამოწეულია. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია სასისაკენ. ბაგეები განზე გაჭიმულია, მოჩანს კბილები. რბილი სასა აწეულია. ბგერა შეიძლება პირობითად ასე გამოვხატოთ – [ii:]. სამეტყველო ორგანოების დაჭიმულობა არტიკულაციის ბოლოსკენ თანდათან მატულობს და ბგერა ვიწროვდება.

it [it] – eat [i:t]

mill [mɪl] – meal [mi:l]

გრძელი ხმოვანი ინგლისურ ენაში უფრო გრძელია, ვიდრე გრძელი ხმოვანი ფრანგულ ენაში. ასეთ ბგერას ეწოდება ლიფთონგოიდი.

eve [i:v]

bee [bi:]

neat [ni:t]

<sup>1</sup> *შენიშვნა:* ინგლისური, გერმანული და ფრანგული წინა რიგის ხმოვნების წინამავალი თანხმოვნების წარმოთქმისას (გარდა [f], [ʒ], [tʃ], [dʒ], [l] თანხმოვნებისა) დაუშვებელია კოარტიკულაციური პალატალიზაცია (ანუ თანხმოვანი უნდა წარმოითქვას მაგარი ელფერით).

## გერმანული [i:]

წინა რიგის, მაღალი აწეულობის, ვიწრო, გრძელი, დაჭიმული, არალაბიალიზებული ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება თითქმის ვიწროა. ენა წინ წამოწეულია. ენის წვერი ძალით ებჯინება ქვედა კბილებს. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია სასისაკენ. ბაგეები ნეიტრალურადაა, არ ებჯინებიან კბილებს. რბილი სასა აწეულია არასრულად. სამეტყველო ორგანოები არ იცვლიან მდგომარეობას.

**Ihm** [ˈɪlm] – **ihm** [ˈi:m]

**still** [ʃtɪl] – **Stil** [ʃti:l]

თუმცა გერმანული [i:] ღია უმახვილო მარცვალში კარგავს გრძლივობის ნაწილს, მისი თვისება არ იცვლება: **Alibi** [ˈa:libi:]. ბგერის დიფთონგიზაციის თავიდან ასაცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ მის წარმოთქმას არ უნდა ახლდეს ყბის არავითარი მოძრაობა.

**ihn** [ˈi:n]

**nie** [ni:]

**Bier** [bi:ɐ]

*შენიშვნა:* გერმანული ხმოვნების მსუბუქი ნაზალიზაციის შესახებ იხ. გვ. 20.

## ფრანგული [i]

წინა რიგის, მაღალი აწეულობის, დაჭიმული, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება ვიწროა. ენა წინ წამოწეულია. ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს, გვერდითი ნაწილები კი – ზედა კბილებს. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია სასისაკენ. ბაგეების კუთხეები გაწეულია ღიმილის მსგავსად. რბილი სასა აწეულია. ბგერა შეიძლება იყოს გრძელიც, მოკლეც და ნახევრადგრძელიც.

**dit** [di] – **dire** [di:ʀ]

**gît** [ʒi] – **givre** [ʒi:vʀ]

ფრანგული [i] უფრო დახურულია, ვიდრე გერმანული ან ინგლისური, ხმის ტონში თითქმის ჩქამი ჩნდება. ბგერას უფრო „ნათელი ტონი“ აქვს, ვიდრე გერმანულ ენაში; მოითხოვს უფრო მეტ კუნთოვან დაჭიმულობას, ვიდრე ინგლისური [i:]. ბგერის დიფთონგიზაციის თავიდან ასაცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ მის წარმოთქმას არ უნდა ახლდეს ყბის არავითარი მოძრაობა.

**ivre** [i:vʀ]

**rive** [ʀi:v]

ფრანგული [i] შეიძლება იყოს გრძელიც, მოკლეც და ნახევრადგრძელიც.

**lire** [li:R] – **lit** [li]  
**rire** [Ri:R] – **rit** [Ri]

### ინგლისური [I]

წინა რიგის (უკან გადაწეული), მაღალი აწეულობის, ფართო, მოკლე, არადაჭიმული, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებს შორის დაშორება საშუალოა. ენა წინაა წაწეული. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია სასისაკენ ოდნავ ნაკლებად, ვიდრე [i:]-სათვის. ბაგეები მსუბუქად გაჭიმულია ან უძრავია. აქვს ნაკლებად ნათელი და გამოკვეთილი ტემბრი, ვიდრე [i:]-ს.

**feet** [fi:t] – **fit** [fit]  
**seek** [si:k] – **sick** [sɪk]

განასხვავებენ მოკლე [ɪ]-ს ორ სახეობას. მახვილანი მოკლე [ɪ] – გაცილებით ნაკლებად დახურული და დაჭიმული, ვიდრე ფრანგული [i], და ნაკლებად დახურული, ვიდრე გერმანული [ɪ]. უმახვილო მოკლე [ɪ] – უფრო მეტად ღია: **city** ['sɪti].

**it** [ɪt]  
**city** ['sɪti]  
**big** [bɪg]

### გერმანული [ɪ]

წინა რიგის, მაღალი აწეულობის, ღია, მოკლე, დაჭიმული, არალაბიალიზებული ხმოვანი.

კბილებს შორის დაშორება საშუალოა. ენა ნაკლებადაა წინ წაწეული. ენის წვერი ძალით ებჯინება ქვედა კბილებს. ენის აწეულობა ნაკლებია, ვიდრე [i:]-სათვის. ბაგეები ნეიტრალურადაა. რბილი სასა სრულად არ არის აწეული. ნასესხებ სიტყვებში, ხმოვნის წინ გვხვდება ასევე ზემოკლე, არამარცვლოვანი [ɪ]. არტიკულაციისა და ხარისხის მიხედვით იგი ჰგავს გრძელ [i:]-ს: **Union** ['uɪ̯oːn], **Collier** [ka'li:ɐ:], **Collegium** [ka'le:ɡiʊm]

**ihm** [ʰi:m] – **im** [ʰɪm]  
**ihn** [ʰi:n] – **in** [ʰɪn]

გაცილებით უფრო ღია, ვიდრე ფრანგული [i], და უფრო დახურული, ვიდრე ინგლისური [ɪ].

**ist** [ʰɪst]  
**Wind** [vɪnt]

### ინგლისური [e]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, ვიწრო, მოკლე, არადაჭიმული, არალაბი-ალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

პირი გაცილებით ფართოდაა ღია, ვიდრე [ɪ]-ს წარმოთქმისას. ენა წინ არის წაწეული. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ენის ზურგის შუა ნაწილი ამოზნექილია ზემოთ, მაგრამ არა იმდენად, როგორც [ɪ]-სათვის. ბაგეების კუთხეები გაწეულია. რბილი სასა აწეულია. მახვილიან პოზიციაში წარმო-ითქმის თვისების ცვლის გარეშე.

**mini** ['mini]

**many** ['meni]

**sit** [sɪt]

**set** [set]

პრაქტიკულად შეესაბამება ფრანგულ [ɛ]-ს სიტყვებში **jette**, **mettre**. უფრო დახუ-რულია, ვიდრე გერმანული [ɛ] სიტყვებში **Bette**, **hätte**, და ნაკლებად დახურუ-ლია, ვიდრე გერმანული [ɛ:].

**end** [end]

**bed** [bed]

### გერმანული [e:]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, ვიწრო, გრძელი, დაჭიმული, არალაბი-ალიზებული ხმოვანი.

კბილებს შორის დაშორება საშუალოა. ენა წინ რის წაწეული. ენის წვერი ძვეს ქვედა კბილებზე. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია სასისაკენ, მისი გვერდითი ნაწილები ეხება ზედა კბილებს. ბაგეები ნეიტრალურია. ზედა ბაგე მსუბუქად აწეულია. რბილი სასა აწეულია არასრულად. მუდამ წარმოითქმის თვისების ცვლის გარეშე.

**ihr** ['i:ɐ] – **er** ['e:ɐ]

**Bier** [bi:ɐ] – **Beet** [be:t]

თუმცა ღია უმახვილო მარცვალში კარგავს გრძლივობის ნაწილს, მაგრამ მისი თვისება არ იცვლება: **Meteorologie** [me-teorolo'gi:].

**Erde** ['e:ɐdɐ]

**Tee** [te:]

**sehr** [ze:ɐ]

### ფრანგული [e]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, ვიწრო, მოკლე, დაჭიმული, არალაბი-ალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებს შორის დაშორება ვიწროსთან მიახლოებულია. ენა წინ არის წაწე-

ული. ენის წვერი აწვება ქვედა კბილებს უფრო სუსტად, ვიდრე [i]-ს წარმოთქმისას. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია სასისაკენ ცოტა ნაკლებად, ვიდრე [i] -სათვის. ბაგეების კუთხეები გაწეულია ღიმილისმაგვარად. რბილი სასა აწეულია. ფრანგული [e] მუდამ მოკლეა ან ნახევრადგრძელი, რადგან ჟღერს ღია მარცვალში.

**dis** [di] – **des** [de]

**lis** [li] – **les** [le]

ფრანგული [e] უფრო ღიაა, ვიდრე გერმანული [ɛ:]. ენის აწეულობა იგივეა, რაც ინგლისური [ɪ] -სათვის.

**été** [e'te]

**né** [ne]

**bébé** [be'be]

*შენიშვნა:* თვალყური უნდა მივაღებინოთ, რომ დახურული (ვიწრო) [e] არ შეიცვალოს ღიათი. ამ შეცდომამ შეიძლება გამოიწვიოს არასწორი გაგება: [hæd] (ჰქონდა) ნაცვლად [hed]-ისა (თავი), [vɛn] (თუ) ნაცვლად [ve:n]-ისა (ვის), [fɛ] (ფაქტი) ნაცვლად [fe]-სი (ფერია).

### ქართული ე [ɛ]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

ი-სთან შედარებით უფრო ფართოა, ბაგეების დაჭიმულობა უფრო სუსტია, ვიდრე ი-ს არტიკულაციისას, ენის წვერი ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებთან ძვეს, ენის ტანი წინ არის წამოწეული, ენის ზურგი ამოზნექილია უფრო ნაკლებად და უფრო უკან ვიდრე ი-ს არტიკულაციისას, ამიტომ პირის ღრუს წინა და უკანა რეზონატორების ზომებიც განსხვავებულია. ენის გვერდითი კიდები ოდნავ ეხება მაგარ სასას. რბილი სასა და ნაქი აწეულია და კეტავს ცხვირის ღრუში გასასვლელს. ქართული ე ხმოვანი გარემოცვის და მიხედვით შეიძლება წარმოითქვას როგორ ვიწრო (ɛ) ისე ფართო (ɛ) ვარიანტით (ახველიანი 1938:160). ფაქტობრივად, ე ხმოვანი, იგივე შეიძლება ითქვას ო-ს შესახებაც, ტიპური საშუალო აწეულობის ხმოვანია და ე და ო ხმოვნების ფონეტიკური ტრანსკრიფცია – **ɛ, ɔ** პირობითია.

**ენძელა** [ɛndzɛla]

**ხე** [χɛ]

### გერმანული [ɛ], [ɛ:]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, ფართო, მოკლე ან გრძელი, საშუალო დაჭიმულობის, არალაბიალიზებული ხმოვანი.

კბილებს შორის დაშორება ფართოსთან მიახლოებულია. ენა იმდენად არ არის წაწეული წინ, როგორც [e:]-ს წარმოთქმისას. ენის წვერი ძვეს ქვედა კბილებთან. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია სასისაკენ, მისი კიდეები ეხება ზედა კბილებს. ბაგეები ნეიტრალურია. რბილი სასა აწეულია არასრულად. [ɛ] უფრო დაჭიმულია, ვიდრე [e:]. წარმოთქმის თვისების ცვლილების გარეშე.

**Heer** [he:ɐ] – **Herr** [hɛr] – **Hasin** [ˈhe:zɪn]

**Beet** [be:t] – **Bett** [bet] – **Bär** [bɛ:ɐ]

[ɛ] შეესაბამება ინგლისურ [e]-ს სიტყვაში **pet: Pächter** [pɛçtɚ]. თუმცა [ɛ:] ღია უმახვილო მარცვალში კარგავს გრძლივობის ნაწილს, მისი თვისება არ იცვლება: **Ägyptologie** [ˈɛ:ɡʏptoloˈɡi:].

**es** [ˈɛs] – **Ähre** [ˈɛ:rə]

**Hemd** [hɛmt] – **ähnlich** [ˈɛ:nliç]

### ფრანგული [ɛ]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, ფართო, საშუალო დაჭიმულობის, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებს შორის დაშორება ფართოსთან მიახლოებულია. ენა წინაა წაწეული. ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს. ენის ზურგი ბრტყელადაა. ენის ძირი გადაჭიმულია უკან – ქვემოთ. ბაგეები ნეიტრალურია. რბილი სასა აწეულია. ფრანგული [ɛ] შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე.

**les** [le] – **lait** [lɛ]

**tes** [te] – **taie** [tɛ]

იგი უფრო ღიაა, ვიდრე გერმანული ბგერა. მის გრძლივობას დისტინქციური ფუნქცია აქვს: **renne** [rɛn] – **reine** [rɛ:n], **tette** [tɛt] – **tête** [tɛ:t], **elle** [ɛl] – **aile** [ɛ:l], **belle** [bɛl] – **il hèle** [ilˈbɛ:l], **mettre** [mɛtr] – **maître** [mɛ:tr]. პრაქტიკულად, ამ განსხვავებას, როგორც წესი, არ იცავენ, თუმცა ითვლება სალიტერატურო ნორმად.

**est-ce** [ɛs]

**air** [ɛ:r]

**c'est** [sɛ]

**cette** [sɛt]

**bête** [bɛ:t]

**შენიშვნა:** 1. ინგლისური [ɛə] (= [eə]) ლიფთონგის ბირთვი [ɛ] უფრო ფართოა, ვიდრე გერმანული ბგერა [ɛ], და სახელდობრ, შეესაბამება ფრანგულ [ɛ]-ს. 2. ბგერათა თვისებრივ ერთგვარობას შეიძლება მივალწიოთ სიტყვებში [æ]-სა და [ɛ:]–ს გაწელებით.

## ინგლისური [æ]

წინა რიგის, დაბალი აწეულობის, ვიწრო, მოკლე, არადაჭიმული, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

პირი ფართოდაა ღია, ხორხის კუნთები დაჭიმულია. ენა წინაა წაწეული. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ენის ზურგის შუა ნაწილი ოდნავ ამოზნექილია, მაგრამ გაცილებით ნაკლებად, ვიდრე [ɛ]-ს წარმოთქმისას. ბაგეების კუთხეები ოდნავ გაჭიმულია. რბილი სასა აწეულია. მახვილიან პოზიციაში წარმოითქმის თვისების ცვლილების გარეშე.

**men** [men] – **man** [mæn]

**set** [set] – **sat** [sæt]

ინგლისელი ფონეტიკები ხმოვან [æ]-ს, ტრადიციულად, მოკლე ხმოვნად მიიჩნევენ (მაგ., სიტყვებში **lad**, **pad**), მაგრამ აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ გრძელი [æ]-ც გვხვდება, მაგალითად, სიტყვებში: **map**, **bad**, **match**, **man** (Kreider 2004:54).

**apt** [æpt]

**bat** [bæt]

*შენიშვნა:* ხმოვანთა საერთაშორისო ფონეტიკური დიაგრამის (იხ. გვ. 6) მიხედვით ინგლისური ბგერა [æ] წარმოადგენს შუალედურს [a]-სა და [ɛ]-ს შორის.

## ფრანგული [a]

წინა რიგის ხმოვანი, დაბალი აწეულობის, ფართო, საშუალო დაჭიმულობისა, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი. კბილებს შორის დაცილება ფართოსთან მიახლოებულია. ენა ოდნავ წაწეულია წინ. ენის ზურგი ბრტყელადაა. ენის წვერი ეხებება ქვედა კბილებს. ბაგეები ნეიტრალურია, მსუბუქად დაჭიმული კუთხეებით. რბილი სასა აწეულია. აქვს „ნათელი“ ტემბრი. უფრო ხშირად მოკლეა, თუმცა გრძელიც გვხვდება.

**ras** [Ra] – **race** [RAS]

**lasse** [la:s] – **salle** [sal]

ის უფრო ვიწროა, ვიდრე გერმანული [a]. მის წინ [k], [g] თანხმოვნები რბილდებიან. ამჟამად „ნათელი“ [a]-ს გამოყენება ფრანგულში ფართოვდება უკანა რიგის [ɑ]-ს ხარჯზე. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ფრანგული [a], უმახვილო პოზიციაში, არ დაექვემდებაროს თვისებრივ რედუქციას: **bateau** [ba'to].

**act** [akt] – **algue** [alg]

**là** (la) – **salade** [sa'lad]

**banane** [ba'nan] – **lard** [la:R]

## 12.2. წინა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები

### გერმანული [y:]

წინა რიგის, მაღალი აწეულობის, ვიწრო, გრძელი, დაჭიმული, ლაბიალიზებული ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება თითქმის ვიწროა. ენა წინაა წამოწეული. ენის ზურგის წინა ნაწილი ძლიერადაა აწეული მაგარი სასისაკენ, როგორც [i]-სათვის. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ბაგეები წინაა წამოწეული და ძლიერ მომრგვალებულია, როგორც დახურული [u:]-ს წარმოთქმისას. რბილი სასა აწეულია ნაწილობრივ. უმახვილო მარცვალში არ ექვემდებარება თვისებრივ რედუქციას.

**Kuh** [k<sup>h</sup>u:]

**Kühe** [k<sup>h</sup>y:ə]

**Hut** [hu:t]

**Hüte** [ʰhy:tə]

მიუხედავად ღიაობისა უმახვილო მარცვალში კარგავს გრძლივობის ნაწილს, მისი თვისება არ იცვლება: **Überorganisation** [ʰy-beʹorganizaʼtsi:ɔ:n]. უფრო ფართოა ვიდრე ფრანგული [y:] და წარმოითქმის ენის ნაკლები დაჭიმულობით.

**über** [ʰy:bɐ]

**Tür** [t<sup>h</sup>y:ɐ]

### გერმანული [ʏ]

წინა რიგის, მაღალი აწეულობის, ფართო, მოკლე, არადაჭიმული, ლაბიალიზებული ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება თითქმის ვიწროა. ენა წინაა წამოწეული. ენის ზურგის წინა ნაწილი აწეულია სასისაკენ, როგორც [i]-სათვის. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ბაგეები წინაა წამოწეული და მომრგვალებულია, როგორც [ʊ]-ს წარმოთქმისას. რბილი სასა აწეულია ნაწილობრივ.

**kurz** [kurts]

**kürzer** [k<sup>h</sup>yrtɕə]

**Brust** [brust]

**Brüste** [ʰbrystə]

იგი გაცილებით ფართოა ვიდრე გრძელი [y:] და ოდნავ ფართო, ვიდრე ფრანგული [y]. მას აქვს უფრო „ნათელი“ ტონი, ვიდრე მოკლე ინგლისურ [ʊ]-ს და უფრო წინა ბგერაა (Голубев, Смирнова 2005: 45).

**üppig** [ʰyɸiɸ]

**fünf** [fynf]

### ფრანგული [y]

წინა რიგის, მაღალი აწეულობის, ვიწრო, დაჭიმული, ლაბიალიზებული, არა-ცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება ვიწროა, როგორც [i]-ს წარმოთქმისას. ენა წინაა წამოწეული. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია სასისაკენ, როგორც [i]-ს წარმოთქმისას. ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს, გვერდითი ნაწილები კი – ზედა კბილებს. მომრგვალებული ბაგეები წინაა წამოწეული და თანაბრად დაჭიმული. რბილი სასა აწეულია. ფრანგული [y] შეიძლება იყოს გრძელიც და მოკლაც.

**lune** [lyn] – **luge** [ly:ʒ]

**cube** [kyb] – **cure** [ky:ʀ]

იგი უფრო მეტად დახურულია და აქვს უფრო „ნათელი“ ტონი, ვიდრე გერმანულ [y]-ს.

**une** [yn] – **rue** [ry]

**due** [dyk] – **dur** [dy:ʀ]

**შენიშვნები:** 1. [y], [Y]-ს სწორი წარმოთქმის მისაღწევად, რეკომენდებულია გრძელი [y:]-ს წარმოთქმა თანდათანობითი შემოკლებითა და გაფართოებით. ხმოვნის დელაბიალიზაციის ასაცილებლად, აუცილებელია მეზობელი თანხმოვნების ინტენსიური ლაბიალიზება. [fy] – [vy], [fY] – [vY]-ს წარმოთქმისას სტვენა რომ არ წარმოიშვას, საჭიროა ზედა ტუჩის აწევა. 2. ბგერა [y] არ არსებობს ინგლისურ ენაში. წინწაწეული [ʊ] უფრო უკანაა, ვიდრე გერმანული [Y] და ფრანგული [y].

### გერმანული [ø:]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, ვიწრო, გრძელი, დაჭიმული, ლაბიალიზებული ხმოვანი.

კბილებს შორის მანძილი საშუალოა. ენა წინაა წაწეული. ენის ზურგის წინა ნაწილი აწეულია მაგარი სასისაკენ, როგორც [e:]–ს წარმოთქმისას. ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს. ბაგეები წამოწეულია და მომრგვალებული, როგორც [o:]–ს წარმოთქმისას. რბილი სასა აწეულია არასრულად. სამეტყველო ორგანოები არ იცვლიან მდგომარეობას წარმოთქმის მანძილზე.

**Sohn** [zo:n] – **Söhne** [ˈzø:nə]

**Ofen** [ˈo:fən] – **Öfen** [ˈø:fən]

მსგავსი ბგერა არ არსებობს ინგლისურ ენაში, იგი ნაკლებად ვიწროა, ვიდრე შესაბამისი ფრანგული ბგერა.

**Öl** [ˈø:l]

**Bö** [bø:]

**schön** [ʃø:n]

### ფრანგული [ø]

წინა რიგის, საშუალო აწეულობისა, ვიწრო, დაჭიმული, ლაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

სამეტყველო ორგანოებს (გარდა ბაგეებისა) იგივე მდგომარეობა აქვს, რაც [e]-ს წარმოთქმისას. კბილებს შორის დაცილება ვიწროსთან ახლოსაა. ენა წინაა წაწეული. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია სასისაკენ. ენის წვერი ძვეს ქვედა კბილებზე. ღიმილის ფორმის ბაგეები დაჭიმულია კუთხეებში. რბილი სასა აწეულია. ფრანგული [ø] შეიძლება იყოს გრძელიც, მოკლედ და ნახევრადგრძელიც.

**mieux** [mjø] – **fameuse** [fa'mø:z]

**cieux** [sjø] – **capricieuse** [kapRi'sjø:z]

ფრანგული [ø] უფრო დახურულია, ვიდრე გერმანული [ø:]. ენა ოდნავ უკანაა გადაწეული ჩვეულებრივი წინა პოზიციიდან. [ø]-ს წარმოთქმისას არ არის საჭირო ბაგეების წამოწევა, დამატებითი რეზონატორი ბაგეების გასწვრივა (Голубев, Смирнова 2005: 45).

**eux** [ø]

**deux** [dø]

**creuse** [krø:z]

*შენიშვნა:* გერმანული და ფრანგული ამ ბგერების დიფთონგიზაციის თავიდან ასაცილებლად, მის წარმოთქმას არ უნდა ახლდეს ყბის არავითარი მოძრაობა. [ø]-სა და [ø:]-ს წარმოთქმის დასაყენებლად ამოსავალია [e] – [e:] ინტენსიურად მოძრვალეული ბაგეებით.

### გერმანული [œ]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, ფართო, მოკლე, არადაჭიმული, ლაბიალიზებული ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება ფართოა. ენა წინაა წაწეული. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია სასისაკენ, როგორც [ɛ]-ს წარმოთქმისას. ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს. ბაგეები მოძრვალეულია, მაგრამ არაა წამოწეული, ანუ ისეთი წყობაა, როგორც [ɛ]-ს წარმოთქმისას. რბილი სასა აწეულია არასრულად. ამ ბგერას არ ახასიათებს თვისებრივი რედუქცია.

**Kopf** [kɔpf] – **Köpfe** ['kœpfə]

**Ort** ['ɔrt] – **örtlich** ['œrtliç]

ინგლისურ ენაში არ არსებობს ეკვივალენტური ბგერა. გერმანული [œ] უფრო წინა წარმოების და ოდნავ უფრო დახურული ხმოვანია, ვიდრე ფრანგული [œ].

**öfter** ['œftə]

**zwölf** [tsvœlf]

## ფრანგული [ə]

წინა რიგის ნეიტრალური ხმოვანი, საშუალო აწეულობის და დაჭიმულობის, ლაბიალიზებული, არაცხვირისმიერი.

სამეტყველო ორგანოების მდგომარეობა იგივეა, რაც [æ]-ს ან [ɛ]-ს წარმოთქმისას, მაგრამ ბაგეები წინაა წამოწეული, მომრგვალებული და თანაბრად დაჭიმული ისე, როგორც [ə]-სთვის. კბილებს შორის დაცილება ფართოსთანაა ახლოს. ენა წინაა წამოწეული. ენის ძირი გადაწეულია უკან და დაბლა. ენის ზურგი თითქმის ბრტყლადაა. ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს. რბილი სასა აწეულია. ფრანგულში [ə] წარმოითქმის ერთმარცვლიან დამხმარე სიტყვებში და ღია უმახვილო მარცვალში: **je regarde** [ʒə ʁə'gard], **le premier** [lɛ ʔʁɛ'mjɛ], **demeurer** [dəmœ're], **de l'eau** [də 'lo]. სალექსო სტრიქონებში [ə] ქმნის მარცვალს და სიტყვის ბოლოს ხშირად წარმოითქმის: **l'âme** [lɑ:m(ə)]. **En passant par la Lorraine avec mes sabots...** [ɑ̃ pa-sɑ̃ par la lɔ're nɑ̃ ||a vɛk me sa'bo] (Chanson populaire). ფრანგული [ə] წარმოადგენს ფონემას, რომელიც ასო e-თი გამოიხატება. თუ e-ზე მახვილია, [ə] გადადის [æ]-ში: **dites-le** [dit'lœ].

**leurs pas** [lœ'pa] – **le repas** [lɛ ʁə'pa], [lɛ'ʁpa]  
**je leur dis** [ʒlœ'r'di] – **je le redis** [ʒlɛ ʁə'di], [ʒlɛ'r'di]

[ə] არის შუალედური ბგერა [æ]-სა და [ø]-ს შორის. მის არტიკულაციის დროს ყველა სამეტყველო ორგანო, ბაგეების გარდა, მოშვებულია. იგი უფრო ღიაა, ვიდრე შესაბამისი ინგლისური ბგერა. ინგლისური და გერმანული [ə]-საგან განსხვავებით, მომრგვალებულია.

**je parle** [ʒə 'parl(ə)]

**le mot** [lɛ 'mo]

## ფრანგული [œ]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, ფართო, დაჭიმული, ლაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება ფართოსთანაა ახლოს. ენა წინაა წაწეული. ენის ძირი გადაწეულია უკან და დაბლა. ენის ზურგი თითქმის ბრტყლადაა. ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს. სამეტყველო ორგანოების მდგომარეობა ისეთივეა, როგორც [ɛ]-ს წარმოთქმისას, მაგრამ ბაგეები წამოწეული, მომრგვალებული და თანაბრად დაჭიმულია, როგორც [ə]-სათვის. რბილი სასა აწეულია. შეიძლება იყოს გრძელიც, მოკლაც.

**œuf** [œf] – **heure** [œ:r]

**seul** [sœl] – **leur** [lœ:r]

ენის ზურგის წინა ნაწილი აწეულია, ენა ღრმადაა უკან გადაწეული. უფრო ღიაა და უფრო უკანა, ვიდრე გერმანული [œ]. ფრანგული [œ]-ს წარმოთქმისათვის დამახასიათებელია სუსტი ლაბიალიზაცია.

**fais-le** [fɛˈlœ] – **œuvre** [œːvr]

**neuf** [nœf] – **fleur** [flœːR]

**შენიშვნა:** [œ]-ს წარმოთქმის დასაყენებლად, ამოსავალი ბგერაა [ɛ], რასაც ემატება ბაგეების უმნიშვნელო მოძრავება, ამასთანავე მხოლოდ ოდნავ უნდა ჩანდეს ზედა კბილები. [œ]-ს წარმოთქმას არ უნდა ახლდეს ყბის არავითარი მოძრაობა.

### 12.3. შუა და უკანა რიგის არალაბიალიზებული ხმოვნები

#### ინგლისური [ɜ:]

შერეული (შუა) რიგის, საშუალო აწეულობის, ფართო, გრძელი, დაჭიმული, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

მანძილი კბილებს შორის მცირეა. ენის კორპუსი აწეულია. ენის ზურგი მაქსიმალურად ბრტყელია. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს ან ცოტათი აწეულია. დაჭიმული ბაგეების კუთხეები გაწეულია. რბილი სასა აწეულია. არ იცვლის თვისებებს მთელი წარმოთქმის მანძილზე.

**board** [bɔːd] – **bird** [bɜːd]

**walk** [wɔːk] – **work** [wɜːk]

ქართულ, ფრანგულ და გერმანულ ენებში არ არსებობს მსგავსი ბგერა. ეს ბგერა ფრანგსა და გერმანელს ესმით, როგორც [ø] ან [œ]. ინგლისური [ɜ:] -ს წარმოთქმისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბაგეების გაჭიმვას.

**earl** [ɜːl]

**fir** [fɜː]

**learn** [lɜːn]

#### ინგლისური [ə]

ნეიტრალური ხმოვანია, შუა რიგის, საშუალო აწეულობის, სხვადასხვა გრძლივობის, არადაჭიმული, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი.

[ə] გვხვდება ძალიან ხშირად, რადგან ამ ხმოვანში შეიძლება გადავიდეს ყველა ხმოვანი და დიფთონგი უმახვილო პოზიციაში. აქვს 4 ძირითადი ვარიანტი:

1) ə<sup>(1)</sup> – უფრო ვიწრო, ვიდრე [ʌ], მოკლე, ბაგეები ნეიტრალური, ჟღერს ბოლო-კიდურ პოზიციაში: beggar ['bɛgə];

2) ə<sup>(2)</sup> – შუა რიგის, მაღალი აწეულობის, მოკლე, ჟღერს [k], [g]-სთან:

**akin** [ə'kɪn];

3) [ə<sup>3</sup>] – [ɜ:]-სა და [ʌ]-ს შორის, ნახევრადგრძელი, ჟღერს [s], [z]-ს წინ მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელების, აწმყო დროის მხოლოდითი რიცხვის მე-3 პირის ზმნების, წესიერი ზმნების წარსული დროის მიმდებარე დაბოლოებებში: **beggars** ['begəz], **needed** ['ni:dəd];

4) [ə<sup>4</sup>] – ახლოა [ɜ:]-სთან, მაგრამ უფრო ვიწროა, მოკლე, ბაგეები ნეიტრალურია ან მსუბუქად გაჭიმული, ჟღერს ყველა დანარჩენ პოზიციაში: **away** [ə'weɪ].

**work** [wɜ:k] – **again** [ə'geɪn]

**bird** [bɜ:d] – **member** ['membə]

**apt** [æpt] – **about** [ə'baʊt]

**turn** [tɜ:n] – **today** [tə'deɪ]

ზოგადად ინგლისური [ə] უფრო დახურულია, ვიდრე ფრანგული [ə]. მისი მეოთხე ვარიანტი შეესაბამება გერმანულ [ə]-ს.

ა (1)

–

**better** ['betə]

**cinema** ['sɪnəmə]

ა (2)

**ago** [ə'ɡəʊ]

–

–

ა (3)

–

**sitters** ['sɪtəz]

**ended** ['endəd]

ა (4)

**a lesson** [ə 'les(ə)n]

–

–

### გერმანული [ə]

ნეიტრალური<sup>1</sup> ხმოვანია, შუა რიგის, საშუალო აწეულობის, მოკლე, არადაჭიმული, არალაბიალიზებული, მსუბუქად ნახალიზებული.

კბილებს შორის დაცობა ვიწროსთან მიახლოებულია. ენა ბრტყელადაა, არ არის დაჭიმული. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია, ენის გვერდები ეხება ზედა გვერდით კბილებს. ენა უფრო მეტადაა აწეული, ვიდრე [ɛ]-სათვის, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე [e]-სთვის. ენის წვერი ძვეს ქვედა წინა კბილებთან. ბაგეები არაა დაჭიმული, ზედა ბაგე ოდნავ აწეულია. რბილი სასა აწეულია არასრულად. წარმოითქმის უმახვილო მორფემებში: დაბოლოებებში, სუფიქსებსა და **be-**, **ge-** პრეფიქსებში: **Name** ['na:mə], **Tasse** ['tasə], **Begabung** [bə'ga:bʊŋ], **Gebiet** [ɡə'bi:t], **gerade** [ɡə'ra:də], **nehmen** ['ne:mən], **blühen** ['bly:ən]. ხმოვანი [ə], უმახვილო მარცვალში გადმოიცემა მხოლოდ e ასოთი. მას აქვს გაურკვეველი (არამკაფიო) ტემბრი (დაახლოებით – [ɛ]-სა და [ɛ]-ს შორის).

**Wolken** ['vɔlkən], **Bienen** ['bi:nən], **schöpfen** ['ʃœpfən], **können** ['kœnən]

<sup>1</sup> გერმანული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის მიხედვით – *schwa*.

ამ ბგერის ზედმეტად მკაფიო წარმოთქმა აღიქმება უცხოურ აქცენტად. იგი მთლიანობაში უფრო ვიწროა, ვიდრე ინგლისური ბგერა და ახლოსაა ინგლისური [ə]-ს მეოთხე ვარიანტთან; ფრანგულისაგან განსხვავებით, არ არის ლაბიალიზებული (Голубев, Смирнова 2005: 51).

**Tage** ['ta:gə]

**liegen** ['li:gən]

**bequem** [bɛ'kve:m]

### ინგლისური [ʌ]

შუა რიგის, საშუალო აწეულობის, განსხვავებული ღიაობის, მოკლე, არადაჭიმული, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.<sup>1</sup>

პირი თითქმის ფართოდაა ღია, ხორხის კუნთები დაჭიმულია. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია რბილი სასის წინა ნაწილისაკენ. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს, ბაგეები მსუბუქად გაჭიმულია. რბილი სასა აწეულია. ინგლისური [ʌ] მახვილიან პოზიციაში წარმოითქმის თვისების ცვლილების გარეშე.

**dark** [da:k] – **duck** [dʌk]

**calm** [kɑ:m] – **come** [kʌm]

**us** [ʌs]

**love** [lʌv]

ინგლისური [ʌ] ხმოვნის წარმოთქმას განსხვავებული ვარიაციები ახასიათებს. მაგალითად, ინგლისის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებთა მეტყველებაში, რომლებიც არ ლაპარაკობენ ნორმატიული ბრიტანულით (RP)<sup>2</sup>, არ შეინიშნება განსხვავება ხმოვნებს შორის სიტყვებში: **foot** და **nut**. შოტლანდიაში, კანადისა და აშშ-ს უმეტეს ნაწილში ეს ხმოვანი არის შუა რიგის, საშუალო აწეულობის, ვიწრო [ʌ] ბგერა, ხოლო სამხრეთ ჰემიზირში და ნორმატიულ ბრიტანულში კი – შუა რიგის, დაბალი აწეულობის, ვიწრო [ɛ] - **nut** [nʌt], [nɛt] (Kreidler 2004: 55)

### გერმანული [ɐ]

შუა რიგის, დაბალი აწეულობის, ვიწრო, არადაჭიმული, არალაბიალიზებული ხმოვანი (Mayer 2010: 43).

ენის ზურგი ამოიზნეკილიაა სასისაკენ უფრო მეტად, ვიდრე [ə]-სთვის, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც [o:] -სთვის. ენის აწევა [a]-სა და [ɛ]-ს შუაა. გერმანულ

<sup>1</sup> ამ ბგერას ზოგჯერ უკანა რიგის წინ წაწეულ, საშუალო აწეულობის, ფართო ხმოვანადაც მიიჩნევენ (Голубев, Смирнова 2005: 32).

<sup>2</sup> Received Pronunciation [rɪ'si:vd prəˌnɑnsi'eɪʃən].

მეტყველებაში [ɐ], ჟღერადობის მიხედვით, ახლოსაა [a]-სთან, მაგრამ მეზობელი ბგერების გავლენით, შეიძლება მიუახლოვდეს [ɛ]-სა და [æ]-საც. მარცვლოვან სახესხვაობებში ეს ხმოვანი გვხვდება როგორც [ɛɛ], [ɔɛ]-ს შემცვლელი უმახვილო პრეფიქსებში **er-**, **ver-**, **zer-**, არსებითი სახელების, ზმნებისა და ზედსართავი სახელების სუფიქსებში, რომლებიც შეიცავენ ომოგრაფ **-er-**-ს, ასევე იმ შემთხვევებშიც, ოდესაც **-er** არ წარმოადგენს სუფიქსს. მაგალითად: **erleben** [ˈɛːleːbən], **Lieder** [ˈliːdɐ]. ამ ხმოვანმა ბაგისმიერ თანხმოვანთა მოძღვენო პოზიციაში შეიძლება შეიძინოს მსუბუქი ლაბიალიზაცია: **aber** [ˈaːbɐ]. უმარცვლო [ɛ], როგორც გერმანული ვოკალიზებული **r**-ს ვარიანტი, წარმოითქმის უპირატესად გრძელი ხმოვნების შემდეგ: **der** [deːɐ̯], **wir** [viːɐ̯] (Голубев, Смирнова 2005: 33).

### ქართული ა [a]

შუა რიგის, დაბალი აწეულობის, თითქმის ფართო, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.<sup>1</sup>

ბაგეები ნეიტრალურია, ენის წვერი თავისუფლად ძვეს ქვედა საჭრელ კბილებთან, ენის კორპუსი ოდნავ წინ არის წამოწეული. ენის ზურგი ნეიტრალურ მდგომარეობაშია – არც სასისკენ აიწევა და არც უკან გაიწევა, ამიტომ პირისა და ხახის რეზონატორები თითქმის გაერთიანებულია. ენის გვერდითი კიდეები არ ეხება მაგარ სასას. რბილი სასა ნაქითურთ აწეულია და კეტავს ცხვირის ღრუში გასასვლელს. ეს ხმოვანი წინა რიგის დაბალი აწეულობის [a] ხმოვანთან შედარებით ოდნავ უფრო უკან წარმოითქმის (იხ. გვ. 7).

და [da]

ათი [atʰi]

საათი [saːtʰi]

### გერმანული [a]

შუა რიგის, დაბალი აწეულობისა, ფართო, მოკლე, საშუალო დაჭიმულობის, არალაბიალიზებული ხმოვანი.

პირი ფართოდაა ღია. ენა ოდნავ წაწეულია წინ, ძვეს ბრტყლად. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია. ენის წვერი ძვეს ქვედა კბილებზე. ბაგეები ნეიტრალურია, ზედა ბაგე აწეულია. რბილი სასა აწეულია არასრულად. აქვს „ნათელი“ ჭეშმერი, წარმოითქმის თვისების ცვლილების გარეშე.

**Hahn** [haːn] – **Hand** [hant]

**Saal** [zaːl] – **Salz** [zalts]

<sup>1</sup> მას როგორც შუა რიგის, დაბალი აწეულობის ხმოვანს, გარკვეული ვარიაცია ახასიათებს გარემოცვისა და მიხედვით.

პირი უფრო ფართოდაა ღია, ვიდრე ფრანგული [a]-ს წარმოთქმისას. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ გერმანული [a], უმახვილო პოზიციაში, არ დაექვემდებაროს თვისებრივ რელექციას: **niemand** ['ni:mant].

**als** ['als]

**satt** [zat]

**Amt** ['amt]

### ინგლისური [ɑ:]

ღრმად უკანა რიგის, დაბალი აწეულობის, ფართო, გრძელი, დაჭიმული, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

პირი ფართოდაა ღია. ენა უკანაა გაწეული, მაქსიმალურად ბრტყელია. ენის წვერი არ ეხება ქვედა კბილებს. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია. ბაგეები ნეიტრალურია. რბილი სასა აწეულია. წარმოთქმის თვისების ცვლის გარეშე.

**done** [dʌn] – **darn** [dɑ:n]

**duck** [dʌk] – **dark** [dɑ:k]

ინგლისური [ɑ:] არ უნდა წარმოთქვათ ძალიან ღრმად, იგი ჰგავს ფრანგულ [ɑ:]-ს, მაგრამ უფრო გრძელია. ინგლისური [ɑ:]-ს ნაზალიზაციის თავიდან ასაცილებლად, პირი უნდა გავალოთ ფართოდ.

**arm** [ɑ:m]

**far** [fɑ:]

**class** [kla:s]

### გერმანული [a:]

შუა რიგის, დაბალი აწეულობის, ვიწრო, გრძელი, დაჭიმული, არალაბიალიზებული ხმოვანი.

პირი ფართოდაა ღია. ენა უკანაა გაწეული. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ენის ზურგი აწეულია. ბაგეები ნეიტრალურია. რბილი სასა არასრულადაა აწეული. გერმანულ [a:]-ს ახასიათებს „მუქი“ (დაბალი) ტემბრი და ის წარმოთქმის თვისების ცვლის გარეშე.

**alt** ['alt] – **Aal** ['a:]

**arg** ['ark] – **Aar** ['a:ɐ]

ღია უმახვილო მარცვალში [a:] კარგავს გრძლივობის ნაწილს, მაგრამ მის თვისება არ იცვლება: **Ursula** ['ʊrsula:].

**Art** ['a:ɐt]

**Jahr** [ja:ɐ]

**Bahn** [ba:n]

**aber** ['a:bɐ]

## ფრანგული [ɑ]

უკანა რიგის, დაბალი აწეულობისა, ვიწრო, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

პირი ფართოდაა ღია. ხორხი და ენის ძირი დაჭიმულია. ენა უკანაა გადაწეული, მაგრამ არა ბოლომდე. ენის წვერი ძვეს ალვეოლებზე დაბლა, პირის ფსკერის შუაში. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია. ბაგეები ზოგჯერ შეიძლება სულ ოდნავ მომრგვალებული იყოს, ბაგეების კუთხეები მოშვებულია. რბილი სასა აწეულია. არსებობს [ɑ]-ს გრძელი, ნახევრადგრძელი და მოკლე ვარიანტები. ფრანგული [ɑ]-ს ნაზალიზაციის თავიდან ასაცილებლად, პირი უნდა ფართოდ გავალდოთ.

**là** [la] – **las** [la] – **lasse** [la:s]

**ma** [ma] – **mât** [ma] – **matelas** [mat(ə)'la]

ფრანგული [ɑ] ძალიან ახლოა ინგლისურ [ɑ:]-სთან. ფრანგული [ɑ]-ს ხმარება სირთულეს წარმოადგენს ენის მატარებლებისთვისაც კი. [ɑ]-სა და [ɑ]-ს შორის სწორი არჩევანისათვის რეკომენდებულია ფრანგული საწარმოთქმო ლექსიკონი, რადგანაც ორთოგრაფიული კანონზომიერება არ არსებობს:

**table** [tabl] – **fable** [fa:bl]

**papa** [pa'pa] – **pas** [pa]

**soupirail** [supi'raj] – **rail** [ra:j]

**gars** [ga]

*შენიშვნა:* ბგერის თვისებრივ ერთგვაროვნებას შეიძლება მივალწიოთ სიტყვაში [ɑ]-ს გაწელება-გაგრძელებით.

## 12.4. შუა და უკანა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები

### ქართული უ [u]

უკანა რიგის, მაღალი აწეულობის, ვიწრო, ლაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

ბაგეები დაჭიმულია, წინ აქტიურადაა წამოწეული და მომრგვალებულია იმდენად, რომ კბილები არ უნდა ჩანდეს. ღიაობა უკანა ენასა და რბილ სასას შორის უფრო ვიწროა, ვიდრე **ო**-სთვის. ენის წვერი დაცილებულია ქვედა საჭრელი კბილებისგან, ენის გვერდითი კიდეები ეხება მაგარ სასას. რბილი სასა ნაქითურთ აწეულია და კეტავს ცხვირის ღრუში გასასვლელს.

**რუ** [ru]

**ქურა** [k<sup>h</sup>ura]

**უთო** [ut<sup>h</sup>ა]

### ინგლისური [u]

უკანა რიგის (წინ წაწეული), მაღალი აწეულობის, ფართო, მოკლე, არადაჭიმული, ლაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება ვიწროსთან მიახლოებულია. ენა უკანაა წაწეული, მაგრამ არა იმდენად შორს, როგორც [ɔ:] -ს წარმოთქმისას. ენის წვერი ჩამოშვებულია და მნიშვნელოვნად გაწეულია ქვედა კბილებიდან. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია რბილი სასის წინა ნაწილისკენ. ბაგეები შესამჩნევად მომრგვალებულია, მაგრამ თითქმის არ არის წამოწეული წინ. რბილი სასა აწეულია. ინგლისური [u]-ს ჟღერადობის ბოლოს სამეტყველო ორგანოების დაჭიმულობა იმატებს და ბგერა ვიწროვდება.

**pot** [pɒt] – **put** [pʊt]

**God** [gɒd] – **good** [gʊd]

ინგლისური [u] უფრო მოკლეა, ვიდრე გერმანული [u], ამასთანავე, ენა უფრო წინაა, ვიდრე შესაბამისი გერმანული ან ფრანგული ბგერის წარმოთქმისას.

**book** [bʊk]

### გერმანული [u]

უკანა რიგის, მაღალი აწეულობისა, ფართო, მოკლე, არადაჭიმული, ლაბიალიზებული ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება ვიწროსთან მიახლოებულია. ენა რამდენადმე უკანაა წაწეული. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ენის ზურგის უკანა ნაწილი მაღლაა აწეული. ბაგეები ოდნავ წინ წამოწეულია და მომრგვალებულია. რბილი სასა აწეულია არასრულად. ყველა ხმოვნის მსგავსად, ეს ხმოვანიც არ ექვემდებარება თვისებრივ რელუქციას.

**Fox** [fɔks] – **Fuchs** [fʊks]

**Most** [mɔst] – **musste** [mʊstə]

გერმანული [u] უფრო დახურულია (ვიწროა), ვიდრე ფრანგული [u].

**um** [ʰʊm]

**Kunst** [kʰʊnst]

### ფრანგული [y]

უკანა რიგის, მაღალი აწეულობის, ვიწრო, დაჭიმული, ლაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება ვიწროა. ყბა ჩამოშვებულია, როგორც [i] -ს წარმოთქმისას. ენა ძლიერადაა უკან წაწეული. ენის წვერი არ ეხება ქვედა კბილებს,

ენება ალვეოლებს. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია სასისაკენ. ბაგეები დაჭიმულია, მომრგვალებული და წინ წამოწეული. რბილი სასა აწეულია. [u] ხმოვანი შეიძლება იყოს გრძელიც, მოკლეც და ნახევრადგრძელიც.

**beau** [bo] – **bout** [bu]

**dos** [do] – **doux** [du]

ფრანგულ [u]-ს აქვს „ნათელი“ ელფერი, ის უფრო დახურულია, ვიდრე გერმანული [ʊ]. ფრანგული [u]-ს არტიკულაციის შემდგომი დავიწროებით შესაძლებელია ხმის ტონში წარმოიშვას ჩქამი.

**outré** [utr]

**roue** [ru]

**douce** [dus]

**loup** [lu] – **louve** [lu:v]

**doux** [du] – **douze** [du:z]

ფრანგული [u] რიგისა და აწეულობის მიხედვით, შეესაბამება გრძელ გერმანულ [u:]-ს სიტყვაში **Kuh**, იგი შესაბამის ინგლისურ და გერმანულ ბგერებზე ვიწროა. ამ ბგერის დიფთონგიზაციის თავიდან ასაცილებლად, მის წარმოთქმას არ უნდა ახლდეს ყბის არავითარი მოძრაობა.

**ouvre** [u:vr]

**pour** [pu:r]

**შენიშვნა:** გერმანული [ʊ]-ს წარმოთქმისას წინწაწეული ინგლისური [ʊ]-საგან განსხვავებით, ენის წვერი არ უნდა მოსცილდეს ქვედა კბილებს. ფრანგული [u]-ს წარმოთქმისას აუცილებელია ენისა და ბაგეების დაჭიმვა.

### ინგლისური [u:]

ღრმად უკანა რიგის, მაღალი აწეულობის, ვიწრო, გრძელი, დაჭიმული, ლაბი-ალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებს შორის მანძილი მცირეა. პირი ნაკლებადაა ღია, ვიდრე [ʊ]-სათვის. ენა უფრო უკანაა წაწეული, ვიდრე [ʊ]-ს წარმოთქმისას. ენის წვერი ჩამოშვებულია და მნიშვნელოვნადაა მოცილებული ქვედა კბილებს. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია უფრო მაღლა, ვიდრე [ʊ]-ს წარმოთქმისას. ბაგეები შესამჩნევად მომრგვალებულია, მაგრამ თითქმის არ არის წამოწეული წინ. [u:] სამეტყველო ორგანოების დაჭიმულობა იზრდება ჟღერადობის ბოლოსაკენ, ბგერა ვიწროვდება [u:]-მდე, დასაწყისში უფრო ფართოა და ნაკლებად დაჭიმულია, ვიდრე [ʊ]. ასეთ ბგერას ეწოდება დიფთონგოიდი.

**good** [gʊd]

**goose** [gu:s]

**book** [buk]

**boot** [bu:t]

ინგლისური [u:] არ წარმოადგენს ძალიან ღრმა ბგერას, იგი უფრო ნაკლებად დახურულია, ვიდრე ფრანგული და უფრო მეტად დახურულია, ვიდრე გერმანული [u]; გერმანული ბგერისაგან განსხვავებით, მომრგვალებული ბაგეები უფრო ენერგიულადაა დახურული. ლაბიალიზაცია თითქმის [w]-ს დონემდეა.

**ooze** [u:z]  
**true** [tru:]  
**boot** [bu:t]

### გერმანული [u:]

უკანა რიგის, მაღალი აწეულობის, ვიწრო, გრძელი, დაჭიმული, ლაბიალიზებული ხმოვანი.

კბილებს შორის მანძილი მცირეა. ენა უკანაა წაწეული. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია ძალიან მაღლა, უფრო მაღლა, ვიდრე [ʊ]-სათვის. ბაგეები წამოწეულია და მომრგვალებულია უფრო მეტად, ვიდრე [ʊ]-ს წარმოთქმისას. ამ ბგერის წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოები არ იცვლის მდგომარეობას. [u:] ხმოვნის დიფთონგიზაციის თავიდან ასაცილებლად, მის წარმოთქმას არ უნდა ახლდეს ყბის არავითარი მოძრაობა.

**Sucht** [zʊxt]  
**sucht** [zu:xt]  
**Busch** [bʊʃ]  
**Buch** [bu:x]

გერმანული [u:], როგორც ყველა გრძელი ხმოვანი, უმახვილო მარცვალში კარგავს გრძლივობის ნაწილს: **Känguruh** ['kɛŋguru:].

**Uhr** [ˈu:ɐ]  
**kuh** [kʰu:]  
**Mut** [mu:tʰ]

### ქართული ო [ɔ]

უკანა რიგის, საშუალო აწეულობის, ლაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

ბაგეები ოდნავ წინ წამოწეულია და მომრგვალებულია იმდენად, რომ კბილები შეიძლება ჩანდეს. ენის წვერი ოდნავ დაცილებულია ქვედა საჭრელი კბილებსაგან, ენის ზურგი აიწევა რბილი სასისკენ უფრო ნაკლებად, ვიდრე უ-სთან. უკანა ენის ზურგი მაგარი სასის ბოლოს ოდნავ ეხება. ხახის კედელსა ენის უკანა ნაწილს შორის საკმაო ზომის სარეზონანსო არეა შექმნილი. რბილი სასა და ნაქი აწეულია და კეტავს ცხვირის ღრუში გასასვლელს.

**ორმო** [ɔrma]  
**ბოლი** [bɔli]

## გერმანული [ა]

უკანა რიგის, საშუალო აწეულობის, ფართო, მოკლე, არადაჭიმული, ლაბი-ალიზებული ხმოვანი.

პირი ფართოდაა ღია. ენა უკანაა წაწეული. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია სასისაკენ უფრო მაღლა, ვიდრე [a:]–ს წარმოთქმისას. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ბაგეები ოდნავ მომრგვალებულია, მაგრამ წინ არ არის წამოწეული. ზედა ბაგის ქვეშ ჩანს ზედა კბილები. რბილი სასა არასრულადაა აწეული. წარმოთქმის თვისების ცვლილების გარეშე.

**arg** [ˈark] – **morgen** [ˈmɔrgən]

**Affe** [ˈafə] – **oft** [ˈɔft]

გერმანული [ა] წარმოთქმის ენის მაღლა აწევით და ბაგეების უფრო ენერგიული მომრგვალებით, ვიდრე ინგლისური [ɒ], ანუ გაცილებით დახურულია. ხოლო ფრანგულ [ɑ]–სთან შედარებით უფრო მეტად უკანა და დახურულია.

**oft** [ˈɔft]

**fort** [fɔrt]

## ფრანგული [ა]

უკანა რიგის, საშუალო აწეულობის, ფართო, მოკლე, დაჭიმული, ლაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებსმორის დაცილება თითქმის ფართოა. ენა მსუბუქად წაწეულია უკან, ენის ზურგი თითქმის ბრტყლადაა. ენის წვერი ქვედა კბილების ალვეოლებზეა, თუმც კბილებს არ ეხება. ბაგეები მომრგვალებულია და წინაა წამოწეული. ზედა ბაგე აწეულია და მოჩანს ზედა კბილები. რბილი სასა აწეულია. შეიძლება იყოს მოკლეც და გრძელიც.

**botte** [bɔt] – **bord** [bɔːR]

**lotte** [lɔt] – **loge** [lɔːʒ]

ფრანგული [ა] უფრო მეტად დახურულია, ვიდრე ინგლისური [ɒ] და უფრო ღიაა, ვიდრე გერმანული [a]. ენის ზურგის წინა ნაწილი ოდნავ წინაა წაწეული და ხშირად მსუბუქად აწეულია, რაც ბგერას აძლევს [œ]–ს შეფერილობას. ფრანგული [ა]–ს წარმოთქმისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბაგეების ღიად მომრგვალებას.

**ode** [ɔd] – **or** [ɔːR]

**forme** [fɔRm] – **tort** [tɔːR]

**შენიშვნა:** ბგერის თვისებრივ ერთგვაროვნებას შეიძლება მივალწიოთ სიტყვაში [ა]–ს გაწელება-გაგრძელებით.

### ინგლისური [ɔ:]

ღრმად უკანა რიგის, დაბალი აწეულობის, ვიწრო, გრძელი, არადაჭიმული, ლაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება ფართოსთანაა ახლოს. ენა უკანაა გაწეული, ოდნავ დაბლა. ენის წვერი საკმაოდ გაწეულია ქვედა კბილებიდან. ენის ზურგის უკანა ნაწილი ამოზნექილია სასისაკენ უფრო მეტად, ვიდრე [ɒ]-ს წარმოთქმისას. დაჭიმული ბაგეები მომრგვალებულია გაცილებით მეტად, ვიდრე [ɒ]-სთვის და ცოტა წინაა წამოწეული. რბილი სასა აწეულია.

**not** [nɒt]

**naught** [nɔ:t]

**spot** [spɒt]

**sport** [spɔ:t]

ამ ბგერის ყველა ვარიანტი, აწეულობის მიხედვით, გერმანულ [ɔ]-სა და [o:] -ს შუა იმყოფება, თუმცა ლაბიალიზაცია ოდნავ უფრო სუსტია.

**or** [ɔ:]

**four** [fɔ:]

**warm** [wɔ:m]

### გერმანული [o:]

უკანა რიგის, საშუალო აწეულობის, ვიწრო, გრძელი, დაჭიმული, ლაბიალიზებული ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება საშუალოა. ენა უკანაა გადაწეული. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია სასისაკენ ცოტა ნაკლებად, ვიდრე მოკლე [ɔ]-ს წარმოთქმისას. ბაგეები მომრგვალებულია და წინ გამოშვერილი. რბილი სასა აწეულია არასრულად. გერმანული [o:] წარმოთქმის თვისების უცვლელად.

**Bord** [bɔrt]

**bohrt** [bo:ɐt]

**schoss** [ʃɔs]

**Schoß** [ʃo:s]

ღია, უმახვილო მარცვალში [o:] ხმოვანი კარგავს გრძლივობის ნაწილს, თუმცა მისი თვისება არ იცვლება: **Otto** [ˈɔtɔ:], იგი ჟღერადობის მიხედვით, ფრანგულ [o]-სთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ინგლისურ [ɔ:] -სთან. უფრო მეტად დახურულია, ვიდრე შესაბამისი ინგლისური ან ფრანგული ბგერა.

**Ohr** [ˈɔ:ɐ]

**so** [zo:]

**Boot** [bo:t]

## ფრანგული [o]

უკანა რიგის ხმოვანი, საშუალო აწეულობის, ვიწრო, დაჭიმული, ლაბიალიზებული, არაცხვირისმიერი.

კბილებს შორის დაცილება ვიწროსთან ახლოს არის. ყბა ოდნავ უფრო ჩამოშვებულია, ვიდრე [e]-ს წარმოთქმისას. ენა უკანაა გადაწეული. ენის წვერი არ ეხება ქვედა კბილებს. ენის ზურგის უკანა ნაწილი ოდნავ უფრო მეტად არის აწეული სასისაკენ, ვიდრე [a]-სათვის. ბაგეები წამოწეულია წინ, ძალიან დაჭიმულია და მომრგვალებულია. ბაგეებს შორის გასასვლელი დაახლოებით ნეკის დიამეტრის ტოლია. რბილი სასა აწეულია. ფრანგული [o] მახვილიან პოზიციაში წარმოითქმის თვისების უცვლელად; [o] ხმოვანი შეიძლება იყოს როგორც მოკლე, ასევე გრძელი.

**beau** [bo] – **rose** [RO:Z]

**dos** [do] – **dose** [do:Z]

ფრანგული [o]-ს სწორი არტიკულაციისათვის აუცილებელია ენისა და ბაგეების კუნთოვანი დაჭიმულობა. იგი უფრო დახურულია, ვიდრე ინგლისური [ɔ:] და უფრო ღიაა, ვიდრე გერმანული [o:].

**eau** [o] – **hôte** [o:t]

**faux** [fo] – **fausse** [fo:s]

*შენიშვნები:* 1. გრძელი [o:] არ უნდა წარმოითქვას [ʊ]-სთან ერთად, ისე როგორც ინგლისურ [əʊ] დიფთონგში; 2. ბგერის თვისებრივ ერთგვაროვნებას შეიძლება მივაღწიოთ სიტყვაში [ə:]-სა და [o:] -ს გაწელება-გაგრძელებით.

## ინგლისური [ɒ]

ღრმა უკანა რიგის, დაბალი აწეულობის, ფართო, მოკლე, არადაჭიმული, მსუბუქად ლაბიალიზებული, არაცხვირისმიერი ხმოვანი.

პირი ფართოდაა ღია. ენა უფრო უკანაა წაწეული, ვიდრე [a:] -ს წარმოთქმისას. ენის ზურგის უკანა ნაწილი აზნექილია რბილი სასისაკენ ცოტათი მეტად, ვიდრე [a:] -სათვის. ენის წვერი პირის ფსკერზეა, უფრო შორს, ვიდრე [a:] -სათვის. ბაგეები ოდნავ მომრგვალებულია, მაგრამ წინ არ არის წამოწეული. რბილი სასა აწეულია.

**bus** [bʌs] – **boss** [bɒs]

**nut** [nʌt] – **not** [nɒt]

ინგლისური [ɒ] ძალიან ღია ბგერაა, უფრო ღია, ვიდრე გერმანული და ფრანგული [a], მახვილიან პოზიციაში წარმოითქმის თანაბრად, ბგერითი ელფერის გარეშე.

**on** [ɒn]

**dog** [dɒg]

## 12.5. ცხვირისმიერი (ნაზალური) ხმოვნები

### ქართული

ქართულში ცხვირისმიერი ხმოვნები არ მოგვეპოვება.

**წენგო** [ts'ɛŋgɔ]

**შანსი** [ʃansi]

### ინგლისური

ნორმატიულ ინგლისურში ცხვირისმიერი ხმოვნები არ არის.

**lung** [lʌŋ] – **lance** [lɑ:ns]

**sung** [sʌŋ] – **chance** [tʃɑ:ns]

ფრანგულიდან ნასესხებ სიტყვებში [ɔ̃] ჟღერს როგორც [ɔm]: **ombre** ['ɔmbɔ], [ɑ̃] – როგორც [ɑ:n]: **chance** [tʃɑ:ns] და [ɑ̃] ჟღერს როგორც [ju:m] ან [ju:n]: **perfume** ['pɜ:fju:m], **importune** [ɪmpɔ'tju:n].

### გერმანული [ä:]

შუა რიგის, დაბალი აწეულობის, საშუალო დაჭიმულობის, ლაბიალიზებული, ორალურ-ნაზალური (ჰაერის ნაკადი ერთდროულად გამოდის პირიდან და ნესტოებიდან) ხმოვანი.

ამ ხმოვნის არტიკულაცია იგივეა, როგორც შესაბამისი ფრანგული ბგერებისა, რადგან იგი გვხვდება მხოლოდ ფრანგულიდან ნასესხებ სიტყვებში, მაგრამ მუდამ გრძელია.

**elegant** ['ele'g ä:]

**Arrangement** ['arãžə'm ä:]

გერმანული [ä:] ფრანგულ შესაბამის ხმოვანთან შედარებით, სუსტად არის ნაზალიზებული და უმახვილო მარცვალში არ ექვემდებარება თვისებრივ რედუქციას: **Centime** [sɛ̃'ti:m]. ჩრდილო გერმანიაში [ä]-ს ხშირად წარმოთქვამენ, როგორც [aŋ], რაც არ არის მართებული (Голубев, Смирнова 2005: 55).

**Anjou** ['a'žɔ:]

**Adam** ['a'dä:]

**Chance** [ʃä:s], [ʃa:sə]

### ფრანგული [ɑ̃], [ɑ:]

უკანა რიგის, დაბალი აწეულობის, საშუალო დაჭიმულობის, ლაბიალიზებული, ორალურ-ნაზალური ხმოვანი.

სამეტყველო ორგანოების მდგომარეობა თითქმის ისეთივეა, როგორც [ɑ]-ს წარმოთქმისას. პირი ფართოდაა ღია. სორხი და ენის ძირი დაჭიმულია. ენა

უკანაა გადაწეული. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია. ენის წვერი ალვეოლების ქვემოთ ძევს. [ã]-ს წარმოთქმისას, ენა არის უფრო უკან და მაღლა, ვიდრე [a]-ს წარმოთქმისას. ბგერა [ã] უფრო დაჭიმულია, ვიდრე [a] და აქვს უფრო დაბალი ტონი. ბაგეები ოდნავ მომრგვალებულია, ბაგეების კუთხეები მოშვებულია. რბილი სასა ჩამოშვებულია. ამ ხმოვნის შემდეგ ბგერა [n] ჩნდება მხოლოდ გადაბმისას: **en Octobre** [ã·nɔk'tɔbr].

**pas** [pa] – **pan** [pã]

**chat** [ʃa] – **chante** [ʃã:t]

**anse** [ã:s] – **rang** [Rã]

ფრანგული ცხვირისმიერი ხმოვანი არ უნდა მივამსგავსოთ ინგლისურ ან გერმანულ სონორს. [ŋ]-ს წარმოთქმისას, რბილი სასა და ენის უკანა ნაწილი იხშვება, ცხვირისმიერი ხმოვნების წარმოთქმის დროს კი – არა და ხელი არ ეშლება ჰაერის ნაკადის გამოსვლას პირიდან (Голубев, Смирнова 2005: 55).

**შენიშვნა:** [ã], [ã:]-ს წარმოთქმისას, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ, რომ ენა არ ეხებოდეს რბილ სასას და ბაგეები იყოს ოდნავ მომრგვალებული. ამ ნაწილში ინგლისური ბგერები მოყვანილია მხოლოდ ნასესხებ სიტყვათა მახასიათებლებთან, არტიკულაციასთან და ორთოგრაფიასთან შესადარებლად.

### გერმანული [ɛ:]

წინა რიგის, საშუალო აწეულობისა, ფართო, საშუალო დაჭიმულობის, არალაბიალიზებული ორალურ-ნაზალური ხმოვანი.

ამ ხმოვნის არტიკულაცია იგივეა, როგორც შესაბამისი ფრანგული ბგერებისა, რადგან იგი გვხვდება მხოლოდ ფრანგულიდან ნასესხებ სიტყვებში. ეს ხმოვანი მუდამ გრძელია.

**Bassin** [ba'sɛ:]

**Dessin** [de'sɛ:]

გერმანული [ɛ:] უფრო სუსტად არის ნაზალიზებულია, ვიდრე ფრანგულ ენაში და უმახვილო მარცვალში არ ექვემდებარება რელექციას – **Clavecin** [klavə'sɛ:]

### ფრანგული [ɛ], [ɛ:]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, ფართო, საშუალო დაჭიმულობის, არალაბიალიზებული, ორალურ-ნაზალური ხმოვანი.

სამეტყველო ორგანოების მდგომარეობა თითქმის იგივეა, რაც [ɛ]-ს წარმოთქმისას, მხოლოდ ენა არის უფრო უკან და დაბლა. პირის ღიაობა ფართოსთან მიახლოებულია ან ფართოა. ენის ძირი უკან და დაბლა გადაწეული. ენის

ზურგი ბრტყლადაა. ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს. ბაგეები ნეიტრალურია. რბილი სასა ჩამოშვებულია. [ḙ]-ს ტონი უფრო დაბალია, ვიდრე [ɛ]-სი. მხოლოდ გადაბმისას ჩნდება ამ ხმოვნის შემდეგ [n] ბგერა: **le pin et le sapin** [lə pḙ ne lə sa'pḙ].

**fait** [fɛ] – **faini** [fḙ]

**paix** [pɛ] – **peintre** [pḙ:tr]

ფრანგული [ḙ] და [ḙ:] ხმოვნები უფრო ღიაა, ვიდრე [ɛ], ისინი ჰგავს ინგლისურ ნაზალიზებულ [æ]-ს.

**hein** [ḙ]

**clavecin** [klav(ə)'sḙ]

**Reims** [Rḙ:s]

*შენიშვნა:* [ḙ], [ḙ:]-ს წარმოთქმისას, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ, რომ ენა არ ეხებოდეს რბილ სასას.

### გერმანული [ḙ:]

უკანა რიგის, საშუალო აწეულობის (ვიწრო და ფართო ხმოვნებს შორის), საშუალო დაჭიმულობის, ლაბიალიზებული, ორალურ-ნაზალური ხმოვანი.

ამ ხმოვნის არტიკულაცია იგივეა, როგორც შესაბამისი ფრანგული ბგერებისა, რადგან იგი გვხვდება მხოლოდ ფრანგულიდან ნასესხებ სიტყვებში, მაგრამ მუდამ გრძელია.

**Karton** [kar'tḙ:]

**Ballon** [ba'lḙ:]

**Fond** [fḙ:]

**Chaiselongue** [ʃɛzə'lḙ:k]

გერმანული [ḙ:] ფრანგულ შესაბამის ხმოვანთან შედარებით, სუსტად არის ნაზალიზებული და უმახვილო მარცვალში არ ექვემდებარება თვისებრივ რედუქციას. ჩრდილო გერმანიაში [ḙ]-ს ნაცვლად ხშირად წარმოთქვამენ [ɔḙ]-ს, რაც არ არის მართებული. (Голубев, Смирнова 2005: 55).

### ფრანგული [ḙ], [ḙ:]

უკანა რიგის, საშუალო აწეულობის (ვიწრო და ფართო ხმოვნებს შორის), საშუალო დაჭიმულობის, ლაბიალიზებული, ორალურ-ნაზალური ხმოვანი.

[ḙ], [ḙ:] ნაზალურ ხმოვნებს აქვს ღიაობის ნაკლები ხარისხი, ვიდრე [ɔ]-ს, ყბა ჩამოშვებულია ცოტა ნაკლებად, ვიდრე [ɛ]-ს წარმოთქმისას. ენა უფრო უკან და მაღლა გადაწეული [o]-სთან შედარებით, ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია სასისაკენ. ენის წვერი არ ეხება ქვედა კბილებს. ბაგეები წინაა

წამოწეული, მომრგვალებულია და ძალიან ძლიერადაა დაჭიმული. ბაგეებს შორის გასასვლელი დაახლოებით ნეკის დიამეტრის ტოლია. რბილი სასა ჩამოშვებულია. [წ]-ს უფრო დაბალი ტონი აქვს, ვიდრე [ო]-ს. მხოლოდ გადაბმისას ჩნდება ამ ხმოვნის შემდეგ [n] ბგერა: **Bon appetit!** [bɔ̃·napɛ'ti].

**peau** [pɔ] – **pont** [pɔ̃]

**nomme** [nɔm] – **monde** [mɔ̃:d]

ცხვირისმიერი [წ] მიახლოებულია გერმანულ [o:] -სთან, იმ განსხვავებით, რომ რბილი სასა ჩამოშვებულია (Голубев, Смирнова 2005: 59).

**honte** [ɔ̃:t]

**carton** [kaR'ɫɔ̃]

**longue** [lɔ̃:g]

**შენიშვნა:** [წ], [წ̃], [ო̃]-ს წარმოთქმისას ენა არ უნდა ეხებოდეს რბილ სასას და ბაგეები იყოს ოდნავ მომრგვალებული, ასევე აუცილებელია მივალწითოთ წინამავალი თანხმოვნის მაგარ ელფერს [f], [ვ], [ტ], [ძ], [l] თანხმოვნების გამოკლებით.

### გერმანული [œ:]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, ფართო, საშუალო დაჭიმულობის, ლაბიალიზებული, ორალურ-ნაზალური ხმოვანი.

ამ ხმოვნის არტიკულაცია იგივეა, როგორც შესაბამისი ფრანგული ბგერებისა, რადგან იგი გვხვდება მხოლოდ ფრანგულიდან ნასესხებ სიტყვებში, მაგრამ მუდამ გრძელია.

**Melun** [mœ'lỹ:]

გერმანული [œ:] უმახვილო მარცვალში არ ექვემდებარება რედუქციას და უფრო სუსტად არის ნაზალიზებული, ვიდრე ფრანგულ ენაში.

**Parfum** [paR'fœ:]

**Lumbres** [lœ̃:brœ]

### ფრანგული [œ], [œ̃:]

წინა რიგის, საშუალო აწეულობის, ფართო, საშუალო დაჭიმულობის, ლაბიალიზებული, ორალურ-ნაზალური ხმოვანი.

კბილებს შორის დაცილება 5-8 მმ-ია. [œ]-ს წარმოთქმისას ენა უფრო უკანაა და დაბლა, ვიდრე [œ̃]-სათვის. ენის ძირი უკან და დაბლაა გადაწეული. ენის ზურგი თითქმის ბრტყლადაა. ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს. ბაგეები წინაა წამოწეული, მომრგვალებულია და თანაბრად დაჭიმული, როგორც [ი]-სათვის. რბილი სასა ჩამოშვებულია. [œ̃]-ს უფრო დაბალი ტონი აქვს, ვიდრე

[æ]-ს. სონორი [n], ამ ხმოვნის შემდეგ, ჩნდება მხოლოდ გადაბმისას: **un ami** [œ'n a'mi].

**tribune** [tri'bɥn] – **tribun** [tri'bœ̃]

**chacune** [ʃa'kyɥn] – **chacun** [ʃa'kœ̃]

თანამედროვე ფრანგულ ენაში შეინიშნება [œ̃]-ს [ɛ̃]-სთან მიახლოების ტენდენცია [œ̃]-ს დელაბიალიზაციის ხარჯზე; თუმცა ამ ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა: **P'un** [lœ̃] (ერთი) – **lin** [lɛ̃] (სელი), **brun** [brœ̃] (ყავისფერი) – **brin** [brɛ̃] (ბალახის ღერო), **emprunt** [ɑ̃'prœ̃] (სესხი) – **empreint** [ɑ̃'prɛ̃] (დაბეჭდილი).

**humble** [œ̃:bl]

**parfum** [paʁ'fœ̃]

**Lundi** [lœ̃'di]

*შენიშვნა:* [œ̃]-ს წარმოთქმისას ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ენა არ ეხებოდეს რბილ სასას და ბაგეები იყოს ოდნავ მომრგვალებული; ასევე აუცილებელია მივადწიოთ წინამავალი თანხმოვნის მაგარ ელფერს [ʃ], [ʒ], [tʃ], [dʒ], [l] თანხმოვნების გამოკლებით.

## 12.6. ხმოვანთა შენარჩუნება უმახვილო მარცვლებში

### ქართული

სალიტერატურო წარმოთქმაში ქართული ხმოვნების ერთ-ერთი თავისებურებაა სათანადო კუნთების დაჭიმულობის შედეგად არარედუცირებული, მკაფიო და გამოკვეთილი არტიკულაცია (ჟღერტი 1956:31). თუმცა ზეპირმეტყველებაში ორი ხმოვნის ნაცვლად დიფთონგის წარმოთქმის შემთხვევებიც გვაქვს, განსაკუთრებით უცხო სიტყვებში.

ქართულ მახვილიანსა და უმახვილო ხმოვნებს შორის არ არის არსებითი განსხვავება, როგორც ტემბრის, ისე გამოკვეთილობის თვალსაზრისით, თუმცა იზოლირებულად წარმოთქმული სიტყვის ან წინადადების ბოლოს ხმოვანი, როგორც წესი, დასუსტებულია. ქართულ წარმოთქმაში ხმოვნისა და თანხმოვნის ურთიერთგავლენა ძალიან სუსტია.

### ინგლისური

ძირითადი სირთულეა – სად უნდა წარმოითქვას ნეიტრალური ხმოვანი. ხმოვანი უმახვილო პოზიციაში ყოველთვის არ გადადის [ə]-ში. სამეცნიერო ტერმინები, ნასესხობები, მწიგნობრული ენის ზოგიერთი სიტყვა ინარჩუნებს სრულ ხმოვნებს ან დიფთონგებს: **epoch** ['i:pɒk], **expert** ['ekspɜ:t], **institute** ['ɪnstɪtju:t] და

სსვ. სრული ხმოვნები და ღიფთონგები ასევე შეიძლება შევგვხვდეს მახვილისწინა პირველ მარცვალში: **endemic** [en'demɪk]; მახვილიან მარცვლებს შორის: **adaptation** ['ædæp'teɪʃ(ə)n], **insomuch** ['ɪnsəʊ'mʌtʃ]; მახვილიან პოზიციაში: **abstract** ['æbstrækt]. გაურკვევლობის შემთხვევაში, უნდა მივმართოთ ლექსიკონს ტრანსკრიფციით.

### გერმანული

ყველა უმახვილო ხმოვანი, [e:]–ს გარდა, მითითებულ სამ პოზიციაში ინარჩუნებს თავის თვისებას. გრძელ ხმოვნებს ეცვლებათ მხოლოდ გრძლივობა: **Analyse** ['ænd'ly:zə], **Sirene** [zi're:nə], **Melone** [me'lo:nə], **Tango** ['tæŋɡo-], **Pyramide** [pyra'mi:də], **Amulette** ['amu'let].

### ფრანგული

ყველა ხმოვანი, უმახვილო მარცვალში, ინარჩუნებს თავის თვისებას. გრძელ ხმოვნებს ეცვლებათ მხოლოდ გრძლივობა: **une bande** [yn 'bɑ̃:d] – **un banlieu** [ɑ̃·bɑ̃·'ljø]

## 12.7. ნეიტრალური [ə] ხმოვნის ამოვარდნის შემთხვევები

### ქართული ენა

სალიტერატურო ქართული ენის ხმოვანთა სისტემაში ნეიტრალური ხმოვანი არ არის.

### ინგლისური ენა

ნეიტრალური ხმოვანი შეიძლება ამოვარდეს:

1) ხშულ თანხმოვანსა და ბოლო [n], [l], [m], [ŋ] სონორს შორის:

**difficult** ['dɪfɪkəlt], ['dɪfɪkɪlt];

2) [r] და [n], [n] და [r], [r] და [l] სონორებს შორის:

**April** ['eɪprəl], ['eɪprɪ];

3) დამხმარე სიტყვებში:

**am** [əm], [m]; **have** [həv], [əv], [v]; **has** [həz], [əz], [z]; **do** [də], [d]; **should** [ʃəd], [ʃd];

**and** [ənd], [nd], [n] და სსვ.

**asphalt** ['æsfælt], **epoch** ['i:pɒk], **simplicity** [sɪm'plɪsɪti]

### გერმანული ენა

ნეიტრალური ხმოვანი (გერმ. *schwa*) ზოგჯერ ამოვარდება იმ მარცვლებში, რომლებშიც [ə]-ს მოსდევს სონორი: **haben** ['ha:bɪ], **Vogel** ['fɔ:gəl] და სონორი ხდება მარცვლის შემქმნელი. [ə]-ს შენარჩუნებაც და მისი ამოვარდნაც აღიარებულია თანამედროვე გერმანული სალიტერატურო წარმოთქმის ნორმად. **Asphalt** ['as'falt], **Epoche** ['e'pɔxə], **Simplizität** [zɪmplɪtsi'te:t]

## ფრანგული ენა

ნეიტრალური ხმოვანი შეიძლება ამოვარდეს:

- 1) ხმოვნის წინ ან შემდეგ: **cett(e) image** [seti'ma:ʒ], **je jou(e)rais** [ʒəʒu'ʀɛ];
- 2) ფრაზის პირველ მარცვალში: **J(e) ris** [ʒʀi], **C(e) n'est pas mal** [snɛpa'mal];
- 3) იმ ორ თანხმოვანს შორის, რომლებიც ხმოვნებს შორისაა: **sam(e)di** [sam'di], **vous s(e)rez** [vu'sʀɛ], **vous f(e)rez** [vu'fʀɛ]
- 4) შეერთებებში **je m(e)** [ʒɛm], **je n(e)** [ʒən], **je l(e)** [ʒəl]: **je m(e) jette** [ʒəm'ʒɛt], **je n(e) joue pas** [ʒənʒu'pa], **je l(e) sais** [ʒəl'sɛ].  
**asphalte** [as'falt], **époque** [ɛ'pɔk], **simplicité** [sɛ̃'plisi'tɛ].

ნეიტრალური ხმოვანი შენარჩუნდება ისეთ სამთანხმოვანიან ჯგუფში, სადაც მას წინ უსწრებს ორი თანხმოვანი: **mercredi** [mɛʀkʀɛ'di], **armement** [armə'mɑ̃].

## 12.8. დიფთონგები<sup>1</sup>

### ქართული

მიუხედავად იმისა, რომ სალიტერატურო ქართულისთვის თითქოს არ არის დამახასიათებელი დიფთონგები და დიფთონგოიდები (იხ. გვერდი 18), ზეპირ-მეტყველებაში გვხვდება დიფთონგის (უმეტესად აღმავალი) წარმოთქმის შემთხვევები: **საშუალო** [saʃwalɔ], **იატაკი** [jat'ak'i], რაც შესაძლოა დიალექტური საარტიკულაციო ბაზისის გავლენაც იყოს; უფრო ხშირია უცხო სიტყვებში: **კომპიუტერი** [k'ɔmp'jut'ɛri], **ბიუჯეტი** [bjudʒɛt'i], და რა თქმა უნდა – დიალექტებში: **ორივე** → **ორუვე** [ɔrwe], **ერთი** → **დერთი** [jɛrt'i], **ბევრი** → **ბეჟრი** [bɛwri], **შეატყო** → **შიატყო** → **შიატყო** [ʃja t'q'ɔ].

### ინგლისური [aɪ]

დიფთონგის ბირთვი – წინა რიგის ყველაზე ფართო ხმოვანი, ოდნავ უკან დაწეული, არადაჭიმული, არალაბიალიზებული, არაცხვირისმიერი. სამეტყველო ორგანოები თითქოს გადადიან [ɪ]-ს წარმოთქმაზე, რომლის წარმოთქმა სრულად ვერ მიიღწევა და გაისმის [aɛ]. დიფთონგის გრძლივობა ტოლია ან ცოტა მეტია გრძელი ხმოვნის გრძლივობაზე.

**us** [ʌs] – **ice** [aɪs]

**nut** [nʌt] – **night** [naɪt]

დიფთონგის ბირთვი [aɪ] უფრო წინა რიგისა და „ნათელი“ ხმოვანია, ვიდრე გერმანული [a] და ტონითაც ცოტათი დაბალია, ვიდრე ფრანგული [a]. მიეკუთვნება პალატალურ (წინა რიგის) ხმოვნებს. დაუშვებელია ენის მაღალი აწეულობა

<sup>1</sup> გერმანული და ინგლისური ყველა დიფთონგი დამავალია ანუ პირველი ელემენტია დიფთონგის ბირთვი.

და მეორე ელემენტის [j] ბგერად გარდაქმნა, აგრეთვე დიფთონგის მეორე ნაწილის დაყრუება.

**I** [aɪ], **my** [maɪ], **mine** [maɪn]

### გერმანული [aɪ]

დიფთონგის სრული ხმოვანი (ბირთვი) – ყველაზე ფართო, მოკლე ხმოვანი [aɪ], შუა რიგის, საშუალო დაჭიმულობის, არალაბიალიზებული, ოდნავ ნაზალიზებული. პირი ფართოდაა გაღებული. კბილებს შორის მანძილი საშუალოა. ენა წინაა წამოწეული, ძვეს ბრტყლად, მისი კიდეები ეხება ზედა კბილებს. ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია სასისაკენ. ენის წვერი ქვედა კბილებზეა. ბაგეები ნეიტრალურია, ზედა ბაგე აწეულია რბილი სასა აწეულია არასრულად. სამეტყველო ორგანოები მისწრაფვიან [ɛ]-სკენ. დიფთონგის გრძლივობა ტოლია ან ცოტა მეტია გრძელი ხმოვნის გრძლივობაზე.

**Antrag** [ˈʌntra:k] – **Eintrag** [ˈaɪntra:k]

**anstellen** [ˈʌnʃtɛlən] – **einstellen** [ˈaɪnʃtɛlən]

პირველი ელემენტის ტონი უფრო დაბალია, ვიდრე ინგლისურ დიფთონგში. არ შეიძლება დიფთონგის მეორე ელემენტის შეცვლა მაღალი აწეულობის [i] ხმოვნით ან [j] სონორით. გერმანული დიფთონგის [aɪ]-დ წარმოთქმის თავიდან ასაცილებლად, უნდა ყურადღებით ვიყოთ, რომ დიფთონგის მეორე ნაწილი ძალიან არ დავიწროვდეს.

**Ei** [ˈaɪ]

**mein** [maɪn]

**Mai** [maɪ]

*შენიშვნა:* [aɪ], [ɛɪ] დიფთონგები გერმანულში მხოლოდ უცხო სიტყვებში გვხვდება: **Homepage** [ˈhɔmpɛɪdʒ], **Lady** [ˈleɪdi], **E-Mail** [ˈiːmeɪl]. ასევე იშვიათია დიფთონგი [ʊɪ]: **pfui** [pʃuɪ] (შორისდებული), **Uigure** [ˈʊɪɡuːrə].<sup>1</sup>

### ფრანგული

ფრანგულ ენაში რეალურად არ არის დიფთონგები. ბგერათშეერთებები [aɪ]+ [j] და [ɑː]+[j] არ წარმოადგენენ დიფთონგებს, რადგან [j] სონორია და არა ხმოვანი. ამ შეერთებებში, უკანა ან წინა რიგის ხმოვნის წარმოთქმა ხშირად განპირობებულია სიტყვის ორთოგრაფიით.

**la** [la] – **l'ail** [laɪ]

**va** [va] – **travail** [traˈvaj]

**pas** [pa] – **paille** [paːj]

<sup>1</sup> იხ. [https://en.wikipedia.org/wiki/Standard\\_German\\_phonology#Diphthongs](https://en.wikipedia.org/wiki/Standard_German_phonology#Diphthongs);  
[http://dictionnaire.sensagent.leparisien.fr/German\\_phonology/en-en/#Diphthongs](http://dictionnaire.sensagent.leparisien.fr/German_phonology/en-en/#Diphthongs);  
<https://de.wiktionary.org/wiki/Uigure>.

**mâl** [ma] – **maille** [ma:j]

ბგერა [j] უფრო მაღალი აწეულობისაა, ვიდრე [i], დაჭიმულია და მჟღერი. აქვს თანხმოვნისათვის დამახასიათებელი ჩქამი და სიტყვის ბოლოს ყოველთვის მკაფიოდ წარმოითქმის.

**ail** [aj]

**bataille** [ba'ta:j]

\*

ბგერათშეერთება [a] + [j], არ არის დიფთონგი, რადგან [j] სონორია და არა ხმოვანი. ბგერა [j] დაჭიმული და მჟღერია; იგი უფრო მაღალი აწეულობისაა, ვიდრე [i] და მას ახასიათებს კონსონანტური ჩქამი, სიტყვის ბოლოს ყოველთვის მკაფიოდ წარმოითქმის. შეერთება [aj], თანამედროვე ფრანგულ ენაში, ძირითადად გვხვდება ინგლისური და ესპანური წარმოშობის სიტყვებში.

**fol** [fɔl] – **foil** [fɔj]

**dol** [dɔl] – **langue d'oil** [lɑ̃.g'dɔj]

**oille** [ɔj]

**boy** [bɔj]

**boycott** [bɔj'kɔt]

\*

ფრანგულში ბგერათშეერთება [e]+[i] არ არის დიფთონგი, რადგან ორ მარცვლად წარმოითქმის: **paysage** [pei'za:ʒ].

**souper** [su'pe] – **pays** [pe'i]

**bébé** [be'be] – **abbaye** [abe'i]

ბგერა [i] უფრო დახურულია, ვიდრე შესაბამისი გერმანული ან ინგლისური ბგერა, ხმის ტონში თითქმის ჩნდება ჩქამი. ამ ბგერას ფრანგულში უფრო მეტად „ნათელი“ ტონი აქვს, ვიდრე გერმანულში და მოითხოვს უფრო მეტ კუნთოვან დაჭიმულობას, ვიდრე ინგლისური [i]: **paysan** [pei'zɑ̃]. ბგერათშეერთება [e] + [j] არ წარმოადგენს დიფთონგს, რადგან [j] – სონორია, რომელსაც ახასიათებს სუსტი თანხმოვნური ჩქამი: **veiller** [ve'je], [vej'je], **payer** [pe'je], [pej'je]. ბგერათშეერთება [ɛ] + [j] ასევე არ წარმოადგენს დიფთონგს, [j] სიტყვის ბოლოს მუდამ მკაფიოდ წარმოითქმის: **essaié** [e'sɛ] – **Marseille** [mar'sɛj], **baie** [bɛ] – **abeille** [a'bɛj].

**je paye** [ʒə'pej]

**payement** [pej'mɑ̃]

*შენიშვნა:* ფრანგული ბგერათშეერთებები [aj], [a:j]; [ai]; [aj]; [ei]; [ɛj]; [ij]; [uj] არ წარმოადგენენ დიფთონგებს და აქ მოყვანილია მხოლოდ არტიკულაციის შესაღარებლად.

### ინგლისური [aʊ]

დიფთონგის სრული ხმოვანი – წინა რიგის ყველაზე ფართო ხმოვანი, ოღნავ უკან დაწეული. სამეტყველო ორგანოები ნელ-ნელა გადაინაცვლებენ [ʊ] ხმოვნის არტიკულაციის მიმართულებით, რომელიც სრულად შეიძლება არც წარმოითქვას. გაბმულ მეტყველებაში დიფთონგი ხშირად ჟღერს, როგორც [aʊ]. სიტყვის ბოლოს ან ბოლოკიდური თანხმოვნების წინ ზოგჯერ დიფთონგის პირველი ელემენტი გრძელდება, ხოლო მეორე ელემენტი კი მოკლდება: **town, loud, how.**

**art** [ɑ:t] – **out** [aʊt]

**darn** [dɑ:n] – **down** [daʊn]

დიფთონგის მეორე ელემენტი თითქმის ისე ჟღერს, როგორც ფრანგული [o]. ამიტომაც იგი ზოგჯერ გადმოიცემა [aʊ] ტრანსკრიფციით. დიფთონგი ორ მარცვლად არ უნდა წარმოითქვას.

**out** [aʊt]

**how** [haʊ]

**loud** [laʊd]

### გერმანული [aʊ]

დიფთონგის სრული ხმოვანია შუა ან უკანა რიგის, ყველაზე ფართო, მოკლე ხმოვანი [a]. სამეტყველო ორგანოები ნელ-ნელა გადაინაცვლებენ [ʊ]-ს არტიკულაციისაკენ. პირი დიაა ნეკის ზომასზე ცოტა მეტად. ენა უკანაა გადაწეული. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია სასისაკენ ოღნავ ნაკლებად, ვიდრე მოკლე [ɪ]-ს წარმოთქმისას. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ბაგეები მომრგვალებულია და წინაა წამოწეული. ემფაზის<sup>1</sup> დროს დიფთონგის მეორე ელემენტი შეიძლება დაგრძელდეს.

**Tag** [ta:k] – **Tau** [taʊ]

**Saal** [za:l] – **Sau** [zaʊ]

დიფთონგი [aʊ], რომელიც გერმანიის მრავალ რეგიონში უკანა რიგის [a] ხმოვნით წარმოითქმის, არ არის ინგლისური დიფთონგის ანალოგი, განსხვავებით [aʊ]-საგან, რომელშიც [a] ხმოვანი შუა რიგისაა. შეცდომაა მახვილიანი დიფთონგის პირველი ელემენტის დაგრძელება. დიფთონგის მეორე ელემენტი არ უნდა შეიცვალოს მაღალი აწეულობის [u] ხმოვნით. [aʊ] გერმანული დიფთონგის [au]-დ შეცვლის თავიდან ასაცილებლად, თვალყური უნდა ვადევნოთ ენის მდგომარეობას [ʊ]-ს წარმოთქმისას (Голубев, Смирнова 2005: 59).

**aus** [ˈaʊs]

**Frau** [fraʊ]

**Laut** [laʊt]

<sup>1</sup> გამონათქვამის რომელიმე ელემენტის გამოჩინება სხვადასხვა ხერხით.

### ინგლისური [აI]

დიფთონგის საწყისია ხმოვანი, რომელიც შუალედურია [ɒ]-სა და [a:] -ს შორის, მაგრამ უფრო ახლოსაა [a:] -სთან, არადაჭიმულია და არაცხვირისმიერი. დიფთონგი წარმოითქმის, როგორც [aɛ]. სამეტყველო ორგანოები ნელ-ნელა გადაინაცვლებენ [I] ხმოვნის არტიკულაციის მიმართულებით, რომელიც სრულად შეიძლება არც წარმოითქვას; დიფთონგის გრძლივობა ტოლია ან ოდნავ მეტია გრძელი ხმოვნის გრძლივობაზე.

**olive** [ˈɒlɪv] – **oil** [aɪl]

**box** [bɒks] – **boy** [bɔɪ]

დიფთონგის ბირთვი ემთხვევა ვალონური დიალექტის (ქ. ლიეჟის) ფრანგულ ხმოვანს: **houille** [hɔi], **poule** [pɔi]. ინგლისური [aɪ] არ შეიძლება შეიცვალოს გერმანული [aɥ]-თი, რადგან ინგლისური დიფთონგი ბოლოვდება ნეიტრალური ან მსუბუქად გაჭიმული (გაწელილი) ხმოვნით, გერმანული კი – წარმოითქმის ბაგეების მოძრგვალბით. [aɪ]-ს წარმოითქმისას დიფთონგის თავში არ უნდა ისმოდეს თანამდევნი [u]-ს ელფერი და არ უნდა დაყრუვდეს დიფთონგის ბოლო.

**oink** [aɪŋk]

**toy** [tɔɪ]

**coin** [kɔɪn]

### გერმანული [aɥ]

დიფთონგის საწყისია მოკლე ხმოვანი [a], უკანა რიგის, საშუალო აწეულობის, არადაჭიმული, ოდნავ ნახალიზებული. სამეტყველო ორგანოები ნელ-ნელა გადაინაცვლებენ [ɥ]-ს არტიკულაციისაკენ. კბილებს შორის დაცვილება საშუალოა. ენა წინაა წაწეული. ენის ზურგის წინა ნაწილი აწეულია მაგარი სასისაკენ, როგორც [ɛ]-ს წარმოითქმისას. ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს. ბაგეები მოძრგვალბებულია და წინაა წამოწეული. დიფთონგის გრძლივობა ტოლია ან ცოტათი მეტია გრძელი ხმოვნის გრძლივობაზე.

**Nord** [nɔrt] – **neu** [nɔɥ]

**Ort** [ˈɔrt] – **eure** [ˈɔɥrə]

დიფთონგის პირველი ელემენტი გაცილებით დახურულია, ვიდრე ინგლისურ დიფთონგში. სტანდარტულ გერმანულ ენაში, დიფთონგის მეორე ელემენტი მოძრგვალბებულია, მაგრამ მეტყველებაში ხშირად ჟღერს, როგორც [ɪ], ისევე როგორც ინგლისურ დიფთონგში. დაჭიმული, სუსტად მოძრგვალბებული, მოკლე [a] არ უნდა შეიცვალოს ძლიერ ლაბიალიზებული, არადაჭიმული [ɔ]-თი (Голубев, Смирнова 2005: 67).

**euch** [ˈɔɥç]

**treu** [trɔɥ]

**Freude** [ˈfrɔɥdə]

**შენიშვნა:** არ შეიძლება დიფთონგის მეორე ელემენტის შენაცვლება მაღალი აწეულობის [i] ხმოვნით ან [j] სონორით. [aɣ]-ს ნაცვლად [aɪ]-ს წარმოთქმისაგან თავის არიდების მიზნით, [ɣ]-სთვის ბაგეები წინ უნდა იყოს წამოწეული.

### ინგლისური [əʊ]

დიფთონგის საწყისია შუა რიგის, საშუალო აწეულობის ხმოვანი. დიფთონგის პირველი ელემენტი [ɜ:] -სთან უფრო ახლოა, ვიდრე [ɔ:] -სთან. ენა გადაწეულია უკან, მაგრამ არც ისე შორს, როგორც [ɔ:] -სათვის. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია რბილი სასის წინა ნაწილისაკენ უფრო მაღლა, ვიდრე [ɔ:] -სათვის და უფრო დაბლა, ვიდრე [ʊ] -სათვის. მეორე (სუსტი) ელემენტი [ʊ] მკაფიოდ გაისმის მახვილიან პოზიციაში; ამასთანავე ახლავს ბაგეების ინტენსიური მომრგვალება. უმახვილო მარცვალში შეიძლება წარმოითქვას როგორც [o] ან [ə].

**ball** [bɑ:l] – **bowl** [bəʊl]

**hall** [hɑ:l] – **hole** [həʊl]

ზოგი ფონეტიკოსი მიიჩნევს, რომ დიფთონგის პირველი ელემენტი ახლოა გერმანულ [ɔ] -სთან, რომელიც წარმოითქმის რბილი სასის წინა ნაწილში ბაგეების მსუბუქი მომრგვალებით და ის ფრანგულ [o] -სთან შედარებით, უფრო მოკლე და ღია ბგერაა. ეს ინგლისური დიფთონგი ფრანგულ ტრანსკრიფციაში, ზოგჯერ [ɔo]-თი გამოისახება.

**oak** [əʊk]

**no** [nəʊ]

**coat** [kəʊt]

**შენიშვნა:** 1. ინგლისური [əʊ] დიფთონგის გამოსახატავად ადრე გამოიყენებოდა [ou] ან [ou] სიმბოლო [o] ბირთვით, რომელიც უფრო ვიწროა, ვიდრე [ɔ:].

### ინგლისური [eɪ]

დიფთონგის საწყისი პრაქტიკულად ემთხვევა წინა რიგის ხმოვნის ვიწრო [e]-ს. ეს ხმოვანი საშუალო აწეულობისაა, არადაჭიმული, არ არის მომრგვალებული. პირი ღიაა ოდნავ ფართოდ, ვიდრე [ɪ] -სათვის. ენა წამოწეულია წინ. ენის ზურგის შუა ნაწილი ამოხნეტილია მაგარი სასისაკენ ცოტა მეტად, ვიდრე [e]-სათვის. ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ბაგეების კუთხეები გაჭიმულია. შემდეგ ხდება გადასვლა ხმოვან [ɪ]-ს მიმართულებით.

**said** [sed] – **say** [seɪ]

**guess** [ges] – **game** [geɪm]

წარმოთქმისას აუცილებელია მივალწიოთ წინამავალი თანხმოვნის მაგარ ელფერს (გარდა [ʃ], [ʒ], [tʃ], [dʒ], [l] თანხმოვნებისა). ბოლო ხანებში, შეინიშნება ტენდენცია, რომ სიტყვის ან მარცვლის ბოლოში, ამ დიფთონგში წარმოითქვას

უფრო მეტად ღია ბგერა [ɛ]: day [deɪ]. ყოველ შემთხვევაში, დიფთონგის ბირთვს წარმოადგენს უფრო მეტად ღია ბგერა, ვიდრე ფრანგული [e] ან გერმანული [ɛ:].

**eight** [eɪt]

**day** [deɪ]

**date** [deɪt]

### ინგლისური [ɪə]

დიფთონგის პირველი ელემენტი – წინა რიგის ხმოვანი, მაღალი აწეულობის. დიფთონგის საწყისი შეიძლება დაემთხვეს როგორც [i]-ს, ასევე [ɪ]-საც. პაუზის წინ მეორე ელემენტი იქნება [ʌ]: **clear** [kleɪʌ] – **clearly** ['kleɪli]. დიფთონგის საწყისი არ უნდა წარმოითქვას ძალიან ვიწროდ.

**here** [hɪə]

**dear** [dɪə]

ზოგიერთ სიტყვაში ეს დიფთონგი მერყეობს [ɪə]-სა და [jɜ:] -ს შორის: **dear** [dɪə], [djɜ:]; **here** [hɪə], [hjɜ:].

**ear** [ɪə]

**mere** [mɪə]

**really** ['riəli]

### ინგლისური [eə],[ɛə],

დიფთონგის პირველი ელემენტი – წინა რიგის ხმოვანი, საშუალო აწეულობის [e]-სა და [ɛ]-ს შუა. პაუზის წინ მეორე ელემენტი იქნება [ʌ]: **fair** [feɪʌ] – **fairly** ['feəli]. დიფთონგის საწყისი შეიძლება მიუახლოვდეს [e]-საც და [ɛ]-საც.

**where** [weə]

**fare** [feə]

დიფთონგის საწყისი უფრო ღიაა, ვიდრე გერმანული [ɛ:].

**air** [eə]

**heir** [heə]

**barely** ['beəli]

### ინგლისური [sə]

დიფთონგის პირველი ელემენტი – უკანა რიგის წინ წაწეული, მაღალი აწეულობის, ფართო ხმოვანი. მეორე ელემენტია სუსტი [ə]: **tourist** ['tʊərɪst], ['tɔərɪst]. **r**-ს არ მქონე სიტყვებში, ეს დიფთონგი წარმოითქმის, როგორც [sə] ან [ʊə]: **fuel** [fjʊə] ან [fju:ə].

**poor** [pʊə], **pure** [pjʊə], **moor** [mʊə], **cure** [kjʊə]

ხშირად წარმოითქმის, როგორც [ɔə], სასაუბრო მეტყველებაში კი – როგორც [ɔə] ან [ɑ:]: **poor** [pʊə], [pɔə], [pɔə], [pɑ:]; **Euro** ['jʊərəʊ], **sure** [ʃʊə], **surely** ['ʃʊəli].

**შენიშვნები:** 1. ინგლისური დიფთონგების პირველი ელემენტი მუდამ მასვილიანია. ამ დიფთონგთა წარმოთქმისას, ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ არ დაგრძელდეს პირველი ელემენტი, ბოლოკიდური კი არ გაქრეს; 2. ინგლისური [ɛə] დიფთონგის გამოსახატავად ადრე გამოიყენებოდა სიმბოლო [ɛə], რომლის ბირთვიც უფრო ფართო იყო, ვიდრე [ɛ].

## 12.9. სამი ხმოვნის ბგერათშეერთება

### ქართული

ქართულში სამი ხმოვნის შეერთება როგორც წესი, იძლევა სამ ხმოვანს, რადგან სალიტერატურო წარმოთქმაში დიფთონგი თითქმის არ გვაქვს: **დაეუფლა** [daɛup<sup>h</sup>la], ან სუსტია – **გაიუმჯობესა** [gɑiumdʒobɛsɑ], ზოგჯერ კი სამი ხმოვნის შეერთება წარმოითქმის რაოდენობრივად რედუცირებული სახით: **თითოეული** [tʰitʰɛuli] → **თითეული** [tʰitʰɛuli].

### ინგლისური

სამი ხმოვნის ყველა შეერთება ორი მარცვლის სახით წარმოითქმის: პირველია დიფთონგი, მეორე – [ə] ([ə<sup>ʌ</sup>]). ამ შეერთებათა დასაწყისი უფრო დაჭიმულია, ვიდრე მათი შუა ნაწილი. პირველი ელემენტი ყველაზე ძლიერია. სიძლიერით მეორე კი ბოლო ელემენტია. შუა ელემენტი ძალზე სუსტია, ზოგჯერ იგი საერთოდ გამოტოვებულია.

[aɪə]

**fire** ['faɪə], [faə], [fa:]

[aʊə]

**flower** ['flaʊə], [fləə], [fla:]

[aɪə] ბგერათშეერთებიდან შუა ელემენტის დაკარგვისას [a] (პირველი ელემენტი) [aə]-ში ისმის როგორც უფრო წინა რიგის ხმოვანი, ვიდრე ასევე შუა ელემენტის დაკარგვისას [aʊə] ბგერათშეერთებაში.

**fine** [faɪn] – **fire** [faɪə]

**allow** [ə'laʊ] – **flower** ['flaʊə]

**tie** [taɪ] – **tire** [taɪə]

**Tao** [taʊ] – **tower** [taʊə]

**fire** [faɪə]

**flower** ['flaʊə]

[ɔɪə], [ɔɪ]

**employer** [ɪm'plɔɪə], [ɪm'plɔɪ]

**voyage** ['vɔɪdʒ], [vɔɪdʒ]

**alloy** [ə'loɪ] – **employer** [ɪm'plɔɪə]

**boy** [bɔɪ] – **voyage** ['vɔɪdʒ]

**employer** [ɪm'plɔɪə]

[აჰა], [აჰი]

**lower** ['ləʰa], [ləʰi]

**following** ['fɔlɔʰɔɪŋ], ['fɔlɔɪŋ]

**low** [ləʰ] – **lower** ['ləʰa]

**mow** [məʰ] – **mower** [məʰa] ['fɔlɔɪŋ]

[eɪə]

**payable** ['peɪəb(ə)l], ['peəb(ə)l]

**pay** [peɪ] – **payable** ['peɪəb(ə)l]

**lay** [leɪ] – **layer** [leɪə].

*შენიშვნა:* შეერთებებში, რომელთა შუა ელემენტს [ɪ] წარმოადგენს, [ə] ბოლოკიდური ელემენტის წინ დაუშვებელია [j]-ს ჩასმა: **tire** [taɪə], **layer** [leɪə], **saying** ['seɪɪŋ], **loyal** ['lɔɪə]. უნდა მივალწიოთ [eɪə]-ს წინამავალი თანხმონის მაგარ ელფერს (გარდა [j], [ʒ], [tʃ], [dʒ], [l] თანხმონებისა).

### გერმანული

გერმანულ ენაშიც, ინგლისურის მსგავსად, სამი ხმონის ანალოგიური შეერთებები გვხვდება, თუმცა ისინი შედგება ძირძველი გერმანული დიფთონგებისა და მომღერნო [ʊ]-სა ან [ə]-სგან.

[aɪə] ან [aɪʊ]

**Eier** [ˈaɪə]

**leihen** [laɪən]

**Ei** [ˈaɪ] – **Eier** [ˈaɪə]

**Lei** [laɪ] – **leihen** [laɪən]

[aʊə] ან [aʊʊ]

**sauer** [zaʊə]

**bauen** [baʊən]

**Sau** [zaʊ] – **sauer** [zaʊə]

**Bau** [baʊ] – **bauen** [baʊən]

[aʏə] ან [aʏʊ]

**Feuer** [faʏə]

**streuen** [ʃtraʏən]

**feucht** [faʏçt] – **Feuer** [faʏə]

**treu** [traʏ] – **streuen** [ʃtraʏən]

## 13. თანხმოვანი ბგერები

### 13.1. ხშულ-მსკლომი თანხმოვნები

#### ქართული [pʰ], [pʰ], [b]

წყვილბაგისმიერი ხშულ-მსკლომი თანხმოვნები:

პ [pʰ] – ყრუ მკვეთრი

ფ [pʰ] – ყრუ ფშვინვიერი

ბ [b] – მჟღერი.

ზედა და ქვედა ბაგე მჭიდროდ კეტავს ჰაერნაკადის გასასვლელს, ბაგეები დაჭიმულია. ენის ზურგი და ენის წინა და შუა ნაწილი ქვევით არის ჩაწეული. ენის წვერი ოდნავ მოცილებულია ქვედა საჭრელ კბილებს, ენა მომდევნო ხმოვნის წარმოსათქმელ მდგომარეობას იკავებს. ნაქი აწეულია (ჟღენტი 1956: 60). ქვედა ყბა ოდნავ დაწეულია. ბაგეების ხშვა დაიძლევა სკლომით, რასაც ფ-ს შემთხვევაში მოსდევს ასპირაცია (ფშვინვა). მკვეთრი პ თანხმოვნის არტიკულაცია, რომელიც ხორციელდება დახშული სახმო სიმების მდგომარეობაში (ყველა მკვეთრისთვის რელევანტური ნიშანი), შესაბამის მჟღერთან და ფშვინვიერთან შედარებით მეტი ენერგიულობით და დაჭიმულობით გამოირჩევა, სკლომა იმპულსურია და მოკლე, რასაც, როგორც წესი, თან ახლავს უბგერო პერიოდი. ჩვეულებრივ, თავიკიდური მჟღერისთვის სახმო სიმების რხევა ემთხვევა სკლომას ან ოდნავ იგვიანებს. ყრუ თანხმოვნების რეგრესული ასიმილაციის შედეგად მჟღერი ბ რეალიზდება შესაბამისი ფშვინვიერით: აკეთებს [akʰetʰɛpʰs]. თავიკიდურ პოზიციაში მჟღერის ხშვის ფაზაა დაყრუებული, ხოლო ბოლოკიდურში – სკლომის; ამ პოზიციაში შესაძლებელია ასპირაციის არსებობაც ანუ ბ-ს ნაცვლად ფ-ს წარმოთქმა. ბოლოკიდური მჟღერი ხშულები ორთოეპიული ნორმების მიხედვით არ უნდა იყოს არც სრულმჟღერი და არც ფშვინვიერი, არამედ – ყრუ უფშვინვო – ე.წ. ყრუ mediae<sup>1</sup> (ახვლედიანი 1999: 355): ვაკეთებ [vakʰetʰɛb].

პაპა [pʰapʰa]

ფაფა [pʰapʰa]

ბაბუა [babua]

#### ინგლისური [p], [b]

წყვილბაგისმიერი ხშულ-მსკლომი თანხმოვნები:

[p] – ყრუ დაძაბული

[b] – მჟღერი არადაძაბული.

ბაგეები დახშულია, დაჭიმულია და ოდნავ განზეა გაწეული. დაბრკოლება მყისვე განიხშვება და ამ დროს ჰაერის ჩქამიერი გამოდინება წარმოქმნის ე.წ. სკლომას.

<sup>1</sup> საერთაშორისო ფონეტიკური ანბანის მიხედვით ასე აღინიშნება: b, d, g.

ნაქი აწეულია. მახვილიანი ხმოვნის წინ [p] ასპირირებულია, [b] ყოველთვის მჟღერია.

**pay** [p<sup>h</sup>eɪ]

**bay** [beɪ]

**peak** [p<sup>h</sup>i:k]

**beak** [bi:k]

[b] წარმოითქმება ისე, როგორც ჩრდილოგერმანულ დიალექტში, შუა გერმანულში [b]-ს არტიკულაცია შესაძლებელია იმდენად ღუნე იყოს, რომ წყვილბაგისმიერ ნაპრალოვნად იქცეს (Голубев, Смирнова 2005: 75). საყურადღებოა ის, რომ ინგლისური [b] მუდამ მჟღერ ხმულად რჩება. [j], [w], [l], [r] თანხმოვნების წინ [p]-ს ასპირაცია ქრება, ხოლო თავად სონორები ყრუვდებიან: **please** [pli:z], **pianist** ['piɑ:nɪst], **prickly** ['prɪkli]. ასპირაცია საერთოდ არ არსებობს ან შედარებით სუსტია, ვიდრე მახვილიანი ხმოვნების წინ [s]-ს მომდევნო პოზიციაში, უმახვილო ხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს: **speak** [spi:k], **happy** ['hæpi], **lip** [lɪp]. თანხმოვანთა დაგრძელების ტენდენცია შეიმჩნევა მოკლე ხმოვნების შემდეგ.

**pass** [p<sup>h</sup>ɑ:s]

**bell** [bel]

**deep** [di:p]

**rib** [rɪb]

**appear** [ə'p<sup>h</sup>iə]

**habit** ['hæbɪt]

**შენიშვნა:** ინგლისური და გერმანული p, t, k თანხმოვნები ყველაზე უფრო ასპირირებულია გრძელი მახვილიანი მონოფთონგების ან დიფთონგების წინ.

### გერმანული [p], [b]

წყვილბაგისმიერი ხმულ-მსკლომი თანხმოვნები:

[p] – ყრუ დაძაბული

[b] – მჟღერი არადაძაბული.

პირის ღრუს ღიაობა ვიწროა. ენა წინ წამოწეულია. ენის წინა ნაწილი ოდნავ აწეულია. ენის გვერდები ქვედა გვერდით კბილებს ეხება. ენის წვერი ქვედა წინა კბილებზე ძევს. ბაგეები დახშულია და ჰაერნაკადის შემოქმედებით სკდება. ნაქი აწეულია. [p] ასპირირებულია, [b] ნახევრად მჟღერია – თანხმოვნის საწყისი ფაზაა დაყრუებული.

**Pass** [p<sup>h</sup>as]

**Bass** [bas]

**Oper** ['<sup>h</sup>o:pə]

**Ober** ['<sup>h</sup>o:bə]

[b] მჟღერია მხოლოდ სიტყვის დასაწყისსა და შუაში ხმოვნებისა და სონორების წინ: **Bach** [bax], **Bagage** [ba'gɑ:ʒɑ], ხოლო სიტყვის ბოლოსა და ყრუ თანხმოვნების წინ ყრუვდება: **Lob** [lo:p], **Liebling** ['li:plɪŋ]. ფრანგულ [b]-სთან შედარებით, ნაკლებ ენერგიულად წარმოითქმის. შუაგერმანულში მჟღერი თანხმოვანი სიტყვის დასაწყისში ყრუვდება, ჩრდილოგერმანულსა და ზემოგერმანულში ბოლოკიდური თანხმოვანიც ყრუვდება. შუაგერმანულ დიალექტში ყრუ ხშულები არაასპირირებულია. მათ ფრანგული შესატყვისი ბგერების მსგავსად წარმოთქვამენ, თუმც ნაკლებ ენერგიულად. ასპირაცია შეიმჩნევა ჩრდილოგერმანულში. ყრუ ხშული [p] გრძელდება მხოლოდ თავსართისა და ძირის შესაყართან ან რთულ სიტყვებში: **abputzen** [ʰappʊtsən].

**Paar** [p<sup>h</sup>ɑ:ʁ]

**Ball** [bal]

**gib** [gi:p]

**Mappe** [ʰmapə]

**Ebbe** [ʰɛbə].

### ფრანგული [p], [b]

წყვილბაგისმიერი ხშულ-მსკლომი თანხმოვნები:

[p] – ყრუ დაძაბული

[b] – მჟღერი არადაძაბული.

ბაგეები დახშული და ძლიერ დაჭიმულია. ენა მომდევნო ხმოვნის წარმოსათქმელ მდგომარეობას იკავებს. ნაქი აწეულია. ფრანგულ ენაში ასპირირებული ბგერები არ არსებობს, [b] ყოველთვის მჟღერია.

**parc** [park]

**barque** [bark]

**nappe** [nap]

**crabe** [krab]

[b] გაცილებით უფრო მჟღერია, ვიდრე შესაბამისი ქართული, გერმანული ან ინგლისური მჟღერი. იგი არასოდეს იქცევა სპირანტ [w]-დ, მსგავსად შუაგერმანული ვარიანტისა. გერმანული [b]-სგან განსხვავებით, ფრანგული [b]-ს სკლომა, უფრო ენერგიულია (Голубев, Смирнова 2005: 75). ყურადღება უნდა მივაქციოთ ბოლოკიდური [b], [p]-ს მკაფიო განხშვას. სახმო სიმების რხევა ბაგეთა განხშვისთანავე არ წყდება. ამიტომაც წარმოიქმნება სიტყვის ბოლოს მსუბუქი [ə]-ს შთაბეჭდილება. [ə] ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება წყვილბაგისმიერი ხშულების შემდეგ: **aube** [o:b(ə)], **frappe** [frap(ə)]. გრძელი თანხმოვნები გვხვდება სიტყვათა შესაყარზე: **une robe blanche** [yn rɔb-ʰblɑ̃:ʃ].

**pas** [pa]

**belle** [bɛl]

**pipe** [pip]

Arabe [a'rab]

papa [pa'pa]

bébé [be'be]

### ქართული [t'], [tʰ], [d]

წინაენისმიერი აპიკალური დენტალური ხშულ-მსკდომი თანხმოვნები:

ტ [t'] – ყრუ მკვეთრი

თ [tʰ] – ყრუ ფშვინვიერი

დ [d] – მჟღერი.

ენის წვერი ებჯინება ზედა საჭრელ კბილებს და ენის წინა ნაწილის ზურგი ნაწილობრივ ეხება ნუნებს. ენის გვერდითი კიდეები მოიცავს მაგარი სასის წინა და უკანა ნაწილს (ჟღენტი 1956: 63). ნაქი აწეულია, ქვედა ყბა ოდნავ დაშვებულია, ბაგეები პასიურია. წინაენისმიერი ხშვა დაიძლევა სკდომით, რომელიც დ-სთვის ჩქამისა და ტონის ნაზავს წარმოადგენს, ხოლო ტ-სთვის ჩქამი იმპულსური და მოკლეა, რასაც, როგორც წესი, თან ახლავს უბგერო პერიოდი. თავკიდური მჟღერისთვის სახმო სიმების რხევა ემთხვევა სკდომას ან ოდნავ იგვიანებს. თ-ს შემთხვევაში სკდომას მოსდევს საკმაო გრძლივობის ასპირაცია. ტ-ს წარმოთქმისას, ენის ზურგის დაჭიმულობის გამო, მაგარი სასის წინა ნაწილთან წინა ენის ზურგის შეხება გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე დ-სა და თ-ს წარმოთქმისას (ჟღენტი 1956: 113). ეს თავისებურება დამახასიათებელია ასევე კ, წ, ჭ მკვეთრების არტიკულაციისათვისაც. თავკიდურ პოზიციაში მჟღერის ხშვის ფაზა დაყრუებულია, ხოლო ბოლოკიდურში – სკდომის; ამ პოზიციაში ხშირია შესაბამისი ფშვინვიერის წარმოთქმა, თუმცა არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მჟღერები აუცილებლად ინარჩუნებენ ნახევრადმჟღერობას (ძირითადად ერთმარცვლიანებში და სონორების მომდევნოდ) და მათი ჩანაცვლება შესაბამისი ფშვინვიერით დაუშვებელია: დიდ, სად, მანდ, ფრიად, ოლონდ, გვერდ-გვერდ (ჟღენტი 1956: 87). ამ პოზიციაში მჟღერი ხშულები ორთოეპიული ნორმების მიხედვით სასურველია იყოს არც სრულმჟღერი და არც ფშვინვიერი, არამედ – ყრუ უფშვინვო – ე.წ. ყრუ mediae: კარგად [k'argad] (ახვლედიანი 1999: 355). დ რეალიზდება თ ფშვინვიერით ყრუ თანხმოვნების რეგრესული ასიმილაციის შედეგად: ბელადს [belatʰs].

ტიტა [t'it'a] – თათი [tʰatʰi] – დედა [dɛda]

### ინგლისური [t], [d]

წინაენისმიერი აპიკალური ალვეოლარული ხშულ-მსკდომი თანხმოვნები:

[t] – ყრუ დაძაბული

[d] – მჟღერი არადაძაბული.

ენა ოდნავ უკანაა გადაწეული. ენის წვერი ალვეოლებსაა მიბჯენილი. ნაქი აწეულია. ხშვის სკდომისას ისმის ინტენსიური ჩქამი. [t]-ს თან ახლავს ასპირა-

ცია. [d] ყოველთვის მჟღერია, [t] და [d] ოდნავ აფრიკატიზებულია, ანუ ისინი [tʃ/dʒ]-სთან არის მიახლოებული.

**top** [tʰɒp] – **desk** [desk]

**team** [tʰi:m] – **deem** [di:m]

ფრანგული [t]-სა და [d]-საგან განსხვავებით, წინა ენა ალვეოლებს არ ეხება. ამ ბგერების კბილისმიერი ვარიანტები მხოლოდ [θ]-სა და [ð]-ს წინ გვხვდება: **eighth** [eɪtθ], **look at this** [lʊk ət 'ðɪs]. [j], [w], [l], [r]-ს წინ ასპირაცია ქრება, ხოლო თვით სონორები ყრუვდება: **try** [traɪ], **twin** [twɪn], **tube** [tju:b]. ასპირაცია საერთოდ არ ფიქსირდება ან შედარებით სუსტია მახვილიანი ხმოვნების წინა პოზიციასთან შედარებით, უმახვილო ხმოვნების წინ, [s]-ს მომდევნო პოზიციაში და სიტყვის ბოლოს: **stay** [steɪ], **pretty** ['prɪti], **pet** [pet]. ბოლოკიდური [d] არ უნდა წარმოითქვას [ə]-ს თანხლებით.

**tea** [tʰi:]

**deed** [di:d]

**pot** [pʰɒt]

**odd** [ɒd]

**pity** ['pʰɪti]

**tender** ['tʰendə]

### გერმანული [t], [d]

წინაენისმიერი აპიკალური ალვეოლარული ხშულ-მსკდომი თანხმოვნები:

[t] – ყრუ დაძაბული

[d] – მჟღერი არადაძაბული.

პირი ოდნავ ღიაა. ენა წინ წამოწეულია. ენის წვერი ზედა ალვეოლებზე ძევს, გვერდები ზედა კბილებს ეხება. ბაგეები ნეიტრალურია. ხშვის სკდომისას ისმის ინტენსიური ჩქამი. [t]-ს თან ახლავს ასპირაცია, [d] ნახევრად მჟღერია, თანხმოვნის საწყისი ფაზა ყრუვდება.

**Tank** [tʰaŋk]

**Dank** [daŋk]

**Bieter** ['bi:tə]

**bieder** ['bi:də]

ინგლისური ენის მსგავსად, ისინი არტიკულირდება ენის წვერით და არტიკულაციის წერტილი შესაბამის ფრანგულ ბგერებთან შედარებით უფრო უკანაა. [d] მჟღერია მხოლოდ სიტყვის თავსა და შუაში ხმოვნებისა და სონორების წინ: **Dach** [daχ], **reden** ['re:dən], **Redner** ['re:dne]. [d] ნაკლებ ენერგიულია, ვიდრე შესაბამისი ფრანგული ბგერა. [d] ყრუვდება სიტყვის ბოლოსა და ყრუ თანხმოვნების წინ: **Bad** [ba:t]. [t] თანხმოვანი გრძელდება მხოლოდ თავსართისა და ძირის შესაყარზე ან რთულ სიტყვებში: **mitteilen** ['mittaɪlən].

**Tee** [t<sup>h</sup>e:]  
**Dorf** [dɔrf]  
**Boot** [bo:t]  
**Lotto** [ˈlɔto]  
**Tender** [ˈtendə]

### ფრანგული [t], [d]

წინაენისმიერი აპიკალური დენტალური ხშულ-მსკლომი თანხმოვნები:

[t] – ყრუ დაძაბული  
[d] – მჟღერი არადაძაბული.

ენა სასისკენაა აწეული. ენის წვერი ძლიერად აწევა ზედა კბილებს. ბაგეები მომდევნო ხმოვნის წარმოსათქმელ მდგომარებას იკავებს. ნაქი აწეულია. [t] და [d] არ არის აფრიკატიზებული, ანუ არ ახლავს აფრიკატიზთვის დამახასიათებელი ჩქამის ელფერი. [d] ყოველთვის მჟღერია.

**tu** [ty]  
**du** [dy]  
**ton** [tɔ̃]  
**don** [dɔ̃]

ამ ბგერების არტიკულაციის წერტილი უფრო წინაა, ვიდრე ინგლისურსა და გერმანულ ენებში. მთელი წინა ენა უშუალოდ ეხება ალვეოლებს, ხოლო ენის წვერი – ზედა კბილებს. აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ბოლოკიდური [d]-ს მჟღერობასა და [t]-ს მკაფიო განხშვას.

**thé** [te] – **dôme** [do:m]  
**hôte** [o:t] – **mode** [mɔd]  
**bateau** [baˈto] – **tendre** [tɑ̃:dr]

### ქართული [kʰ], [kʰ], [g]

უკანაენისმიერი ველარული ხშულ-მსკლომი თანხმოვნები:

კ [kʰ] – ყრუ მკვეთრი  
ქ [kʰ] – ყრუ ფშვინვიერი  
გ [g] – მჟღერი.

ენის უკანა ნაწილი მაღლა იწევს რბილი სასისაკენ. რბილი სასა დაშვებულია ენის უკანა ნაწილის ზურგზე. ენის უკანა ნაწილი ეხება აგრეთვე მაგარი სასის ბოლოს. კ-ს წარმოთქმისას ენის უკანა და ნაწილობრივ შუა ნაწილი უფრო ფართოდ და შესაბამისად უფრო მჭიდროდ ებჯინება რბილსა და მაგარ სასას, ვიდრე გ, ქ-ს წარმოთქმისას (ჟღენტი 1956:75; მრეველიშვილი 1949: 63). ქვედა ყბა ოდნავ დაშვებულია, ბაგეები პასიურია. ნაქი აწეულია, ცხვირის ღრუში გასასვლელი დაკეტილია. უკანაენისმიერი ხშვის სკლომა გ-სთვის ჩქამისა და ტონის ნაზავს წარმოადგენს, ხოლო კ-სთვის იმპულსურ ჩქამს, რასაც, როგორც

წესი, თან ახლავს უბგერო პერიოდი. ქ-ს სკლომას მოსდევს საკმაო გრძლივობის ასპირაცია. ბ, დ, გ თანხმოვნების მჟღერობის თავისებურებები პოზიციების და გარემოცვის მიხედვით მსგავსია. დ-ს მსგავსად, არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მჟღერები აბსოლუტურ ბოლოში აუცილებლად ინარჩუნებენ ნახევრად-მჟღერობას (ძირითადად ერთმარცვლიანებში): რიგ, ზოგ, ნიადაგ (ჟღერტი 1956: 88). გ ფშვინვიერდება რეგრესული ასიმილაციის შედეგად ყრუ თანხმოვნების გავლენით – გქონია [k<sup>h</sup>k<sup>h</sup>onia], რიგში [rik<sup>h</sup>ʃi] ან სიტყვის ბოლოს – შემდეგ [ʃemdεk<sup>h</sup>]; თუმცა ორთოეპიული ნორმების თანახმად სიტყვის ბოლოს სასურველია წარმოითქვას – ყრუ უფშვინვო – ე.წ. ყრუ mediae (ახვლედიანი 1999: 355): შემდეგ [ʃemdεg].

კაკალი [k<sup>h</sup>ak<sup>h</sup>ali]

ქქავს [k<sup>h</sup>εk<sup>h</sup>afs]

გუგა [guga]

*შენიშვნა:* ფრანგული ყრუ ხშულ-მსკლომები (p, t, k) აკუსტიკურად ახლოს არის ქართულ მკვეთრებთან, განსაკუთრებით უკანა რიგის ხმოვნების წინ (ახვლედიანი 1938:188), ხოლო გერმანული და ინგლისური ყრუ ხშულები ქართულ ფშვინვიერებთან უფრო ახლოს არის, ვიდრე მკვეთრებთან (ახვლედიანი 1938: 195, 201).

### ინგლისური [k], [g]

უკანაენისმიერი ველარული ხშულ-მსკლომი თანხმოვნები:

[k] – ყრუ დაძაბული

[g] – მჟღერი არადაძაბული.

ენის ზურგის უკანა ნაწილი ებჯინება აწეულ რბილ სასას და წარმოიქმნება სრული დაბრკოლება. მისი წარმოქმნის ადგილი ნაწილობრივ მეზობელ ხმოვნებზეა დამოკიდებული. ჰაერნაკადის გამოდინება იწვევს ხშვის სკლომას. [k]-ს წარმოთქმისათვის პოზიციისა და გარემოცვის მიხედვით დამახასიათებელია სხვადასხვა ხარისხის ასპირაცია, ბგერა ყოველთვის ისმის ყრუდ; [g] კი ყოველთვის მჟღერია.

cap [k<sup>h</sup>æp]

gap [gæp]

call [k<sup>h</sup>ɑ:l]

gall [gɑ:l]

ხშვის ადგილი უფრო უკანაა, ვიდრე შესაბამისი ფრანგული ბგერების შემთხვევაში. [w]-ს წინ ისინი ბაგეების უფრო ძლიერი მოძრეგვალეობით წარმოითქმება: **quit** [kwit], **equal** [ˈi:kwəl], **Language** [ˈlæŋgwɪdʒ]. [j], [w], [l] და [r]-ს წინ ასპირაცია ქრება, ხოლო თავად სონორები ყრუვდება: **cloud** [klaud], **quick** [kwik]. [k]-ს ასპირაცია საერთოდ არ არსებობს ან შედარებით სუსტია ვიდრე მახვილიანი ხმოვნების წინ [s]-ს მომდევნო პოზიციაში, უმახვილო ხმოვნების წინ და

სიტყვის ბოლოს: **skate** [skɛrt], **looking** [ˈlʊkɪŋ], **back** [bæk]. [t]-ს წინ [k]-ს სკლომა რედუცირებულია და ბგერა არასრულად წარმოითქმის: **actor** [ˈæktə].

**coo** [kʰu:] – **gap** [gæp]

**back** [bæk] – **egg** [eg]

**scalp** [skælp] – **Edgar** [ˈɛdɡə]

### გერმანული [k], [g]

უკანაენისმიერი ველარული ხშულ-მსკლომი თანხმოვნები:

[k] – ყრუ დაძაბული

[g] – მჟღერი არადაძაბული.

პირის ღრუსა და ბაგეების მდგომარეობა წინამავალ და მომდევნო ხმოვნებზეა დამოკიდებული. ენა წინ წამოწეულია, უკანა ენის წინა ნაწილი რბილ სასასთან ქმნის ხშვას. ჰაერნაკადის გამოღინება იწვევს ხშვის სკლომას. [k]-ს წარმოთქმას პოზიციისა და გარემოცვის მიხედვით თან ახლავს სხვადასხვა ხარისხის ასპირაცია. სიტყვის დასაწყისში [g] წარმოითქმის როგორც ნახევრად მჟღერი – ხშვის ფაზა დაყრუებული.

**Kunst** [kʰʊnst]

**Gunst** [gʊnst]

**Kern** [kʰɛrn]

**gern** [gɛrn]

[g] ინარჩუნებს მჟღერობას მხოლოდ სიტყვის დასაწყისსა და შუაში, ხმოვნებისა და სონორების წინ: **Gabe** [ˈga:bə], **Regen** [ˈre:gən], **regnen** [ˈre:gnən]; ყრუ თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს ყრუდება: **Weg** [ve:kʰ], **möglich** [ˈmø:kliç]. ჩრდილოეთის რეგიონებში [g], როგორც წესი, წინა რიგის ხმოვნების მომდევნოდ სიტყვის ბოლოს პალატალური ნაპრალოვნით (Ich-laut) რეალიზდება: **dreißig** [ˈdʁaɪsɪç], **billig** [ˈbɪliç]. ინტერვოკალურ პოზიციაში არის შემთხვევები [g]-ს სპირანტიზაციისა რეგიონების მიხედვით შესაბამისად [j]-სა და [ç]-ს სახით. ყველაზე ძლიერი ასპირაციით [k] ხასიათდება მახვილიან მარცვალში სიტყვის დასაწყისსა და ბოლოს: **Kiel** [kʰi:l], **Republik** [repuˈbli:kʰ]. უმახვილო ხმოვნების წინ [k]-ს ასპირაცია უფრო სუსტია: **Buckel** [ˈbʊkəl], [s] და [ʃ]-ს შემდეგ კი ბგერა დეასპირირებულია: **kaskade** [kʰasˈka:də]. წინა რიგის ხმოვნებთან [k] და [g] ოდნავ რბილდება – **Kind** [kʰɪnt], **Kuh** [kʰu:], **Geld** [gɛlt], **Geld** [gɪft], ეს თანხმოვნები მხოლოდ რთულ სიტყვებში გრძელდება: **Rückkehr** [ˈrʏkːkɛːʁ] (Голубев, Смирнова 2005: 79).

**Ecke** [ˈɛkə]

**Dogge** [ˈdɔɡə]

**Tag** [tʰa:kʰ]

## ფრანგული [k], [g]

უკანაენისმიერი ველარული ხშულ-მსკლომი თანხმოვნები:

[k] – ყრუ დაძაბული

[g] – მჟღერი არადაძაბული.

ენის ზურგი აწეულია და მთელი ძალით ებჯინება მაგარ სასას. ენის წვერი ასევე მძლავრად ებჯინება ქვედა კბილებს. ბაგეები მომდევნო ხმოვნის წარმოსათქმელ მდგომარეობას იკავებს. [k]-ს წარმოქმას თან არ ახლავს ასპირაცია, ყოველთვის ყრუდ ისმის; [g] ყოველთვის მჟღერია.

**quand** [kɑ̃] – **gant** [gɑ̃]

**quêter** [ke.'te] – **guetter** [ge.'te]

მათი წარმოების ადგილი უფრო წინაა შესაბამისი ინგლისური და გერმანული ბგერებისაგან განსხვავებით. რბილდებიან [a], [i] ხმოვანი ბგერების წინ: **car** [ka:R], **qui** [ki]. [k]-ს სკლომა [t]-ს წინ სრულად წარმოითქმის: **acteur** [ak'tœ:R].

**carte** [kart] – **gai** [ge]

**bec** [bɛk] – **longue** [lɔ̃:g]

**beaucoup** [bo'ku] – **baguette** [ba'gɛt]

## 13.2. ნაპრალოვანი თანხმოვნები

### ქართული [v] ([w], [f])

ბაგეკბილისმიერი (ლაბიოდენტალური)<sup>1</sup> თანხმოვანი გასწვრივი ნაპრალით:

ვ [v] – მჟღერი.

[f] – ყრუ

[w] – ნახევარხმოვანი (აპროქსიმანტი)<sup>2</sup>

ქვედა ბაგე წარმოქმნის გასწვრივ ნაპრალს ზედა წინა კბილებთან. ჰაერნაკადი გაედინება წარმოქმნილ ნაპრალში. ზედა ბაგე გაწეულია განზე, ქვედა ყბა ოდნავ დაწეულია. ენის კორპუსი უკან არის გადაწეული და ენის წვერი ქვედა საჭრელ კბილებს ოდნავ დაცილებულია. ვ თანხმოვანი კარგავს მჟღერობას და რეალიზდება შესაბამისი ყრუ [f]-ს სახით ბოლოკიდურ პოზიციაში და ყრუ თანხმოვნების გარემოცვაში რეგრესული ასიმილაციის შედეგად: **ვბედავ** [vbɛdaf], **ვსინჯავ** [fsindʒaf], **ბარავს** [barafɔs]; ხოლო ზოგჯერ წარმოითქმის როგორც ბილა-

<sup>1</sup> ქართულ ფონეტიკურ ლიტერატურაში ამ ბგერის არტიკულაციისათვის დამკვიდრებული ტერმინი „კბილბაგისმიერი“ არ არის მართებული. საერთაშორისო ტერმინოლოგიით „დენტოლაბიალური“ (resp. კბილბაგისმიერი) ბგერებისთვის ნაპრალი წარმოიქმნება ზედა ბაგესა და ქვედა კბილებს შორის (ახველდიანი 1938:50).

<sup>2</sup> ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში – „უმარცვლო უ“ (ჴ), იგივე „უბრჯგუ“.

ბიალური (წყვილბაგისმიერი) უმარცვლო უ [w]: ვუკეთებ [wuk<sup>h</sup>et<sup>h</sup>ɛɓ],  
[wuk<sup>h</sup>et<sup>h</sup>ɛf],<sup>1</sup> სიკვდილი [sik<sup>h</sup>wdili], საშუალო [saɬwalo] (ახველდიანი 1999:161).  
ვაზი [vazi]  
ავი [avi]

### ინგლისური [f], [v]

ბაგეკბილისმიერი თანხმოვნები გასწვრივი ნაპრალით:

[f] – ყრუ დაძაბული

[v] – მჟღერი არადაძაბული.

ზედა საჭრელი კბილების კიდეს ეხება ქვედა ბაგე ან ზედა საჭრელი კბილების გარე ზედაპირს ქვედა ბაგის შიდა მხარე. ზედა ბაგე, რომელიც არტიკულაციის პროცესში აქტიურად არ მონაწილეობს, ოდნავ აწეულია. წარმოქმნილ ნაპრალში გაედინება ჰაერნაკადი, წარმოითქმის ძალზე ენერგიულად და მკაფიოდ. [v] ყოველთვის მჟღერია.

**few** [fju:] – **view** [vju:]

**fine** [faɪn] – **vine** [vaɪn]

ინგლისური [f] და [v] გერმანულ ბაგეკბილისმიერ თანხმოვნებთან შედარებით წარმოითქმის უფრო ძლიერი ჰაერნაკადით და, შესაბამისად, უფრო ძლიერი ჩქამით. წყვილბაგისმიერი არტიკულაცია დაუშვებელია.

**full** [fʊl] – **veal** [vi:l]

**proof** [pru:f] – **eve** [i:v]

**offer** [ˈɒfə] – **navvy** [ˈnævi]

### გერმანული [f], [v]

ბაგეკბილისმიერი თანხმოვნები გასწვრივი ნაპრალით: ჰტტპ://გვდს.დგ

[f] – ყრუ დაძაბული

[v] – მჟღერი არადაძაბული.

ზედა წინა კბილების კიდესა და ქვედა ბაგის შიდა მხარეს ან შუა ნაწილს შორის წარმოიქმნება ვიწრო ნაპრალი. ზედა ბაგე ოდნავ აწეულია. პირის ღრუ ოდნავ ღიაა. ენის წვერი ქვედა წინა კბილებზე ძევს, ენის გვერდითი კიდეები ქვედა გვერდით კბილებს ეხება. [f]-ს თან ახლავს მნიშვნელოვანი ჩქამი, ხოლო [v] ხასიათდება ძალზე სუსტი ჩქამით. [v] ნახევრადმჟღერია.

**fort** [fɔrt] – **Wort** [vɔrt]

**fünf** [fʏnf] – **wir** [vi:ɐ]

<sup>1</sup> სერგი ჟღენტის აზრით: „ჩვეულებრივი სალაპარაკო სტილით წარმოთქმაში ვ იწრდობს ან სულ არ წარმოითქმის ლაბიალიზებული ო, უ ხმოვნების წინ.“ (ჟღენტი 1956: 159).

გერმანული [f], [v] ინგლისურ შესაბამის თანხმოვნებთან შედარებით წარმოითქმის უფრო სუსტი ჰაერნაკადითა და ჩქამით. გერმანულ [v]-ს ინგლისური და ფრანგული შესაბამისი ბგერებისაგან განსხვავებს ნახევრადმჟღერობა. მჟღერი თანხმოვანი არ კარგავს მჟღერობას მხოლოდ სიტყვისა და მარცვლის დასაწყისში ან მათ შუაში, ხმოვნებისა და სონორების წინ: **Wahl** [va:l]. გრძელდებიან მხოლოდ თავსართისა და ძირის საზღვარზე და რთულ სიტყვებში: **auffallen** [ˈaʊffalən], **Tauferier** [ˈtaʊffaɪɐ].<sup>1</sup>

**Fuchs** [fʊks] – **Wald** [valt]  
**Affe** [ˈafə] – **Klavier** [klaˈviːɐ]

### ფრანგული [f], [v]

ბაგეკბილისმიერი თანხმოვნები გასწვრივი ნაპრალით:

[f] – ყრუ დაძაბული

[v] – მჟღერი არადაძაბული.

ზედა კბილები მცირედ ჩაითრევენ ქვედა ბაგეს და ბრტყელ ნაპრალს წარმოქმნიან. ზედა ბაგე ოდნავ აწეულია. ენისა და ბაგეების მდგომარეობა მაქსიმალურად შეესატყვისება მომდევნო ბგერის არტიკულაციას. [v] ყოველთვის მჟღერია. ჩქამიცა და ტონიც [v]-ს წარმოითქმისას თანაბრად მკაფიოდ ისმის.

**faux** [fo] – **veau** [vo]

**font** [fɔ̃] – **vont** [vɔ̃]

ინგლისურ შესაბამის თანხმოვნებთან შედარებით წარმოითქმის უფრო სუსტი ჰაერნაკადითა და ჩქამით. მათი წარმოთქმა არსებითად არ განსხვავდება გერმანული შესაბამისი ბგერების არტიკულაციისაგან. წყვილბაგისმიერი არტიკულაცია დაუშვებელია.

**fouet** [fuˈɛ] – **val** [val]

**œuf** [œf] – **rive** [Ri:v]

*შენიშვნა:* ზედა ბაგის ქვიდასთან კონტაქტმა შესაძლებელია გამოიწვიოს არასასურველი თანამდევი ჟღერადობა [pf].

### ინგლისური [θ], [ð]

წინაენისმიერი აპიკალური დენტალური თანხმოვნები გასწვრივი ნაპრალით:

[θ] – ყრუ დაძაბული

[ð] – მჟღერი არადაძაბული.

<sup>1</sup> არსებობს მოსაზრება რომ გერმანული **w, f, v** დღევანდელ წარმოთქმაში არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან და სამივე ერთნაირად გამოითქმის (<http://gfds.de>); (GfdS -Gesellschaft für deutsche Sprache) .

პირის ღრუს ღიაობა ოდნავ მეტია, ვიდრე [s]-ს წარმოთქმისას. ენა არ არის დაჭიმული. ენის წვერი ზედა წინა კბილების შიდა ზედაპირთან გასწვრივ ნაპრალს წარმოქმნის ან ენა გამოშვერილია ზედა და ქვედა წინა კბილებს შუა. ჰაერნაკადი გაედინება ჯერ ენის წვერსა და კბილებს შორის, ხოლო შემდეგ ზედა და ქვედა კბილებს შორის. ბაგეები ნეიტრალურია. [θ] და [ð]-ს ძლიერი ჩქამი ახლავს. [ð] ყოველთვის მჟღერია.

**tin** [tɪn] – **thin** [θɪn]

**dough** [daʊ] – **though** [ðəʊ]

**sick** [sɪk] – **thick** [θɪk]

**is** [ɪz] – **the** [ði:]

ქართულ, გერმანულ და ფრანგულ ენებში მსგავსი ბგერები არ არსებობს. [θ] და [s] ან [ð] და [z] ბგერებს შორის არ უნდა გაჩნდეს არავითარი ზედმეტი ბგერა ისეთი ტიპის სიტყვებში, როგორცაა: **cloths** [kloʊθs], **months** [mʌnθs]; **clothes** [kloʊðz], (**he**) **breathes** [bri:ðz]. ენა ბოლომდე არ უნდა ებჯინებოდეს კბილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ხშულ [t], [d] ბგერებს, ნაცვლად ნაპრალისა [θ], [ð] ბგერებისა.

**thick** [θɪk] – **then** [ðen]

**south** [saʊθ] – **to soith** [tə 'saʊð]

**months** [mʌnθs] – **baths** [bɑ:ðz]

### ქართული [s], [z]

წინაენისმიერი პრეალვეოლარული თანხმოვნები მრგვალი ნაპრალით:

**ს** [s] – ყრუ

**ზ** [z] – მჟღერი.

ენის წვერი ქვედა კბილებთანაა, ენის წინა ნაწილის ზურგი უახლოვდება ზედა კბილების ალვეოლების წინა ნაწილს და ჰაერნაკადი გადის ვიწრო ღარისებრ მომრგვალებულ ნაპრალში. ენის კიდები ეხება გვერდით კბილებს. შუა ენა ოდნავ ჩაზნექილია ენის ზურგის დაჭიმულობის გამო. ბაგეები გახსნილია და პასიურია. რბილი სასა და ნაქი აწეულია. **ს** და **ზ**-ს არტიკულაცია განსხვავდება სახმო სიმების მოქმედებით. თავკიდური **ზ** თანხმოვნის საწყისი ფაზა, როგორც წესი, დაყრუებულია და მჟღერობის ხარისხით გერმანულს უტოლდება. ბოლოკიდურ პოზიციაში ან ნაწილობრივ ინარჩუნებს მჟღერობას ან ყრუვდება – **თამაზ** [tʰamas]; ყრუ თანხმოვნებთან ასიმილაციას განიცდის – **ვაზთან** [vastʰan], **ბალახზე** [balaxʒe]; **ს** თანხმოვანი ასევე ასიმილირდება რეგრესულად მჟღერი თანხმოვნის გავლენით: **მისღვეს** [mɪzdefs].

**სასა** [sasa]

**კაბას** [kʰabas]

**ზარი** [zari]

**ეზო** [ɛzɔ]

## ინგლისური [s], [z]

წინაენისმიერი (პრე)ალვეოლარული თანხმოვნები ღარისებრ მომრგვალებული ნაპრალით:

[s] – ყრუ დაძაბული

[z] – მჟღერი არადაძაბული.

ენა ოდნავ უკან არის გაწეული. ენის წვერი ზედა წინა კბილების ალვეოლებს უახლოვდება. წარმოიქმნება ღარისებრი ნაპრალი. ბაგეები მომრგვალებულია. არ ახასიათებთ მძაფრი ჟღერადობა.

**seal** [si:l] – **zeal** [zi:l]

**soon** [su:n] – **zoo** [zu:]

ინგლისური [s] წარმოითქმის გაცილებით სუსტი ჰაერნაკადით, ვიდრე გერმანული [s] ინგლისური [s]-ს არტიკულაცია უფრო უკან წარმოებს, ვიდრე შესატყვისი ფრანგული ბგერის. [z] ბგერა ფრანგულ და ჩრდილოგერმანულ ბგერებს შეესაბამება. [s] აკუსტიკური თვალსაზრისით უფრო ახლოსაა გერმანულ [ʃ] და [ʒ]-სთან, ვიდრე გერმანულ [s]-სთან, მას ფრანგულთან შედარებით უფრო სუსტი ჩქამი ახასიათებს და ნაკლებად „ნათელია“. თავკიდურა [s] არასდროს არ მჟღერდება, როგორც ეს ხდება გერმანულში (Голубев, Смирнова 2005: 101).

**sea** [si:] – **zoo** [zu:]

**miss** [mis] – **maize** [meiz]

**lesson** [ˈles(ə)n] – **sizzle** [ˈsɪzl]

## გერმანული [s], [z]

წინაენისმიერი (პრე)ალვეოლარული ნაპრალოვანი თანხმოვნები:

[s] – ყრუ დაძაბული

[z] – მჟღერი არადაძაბული.

ქვედა ყბა მცირედ წინ წამოწეულია. პირის ღრუს ღიაობა მცირეა. ენის ზურგის წინა ნაწილი ზემოთაა ამოზნექილი, გვერდითი კიდეები ზედა კბილებსაა მიბჯენილი. ჰაერნაკადი ენის წინა ნაწილში არსებულ ღარსა და წარმოქმნილ ნაპრალში გადის. ენის წვერი დაშვებულია ქვედა კბილებს უკან და ოდნავ ეხება მათ. ბაგეები ფართოდ გაწეულია განზე. თან ახლავს ძალზე ინტენსიური ჩქამი. [z] – ნახევრად მჟღერია – თანხმოვნის საწყისი ფაზა ყრუვდება.

**Skizze** [ˈskɪtsə]

**Sitz** [zɪts]

**Skat** [ska:t]

**Saat** [za:t]

[s] ბგერა ოდნავ წინ წამოწეულია და აკუსტიკურად უფრო „ნათელია“, ვიდრე მისი ინგლისური ანალოგი, რადგან ხშირად იწარმოება კბილებთან ახლოს,

ალვეოლების წინ, და არა ალვეოლარულ რკალზე. [s] და [z], რომლებიც ზედა კბილებთან ახლოს იწარმოება, ინგლისელების მიერ ხშირად აღიქმება, როგორც [θ]-სა და [ð]-ს ვარიანტები. ფრანგულ [s]-სთან შედარებით, გერმანული ბგერა უფრო უკანა წარმოებისაა (Голубев, Смирнова 2005: 101). მჟღერი [z] არ ყრუვდება ხმოვნებისა და სონორების წინ მხოლოდ სიტყვისა და მარცვლის დასაწყისსა ან შუაში: **Saal** [za:l]. [s] თანხმოვანი თავსართისა და ძირის შესაყარზე არ გრძელდება: **dissonant** [diso'nant].

**Sphinx** [sfɪŋks]

**Salz** [zalts]

**bis** [bis]

**Kapsel** ['kapsəl]

**Rose** ['ro:zə]

### ფრანგული [s], [z]

წინაენისმიერი (პრე)ალვეოლარული თანხმოვნები მრგვალი ნაპრალით:

[s] – ყრუ დაძაბული

[z] – მჟღერი არადაძაბული.

ენის წინა ნაწილი ამოხნეჟილია ალვეოლებისა და ზედა გვერდითი კბილებისაკენ. წარმოიქმნება მრგვალი ნაპრალი. ენის გვერდითი კიდეები ზედა კბილებს აწვება. ენის წვერი ძლიერად აწვება ქვედა კბილებს. პირის ღრუს კუთხეები განზეა გაწეული. ზედა ბაგე აწეულია. ლაბიალიზებული ხმოვნების წინ ბაგეები მომრგვალდება: **seau** [so] – **os** [as]. ფრანგები საკუთარ [s]-ს მიიჩნევენ ძალზე „მწივანა“ ბგერად, ხოლო უცხოურებს – „სუსტ სისინებად“.

**seau** [so] – **zoo** [zo]

**serrer** [se're] – **zéro** [ze'ro]

[s] ისევე როგორც [t] ოდნავ წინ წამოწეულია, ვიდრე შესაბამისი გერმანული ბგერა, იგი გაცილებით უფრო წინ წამოწეულია, ვიდრე ინგლისური ალვეოლარული [s]. ფრანგული [s]-ს წარმოთქმისას ჰაერნაკადის ხასუნის ზედა კბილებთან უფრო ინტენსიურია ზედა ბაგის აწეულობის გამო, ვიდრე გერმანული ანალოგის შემთხვევაში, ამასთანავე, ფრანგული [s]-ს არტიკულაციის დროს ენის წვერი ებჯინება არა მარტო ქვედა კბილებს, არამედ მათ ალვეოლებსაც. ზედა და ქვედა კბილები ერთმანეთს უნდა ეხებოდეს, ანუ ქვედა ყბა ზედა ყბის დონეზე წინ წამოიწეოს. [z] ბგერა ისევე წარმოითქმის, როგორც ინგლისური ან ჩრდილო-გერმანული შესაბამისი ბგერები (Голубев, Смирнова 2005: 101). [s] ბგერა უფრო „ნათელი“ და „გამჭვირვალე“, ვიდრე მისი ინგლისური ანალოგი. [i]-ს წინ რბილდება: **cieux** [sjø]. ბოლოკიდური [z]-ს მჟღერი წარმოთქმა აუცილებელია.

**son** [sɔ̃] – **zébu** [ze'by]

**Mars** [mars] – **base** [ba:z]

**verser** [vɛr'se] – **causer** [ko'ze]

## ქართული [ʃ], [ʒ]

წინაენისმიერი პოსტალვეოლარული თანხმოვნები მრგვალი ნაპრალით:

შ [ʃ] – ყრუ

ჟ [ʒ] – მჟღერი.

ენის წვერი შესამჩნევად იხვევს უკან **ზ**, **ს**-სთან შედარებით და ენის წინა ნაწილის ზურგი ალვეოლებთან უახლოვდება მაგარი სასის წინა ნაწილს. წარმოქმნილ ღარისებრ ნაპრალში გამოედინება ჰაერნაკადი. ქვედა ყბა ოდნავ დაწეულია, ბაგეები ოდნავ მომრგვალებული და წინ წამოწეულია. შუა ენა ჩაზნექილია ენის ზურგის დაჭიმულობის გამო. რბილი სასა და ნაქი აწეულია. **შ** და **ჟ** განსხვავდება სახმო სიმების მოქმედებით. თავკიდური **ჟ** ნახევრად მჟღერია, რადგან თანხმოვნის საწყისი ფაზა როგორც წესი დაყრუებულია. **ჟ** ყრუ თანხმოვნების წინ განიცდის ასიმილაციას: **კაჟთან** [kʰaʃʰan].

**შიში** [ʃiʃi]

**ჟამი** [ʒami]

**ბაჟი** [baʒi]

## ინგლისური [ʃ], [ʒ]

წინაენისმიერი პალატალვეოლარული თანხმოვნები გასწვრივი ნაპრალით:

[ʃ] – ყრუ დაძაბული

[ʒ] – მჟღერი არადაძაბული.

ენის კორპუსი უკან არის გადაწეული და ოდნავ ზემოთ აწეული. ენის წვერი ალვეოლებთანაა ან დაშვებულია. ენის წინა და შუა ნაწილი მაგარი სასისკენაა აწეული. კბილები თითქმის ან სრულად ებჯინება ერთმანეთს. მომრგვალებული ბაგეები წინაა წამოწეული. ალვეოლების უკანა ქანობს და წინა ენას შორის წარმოიქმნება ნაპრალი. [ʒ] – სრულად მჟღერია.

**cheap** [tʃi:p]

**sheep** [ʃi:p]

**lashes** [ˈlæʃɪz] – **leisure** [ˈleɪʒə]

ნაპრალი წარმოიქმნება ალვეოლებისა და მაგარი სასის მიჯნაზე. ინგლისური [ʃ], [ʒ]-ს წარმოთქმისას, ბაგეები ნაკლებ შესამჩნევად წამოიწევა წინ, ვიდრე შესაბამისი გერმანული მსგავსი ბგერების წარმოთქმისას. ბაგეები ხშირად ნეიტრალურია. ინგლისური [ʒ] სრულად მჟღერია. ფრანგული ანალოგების მსგავსად, ახასიათებთ რბილი ელფერი (Голубев, Смирнова 2005: 103).

**shoe** [ʃu:]

**fish** [fɪʃ]

**social** [ˈsəʊʃ(ə)l]

**pleasure** [ˈpleɪʒə]

## გერმანული [ქ], [ჰ]

წინაენისმიერი პოსტალვეოლარული თანხმოვნები გასწვრივი ნაპრალით:

[ქ] – ყრუ დაძაბული

[ჰ] – მჟღერი არადაძაბული.

ენა წინ წამოწეულია. ენის წვერი ალვეოლებთანაა მიახლოებული. ენის ზურგს ამოზნექილი ფორმა აქვს, გვერდითი კიდეები მაგარ სასას ებჯინება. ქვედა ყბა ოდნავ წინ წამოწეულია. ბაგეები წინ წამოწეული და მომრგვალებულია. [ჰ] წარმოითქმის, როგორც ნახევრადმჟღერი – ყრუვდება თანხმოვნის საწყისი ფაზა.

**Schar** [ʃa:ɐ̯] – **Jargon** [ʒar'gɔ̃:], [ʒar'gɔ̯]

**Masche** ['maʃə] – **Blamage** [bla'ma:ʒə]

ეს ბგერები, ჩვეულებრივ, ალვეოლების რკალზე იწარმოება. გერმანული [ქ] წარმოითქმისას, ინგლისურთან შედარებით, ბაგეები შესამჩნევად წინ წამოიწევა. ფრანგულ შესაბამის თანხმოვანთან შედარებით ნაპრალი უფრო ფართოა და უფრო წინ არის (Голубев, Смирнова 2005: 102). ბგერა [ჰ] მხოლოდ ნასესხობებში გვხვდება: **Plantage** [plan'ta:ʒə], **Genie** [ʒe'ni:], **Jackett** [ʒa'kʰɛt], **Shukovski** [ʒu'kɔfski:]

**Scham** [ʃa:m] – **Jury** [ʒy'ri:]

**Hirsch** [hɪʃ] – **Loge** ['lɔ:ʒə]

**Dusche** ['dʊʃə] – **Regie** [re'ʒi:]

## ფრანგული [ქ], [ჰ]

წინაენისმიერი პოსტალვეოლარული თანხმოვნები გასწვრივი ნაპრალით:

[ქ] – ყრუ დაძაბული

[ჰ] – მჟღერი არადაძაბული.

ენის წვერი, წინა- და შუაენა მაგარი სასისკენაა აწეული. წარმოიქმნება მოკლე და ფართო ნაპრალი. ენის ზურგს ამოზნექილი ფორმა აქვს, გვერდითი კიდეები ზედა ძირითად კბილებს ებჯინება. ბაგეები ოდნავ წინ წამოწეულია და ლაბიალიზებული ხმოვნების წინ მომრგვალდება. [ქ] და [ჰ] უფრო გრძლივები არიან, ვიდრე სხვა თანხმოვნები, განსაკუთრებით სიტყვის დასაწყისში.

**cache** [kaʃ] – **cage** [ka:ʒ]

**chaque** [ʃak] – **Jaques** [ʒak]

ინგლისური ანალოგების მსგავსად, ახასიათებთ რბილი ელფერი. ფრანგული [ქ] თვისებრივად უფრო „მდიდარია“, ვიდრე ინგლისური შესატყვისი ბგერა. ორივე თანხმოვანი [ქ]-ს წინ რბილდება: **sachions** [sa'ʃjɔ̃], **mangeions** [mɑ̃'ʒjɔ̃].

**chat** [ʃa] – **jamais** [ʒa'mɛ]

**chich** [ʃiʃ] – **image** [i'ma:ʒ]

**chercher** [ʃɛʀ'ʃɛ] – **gageure** [ga'ʒy:ʀ]

## გერმანული [ç], [j]

შუაენისმიერი პალატალური ნაპრალოვანი ჩქამიერი თანხმოვნები:

[ç] – ყრუ დაძაბული

[j] – მჟღერი არადაძაბული.<sup>1</sup>

პირის ღრუს ღიაობა ვიწროსთან ახლოა. ენის ზურგის შუა ნაწილი მაგარ სასთან წარმოქმნის ნაპრალოს, ენის გვერდითი კიდეები ზედა გვერდით კბილებსა და მაგარ სასას ეხება მცირე ფართობზე. ენის წვერი ქვედა წინა კბილებზე ძევს. ბაგეები ნეიტრალურია, არ არის დაჭიმული. ზედა ბაგე ოდნავ აწეულია. თანხმოვნებისათვის დამახაიათებელი ჩქამის გამო [j] განსხვავდება უმარცვლო [ɹ] ხმოვნისაგან, [j] თანხმოვნის ჩქამი აღემატება ტონს.

**nie** [ni:] – **nicht** [niçt]

**Räte** [ˈrɛ:tə] – **recht** [rɛçt]

**Aura** [ˈaʊra] – **Major** [maˈjoːɐ̯]

**Tenor** [ˈte:nɐ] – **Banjo** [ˈbanjoː]

**Ton** [to:n] – **Station** [ʃtaˈtʃi:ɔ:n]

**Spiele** [ˈʃpi:lə] – **Familie** [faˈmi:lɪə]

[ç]-ს (ორთოგრაფიაში **ch**) უწოდებენ Ich-Laut-ს, რადგან ძირითადად წინა რივის ხმოვნებისა და ნეიტრალური ხმოვნის მეზობლობაში გვხვდება. ეს ბგერა ინგლისური დაყრუებული [j]-ს მსგავსია. ფრანგულ [j]-სთან შედარებით, წარმოადგენს უფრო უკანა და ნაკლებად ვიწრო ვარიანტს. ჩრდილო გერმანელები [ç] და [j]-ს წარმოთქვამენ ენის ზურგის წინა ნაწილით და არა მისი შუა ნაწილით, ამის გამო, გერმანული [j] ჩქამის ინტენსივობა მეტია ინგლისურ და ფრანგულ [j]-სთან შედარებით (Голубев, Смирнова 2005: 102); ამასთანავე, უფრო გრძლივია, ვიდრე ინგლისური და ფრანგული.

**Chemie** [çeˈmi:] – **Jahr** [jaːɐ̯]

**solche** [ˈzɔɫçə] – **Objekt** [ˈɔpˌjɛkt]

**mich** [miç]

## ქართული [qʷ], [x], [xʰ]

უკანაენისმიერი პოსტველარული (უვულარული) თანხმოვნები:

**q** [qʷ] – მკვეთრი.

უკანა ენა ებჯინება ან მჭიდროდ უახლოვდება რბილი სასის ბოლოს და ხახის საზღვარს. შესაბამისად **q**-ს არტიკულაცია მრავალფეროვანია: შესაძლებელია წარმოითქვას როგორ სპირანტი, ხშული ან ორივე ერთად (სპირანტოიდი). სახმო სიმები დახშულია. ქვედა ყბა დაშვებულია, ბაგეები თავისუფალია, ენის

<sup>1</sup> ეს ბგერა ზოგი ავტორის მიხედვით აპროქსიმანტია, რომლის ტრანსკრიფცია [j] ოდნავ განსხვავებულია. როგორც ჩანს, თავისუფალი (ფაკულტატიური) ვარიანტებია.

ტანი დაჭიმულია, წინა ენა ბრტყლად არის დაშვებული და უახლოვდება ქვედა წინა კბილების ალვეოლებს. უკანა ენის გვერდითი კიდეები ოდნავ ეხება რბილ სასას სიბრძნის კბილებთან. ძნელი წარმოსათქმელი ბგერაა, ბავშვის მეტყველებაში ჩნდება გვიან. უცხოელისათვის ყველაზე რთულად დასაუფლებელი ბგერაა (მრევლიშვილი 1949:70).

**ყაყაჩო** [q'aq'atʃa]

**ტყე** [t'q'e]

**ხ** [χ] – ყრუ

**ღ** [ɣ] – მჟღერი.

ენის უკანა ნაწილი უახლოვდება რბილი სასის ბოლოს და იქ აჩენს გასწვრივ ნაპრალს. ქვედა ყბა დაშვებულია, ბაგეები თავისუფალი, წინა ენა ბრტყლად არის დაშვებული და უახლოვდება ქვედა წინა კბილების ალვეოლებს, უკანა ენის გვერდითი კიდეები რბილ სასას ეხება მხოლოდ სიბრძნის კბილებთან. ეს ნიშნავს, რომ **ღ-ხ** ნაპრალოვნები უფრო უკან ქმნიან დაბრკოლებას, ვიდრე შესაბამისი ხშულები. ნაქი აწეულია (მრევლიშვილი 1949:91, ჟღენტი 1956:178). **ხ-სა** და **ღ-ს** არტიკულაცია განსხვავდება სახმო სიმების მოქმედების მიხედვით, ამასთანავე, **ხ-ს** წარმოთქმისას უკანა ენა უფრო ფართო ნაპრალს ქმნის, ვიდრე **ღ-ს** წარმოთქმისას. თავკიდური **ღ** თანხმოვანი ნახევრად მჟღერია, რადგან თანხმოვნის საწყისი ფაზა როგორც წესი დაყრუებულია. ბოლოკიდურ პოზიციაში ან ნაწილობრივ ინარჩუნებს მჟღერობას ან ყრუვდება – **ყოჩად** [q'atʃax]. ასიმილაციას განიცდის ყრუ თანხმოვნების წინ – **ბაღთან** [baχtʰan]. უნდა ვერიდოთ ქართული ენერგიული **ხ-ს** შენაცვლებას **ჰ-ს** მაგვარი შერბილებული ვარიანტით. ქართული **ხ** აკუსტიკურად გერმანულ Ach-lauts მოგვაგონებს.

**ხახა** [χaxa]

**ღაღადი** [ɣaɣadi]

### გერმანული [x], ([χ])

უკანაენისმიერი ველარული ნაპრალოვანი თანხმოვნები:

[x] – ყრუ.

ენა წინ წამოწეულია. ენის წვერი წინა ქვედა კბილებზე ძევს, ენის გვერდითი კიდეები ზედა გვერდით კბილებს ეხება. ყბა დაშვებულია. უკანა ენის წინა ნაწილი რბილ სასასთან ქმნის ნაპრალს. ნაპრალში გამავალი ჰაერნაკადი პირის ღრუში საკმაო ჩქამს წარმოქმნის. ბაგეები ნეიტრალურია და არ არის დაჭიმული. ბაგეების მდგომარეობა წინამავალ და მომდევნო ხმოვნებზეა დამოკიდებული.

**Bruch** [brux]

**pochen** [p'pʰo:xən]

გერმანულ ორთოგრაფიაში **ch** ასო-ნაშანი წარმოითქმის სიტყვის შუაში და ბოლოს უკანა რიგის ლაბიალური ხმოვნების მომდევნო პოზიციაში როგორც [x]

(ე.წ. Ach-Laut-i): **Buch** [bu:x], **doch** [dɔx], **Buche** ['bu:xə], **auch** ['ʰaʊx] (Mayer 2010: 46).<sup>1</sup> საყურადღებოა რომ, უცხო სიტყვებში **ch** ასო-ნიშანი გერმანულში, იმის მიხედვით თუ რომელი ენიდანაც არის ნასესხები, განსხვავებულად წარმოითქმის, მაგალითად: ბერძნულიდან – Charakter [ka'raktɐ], ინგლისურიდან – Chancellor ['tʃɑ:nsəl], ფრანგულიდან – Chance ['ʃɑ:s(ə)], ['ʃɑ:nsə].

გერმანული მჟღერი [χ], როგორც **r** ფონემის ალოფონი (**r**-ს რეალიზაციების შესახებ, აგრეთვე იხ. გვ. 81-82, 100), გვხვდება გრძელი ხმოვნების შემდეგ ინტერვოკალურ პოზიციაში: **stören** ['ʃtø:çən], **hören** ['hø:çən], **Bären** ['bɛ:çən]. [χ] ვოკალიზდება ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვნის შემდეგ, ასევე, გრძელ ხმოვანსა და თანხმოვანს შორის. ამიტომაც, ტრანსკრიფციაში გადმოიცემა, როგორც [ქ]: **Bar** [ba:χ], **Fahrt** [fa:χt], **für** [fy:χ] ან [ɐ]: **Bauer** ['baʊɐ], **Vater** ['fa:tɐ], **erwidern** ['ɛχ'vi:dən].

*შენიშვნა:* [x]-ს მსგავსი ბგერა აგრეთვე გვხვდება შოტლანდიაში. ინგლისელები მის ნაცვლად, ჩვეულებრივ, [k]-ს წარმოთქვამენ: **loch** [lɒk], [lɔx]; **Buchan** ['bʌkən], ['bʌxən].

### გერმანული, ფრანგული [ჩ], [ჩ]

უკანაენისმიერი უვულარული ნაპრალოვანი თანხმოვნები:

[ჩ] – მჟღერი

[ჩ] – ყრუ.

ენის წვერი ქვედა კბილებთანაა. ყბა დაშვებულია. ნაქი ეშვება და ენის აწეულ უკანა ზურგს უახლოვდება. წარმოიქმნება ნაპრალი, სადაც ფონაციური ჰაერნაკალი ჩქამს წარმოქმნის. რადგანაც ენა გარკვეულწილად თავისუფალია, საარტიკულაციო წერტილი ნაქის მიდამოებში არ არის მკაცრად ფიქსირებული. ბაგეები ნეიტრალურია და არ არის დაჭიმული, თუმცა მათი მდგომარეობა მეზობელი ხმოვნების ბუნებაზეა დამოკიდებული.

გერმანული [ჩ] **r** ფონემის ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული ალოფონია: **Rost** [ʀɔst], **Dorf** [dɔʀf], ხოლო მარცვლის დასაწყისში [f], [p], [t], [k], [ʃ] ყრუ თანხმოვნების შემდეგ **r**-ს დაყრუების შედეგად წარმოითქმის [ჩ]: **frei** [fʀaɪ], **prost** [pʀɔ:st], **Kreide** ['kʀaɪdə].

[ჩ] ბგერა (ე.წ. Ach-Laut-i) აგრეთვე შეესაბამება ოროთოგრაფიულ **ch** ასო-ნიშანს დაბალი აწეულობის ხმოვნის მომდევნოდ (Mayer 2010: 46).

**acht** ['axt]

<sup>1</sup> ზოგი ავტორის აზრით გერმანულში ასევე ჩვეულებრივი მოვლენაა [a] ხმოვანთან [x] ვულარული ნაპრალოვნის წარმოთქმა (Голубев, Смирнова 2005: 102).

Nacht [naχt]

Fracht [fɾaχt]

**ფრანგული** სტანდარტული<sup>1</sup> **r** არის დორსალურ-უველარული ნაპრალოვანი თანხმოვანი. წარმოითქმის პირის ღრუს სიღრმეში, მონაწილეობს ნაქიც; [ɾ]-ს წარმოითქმის ღროს ბაგეები მხოლოდ მაშინ არის მომრგვალებული, თუ მომდევნო ხმოვანია ლაბიალიზებული: მაგ. **route** [ʁut]. ფრანგული [ɾ] გავრცელებულია პარიზსა და მის შემოგარენში. იგი გარემოცვისდა მიხედვით შეიძლება იყოს მჟღერი, ყრუ ან ძალიან რელუცირებული. იგი მჟღერია მჟღერი თანხმოვნის ან ხმოვნის წინ: **rue** [ʁy], **arbitre** [aʁ'bitɾ], **bavarder** [bavaɾ'de]. ფრანგული [ɾ] ბოლოკიდურ პოზიციაში წარმოითქმის ხმოვნების შემდეგ: **encore** [ɑ̃'kɔ:ɾ], **car** [ka:ɾ], **mur** [my:ɾ]. ბოლოკიდურ პოზიციაში სპირანტული ელემენტი ძალიან სუსტია და ბგერა აღსაქმელად ძნელი ხდება. ამ მოვლენას ეწოდება **ღვეიბრაცია**. ყრუ ვარიანტი [χ] რეგრესული ასიმილაციის ნიადაგზე გვხვდება ყრუ თანხმოვნის მეზობლად: **serpe** [sɛχp], **tarte** [taχt].

### ქართული ჰ [h]

ფარინგალური/ლარინგალური ყრუ ნარალოვანი თანხმოვანი.

ქართული ჰ-ს წარმოების ადგილის თაობაზე არსებობს ორი მოსაზრება, ზოგი ავტორი მას ფარინგალურ ნაპრალოვნად მიიჩნევს (ჟღენტი 1956: 162; დოლიძე 1955), ზოგი კი – ლარინგალურად (ახვლედიანი 1999; გამყრელიძე 2008; მრევლიშვილი 1949: 92). ამის მიზეზი ის არის, რომ ჰ-ს არტიკულაციისათვის დაბრკოლების (ნაპრალის) მკაფიო ლოკალიზება არ არის დამახასიათებელი და ამიტომ ჩქამიც საკმაოდ სუსტია. საკმაოდ ღია ბგერაა, ქვედა ყბა დაშვებულია, ბაგეები და ენა თავისუფალია. ენის კიდეები არ ეხება ზედა გვერდით კბილებს. იგი ნაკლებ დაჭიმული და სუსტი არტიკულაციით იწარმოება. „ქართულში ჰაე საზოგადოდ სუსტი ბგერაა და ადვილად ეგუება მომდევნო ბგერის გამოთქმას“ (შანიძე 1953: 177). ამიტომაც არის, რომ ჰ ხშირად ხმოვნის ფშვინვიერი შემართვის ან დამართვის სახით გვევლინება. „ინგლისური **h** განსხვავდება ქართულისაგან მხოლოდ ასპირაციის მეტი სიძლიერით“ (ახვლედიანი 1938: 196).

ჰერი [hæri]

ჰავა [hava]

ჰე! [hɛ] – აჰ! [ah] (შორისდებულები).

<sup>1</sup> სტანდარტულ **r**-ს **პარიზულ r**-საც უწოდებენ, რადგან პარიზის რეგიონში გავრცელდა ეს ბგერა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში. ფონეტიკურ ანბანში პარიზული **r** აღინიშნება სხვადასხვანაირად, ჩვენ ვიყენებთ ფონეტიკურ [ɾ] ნიშანს.

## ინგლისური [h]

ლარინგალური ყრუ ნაპრალოვანი თანხმოვანი.

ენა და ბაგეები მომდევნო ხმოვანი ბგერის წარმოსათქმელ მდგომარეობას იკავებს. ჩქამი წამოიქმნება დაუჭიმავე სახმო სიმებში საფონაციო ჰაერნაკადის გავლის შედეგად. ნაქი აწეულია. ზოგიერთი ფონეტიკისტი აღნიშნულ ბგერას ხახისმიერად (ქვედაფარინგალურად) მიიჩნევს, ამ დროს ფართო ნაპრალი წამოიქმნება ენის ძირსა და ხახის უკანა კედელს შორის. ფაქტობრივად, ამოსუნთქვის ხმაა, სუსტი ჩქამით, სახმო სიმების რხევის გარეშე.

**cat** [kæt] – **hat** [hæt]

**cow** [kau] – **how** [hau]

მჟღერ ბგერათა გარემოცვაში შესაძლოა დაემსგავსოს [h] მჟღერ ლარინგალს: ასეთ ბგერას თან ახლავს ხახუნით გამოწვეული ჩქამი: **boyhood** ['bɔɪhʊd], **inhabit** [ɪn'hɪæbɪt]. სასაუბრო მეტყველებაში, უმახვილო სიტყვებში [h] საერთოდ არ წარმოითქმის: **I have not seen him** [aɪ 'hævnt 'si:n ɪm], **Tom has been there** ['tɒm əz 'bi:n ðeə], **Has he?** ['hæz ɪ?]. თავკიდური [h] ასევე არ წარმოითქმის რიტმული ჯგუფის შუაში უმახვილო მარცვლებსა და სიტყვათფორმებში: **an historical novel** [ən ɪs'tɒrɪk (ə)l 'nɒv(ə)l], **on the horizon** [ɒn ðɪ ə'traɪz(ə)n]. ბგერა ძალიან ჰგავს ფართოდ გაღებული პირით მინაზე დაორთქლების შედეგად გამოცემულ ხმას.

**high** [haɪ]

**inherit** [ɪn'herɪt]

## გერმანული [h]

ფარინგალური/ლარინგალური ყრუ ნაპრალოვანი თანხმოვანი.

უმრავლესობა მეცნიერებისა აღნიშნულ ბგერას ლარინგალურად (ხორხისმიერად) მიიჩნევს – მიახლოებული სახმო სიმებში საფონაციო ჰაერნაკადის გავლის შედეგად წარმოქმნილი ჩქამით (Mayer 2010: 39). გერმანული ფარინგალური [h]-ს წარმოთქმისას პირის ღიაობის ხარისხი, ენისა და ბაგეების მდგომარეობა მომდევნო ხმოვნით განისაზღვრება; ენის ძირი ხახის უკანა კედელსა მიახლოებული, წამოიქმნება ფართო ნაპრალი. აღნიშნული ბგერის ჩქამი წამოიქმნება ხახის უკანა კედელთან ჰაერნაკადის ძლიერი შეჯახების შედეგად. ნაპრალში გამავალი ჰაერნაკადი პირის ღრუში წარმოქმნის სუსტ ჩქამს (Голубев, Смирнова 2005: 94). გერმანული [h]-ს შესახებ გ. ახვლედიანი მართებულად წერს: „ის ისეთივე ლარინგალი ნაპრალოვანია, როგორცაა ქართული ჰ, მხოლოდ მისი ჩქამები, როგორც ჩანს ძლიერდება ფარინგსში (ხახაში) (ახვლედიანი 1938: 202).

**und** [ʊnt] – **Hund** [hʊnt]

**kalt** [k<sup>h</sup>alt] – **Halt** [halt]

**Hag** [ha:k]

**Uhu** [ʰu:hu:]

გერმანულ მეტყველებაში [h] წარმოითქმის ხმოვნების წინ სიტყვის დასაწყისსა და, ზოგჯერ, სიტყვის შუაში. ამასთანავე, ინგლისურისაგან განსხვავებით, ყოველთვის წარმოითქმის სიტყვის დასაწყისში. ბგერა ძალიან ჰგავს ფართოდ გაღებული პირით მინაზე დაორთქლების შედეგად გამოცემულ ხმას.

**შენიშვნა:** [h] ყრუ ფშვინვიერი ბგერა ასევე გვხვდება საფრანგეთის ზოგიერთ პროვინციაში: ნორმანდიაში (aspiration normande), ლოთარინგიაში, გასკონიაში, ბრეტანიაში და ქვემო პირენეაში.

### 13.3. აფრიკატები

#### გერმანული [pf]

წყვილბაგისმიერ-ბაგეკბილისმიერი აფრიკატი, ყრუ, დაძაბული თანხმოვანი.

ენა ოდნავ წინ წამოწეული და თავისუფლად ძეგს პირის ღრუში. ენის წვერი ქვედა წინა კბილებს ეხება, გვერდითი კიდეები ქვედა გვერდით კბილებს ეხება. ბაგეების ხშვის მოძღვენოდ, ნაპრალი წარმოიქმნება ქვედა ბაგესა და ზედა კბილებს შორის.

**Panne** [ˈpʰanə] – **Pfanne** [ˈpfanə]

**peilen** [ˈpʰaɪlən] – **Pfeil** [pfaɪl]

**Pferd** [pfeːɐ̯t]

**Kopf** [kʰɔp̩f]

**Apfel** [ˈap̩fəl]

ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებში მსგავსი აფრიკატი არ არსებობს.

#### ქართული [tsʰ], [ts], [dz]

წინაენისმიერი პრეალვეოლარული აფრიკატები:

წ [tsʰ] – ყრუ მკვეთრი

ც [ts] – ყრუ ფშვინვიერი

ძ [dz] – მჟღერი.

ენის წვერი ებჯინება ზედა საჭრელი კბილებისა და ალვეოლების საზღვარს. ენის წინა ნაწილის ზურგი ასევე ეხება ნუნების წინა ნაწილს. ენის გვერდები ეხება ზედა კბილებსა და მაგარი სასის ნაწილს. ნაქი აწეულია, ქვედა ყბა ოდნავ დაშვებულია, ბაგეები პასიურია. განხშვა ხორციელდება **ს**, **ზ** ნაპრალოვნებისათვის დამახასიათებელ ნაპრალში. მკვეთრი **წ**-ს წარმოთქმისას მაგარი სასის წინა ნაწილში ენის შეხების კვალი გაცილებით ფართოა, ვიდრე **ძ**, **ც**-ს წარმოთქმისას, რაც ხშვის ენერგიულობაზე მიუთითებს. თავკიდური მჟღერის წარმოთქმისას უფრო ხშირად სახმო სიმების რხევა ჩამორჩება განხშვას. თავკიდურ პოზიციაში, როგორც წესი, მჟღერის ხშვის ფაზაა დაყრუებული. **ძ** კარგავს მჟღერობას და

რეალიზდება შესაბამისი ფშვინვიერით ყრუ თანხმოვნების რეგრესული ასიმილაციის შედეგად: **ქინძს** [kʰintss], **ბოძს** [bɔtss].

**წიწაკა** [tsʰitsʰakʰa]

**ცაცია** [tsatsia]

**ძაძა** [dzadza]

### გერმანული [ts]

წინაენისმიერი ალვეოლარული აფრიკატი, ყრუ, დაძაბული თანხმოვანი.

პირის ღრუ ოდნავ ღიაა. ენა ოდნავ წინ წამოწეულია. ენის წვერი და მისი ზურგის წინა ნაწილი ალვეოლებისა და ზედა კბილების საზღვართან ხშვას წარმოქმნიან [t]-ს წარმოსათქმელად. ენის გვერდები ეხება ზედა კბილებსა და მაგარი სასის მნიშვნელოვან ნაწილს. განხშვა ფშვინვის გარეშე გადადის [s]-ს წარმოსათქმელ ნაპრალში.

**Thema** [tʰe:ma:] – **zehn** [tse:n]

**Ton** [tʰo:n] – **Zoo** [tso:]

**Ziel** [tsi:l]

**Platz** [plats]

**Minze** [ˈmɪnt͡sə]

ანალოგიური ბგერა ინგლისურ და ფრანგულ ენებში არ არსებობს.

### ქართული [tʃ], [tʃ], [dʒ]

წინაენისმიერი ალვეოლარული აფრიკატები:

**ჭ** [tʃ] – ყრუ მკვეთრი

**ჩ** [tʃ] – ყრუ ფშვინვიერი

**ჯ** [dʒ] – მჟღერი.

ენის წინა ნაწილის ზურგი ებჯინება ნუნების უკანა და მაგარი სასის წინა ნაწილებს. ენის წვერი დაბლაა დაშვებული ქვედა საჭრელ კბილებთან. ენის გვერდითი კიდეები საკმაოდ ფართოდ ეხება მაგარ სასას. მკვეთრი **ჭ**-სთვის ენის წინა და შუა ნაწილის ზურგი მაგარ სასასთან შესამჩნევად ფართო არეს მოიცავს **ჩ**, **ჯ**-სთან შედარებით (ჟღენტი 1956: 71, 122). მკვეთრების არტიკულაციის ამ თავისებურების მიზეზი არის საწარმოთქმო ორგანოების დაჭიმულობა და ხშვის ენერგიული სკდომა. ნაქი აწეულია, ბაგეები წინ წამოწეულია და მომრგვალებული. განხშვა ხორციელდება ნაპრალში და ენა [j] ან [ʒ]-ს წარმოსათქმელ პოზიციას იკავებს. **ძ ც წ**-სთან შედარებით **ჯ ჩ ჭ**-ს არტიკულაცია საგრძნობლად უკან არის გადწეული. უფრო ხშირად თავკიდური მჟღერის წარმოთქმისას სახმო სიმების რხევა ჩამორჩება განხშვას. თავკიდურ პოზიციაში, როგორც წესი, მჟღერის ხშვის ფაზაა დაყრუებული, ხოლო ბოლოკიდურში – განხშვის: **ნაბიჯ-ნაბიჯ** [nabidʒnabitʃ]. **ჯ** მჟღერობას ასევე კარგავს ყრუ თანხმოვ-

ნების რეგრესული ასიმილაციის შედეგად და რეალიზდება შესაბამისი ფშვინ-  
ვიერთი: ნაბიჯს [nabitʃs].

ჭაჭა [tʃʰatʃʰa]

ჩოჩოჩი [tʃʰatʃʰari]

ჯეჯილი [dʒɛdʒili]

### ინგლისური [tʃ], [dʒ]

წინაენისმიერი პალატოალვეოლარული აფრიკატები:

[tʃ] – ყრუ, დაძაბული თანხმოვანი

[dʒ] – მჟღერი, ნაკლებად დაძაბული თანხმოვანი.

ენის კორპუსი უკან არის გადაწეული და ოდნავ ზემოთ აწეული. ენის წინა და შუა ნაწილი ალვეოლებისა და მაგარი სასის მიჯნაზე ახდენს ზშვას. კბილები ნაწილობრივად ან სრულად ებჯინება ერთმანეთს. მომრგვალებული ბაგეები წინაა წამოწეული. განხშვისას ენა [tʃ] ან [dʒ]-ს წარმოსათქმელ პოზიციას იკავებს. განხშვა შენელებულად მიმდინარეობს. ენის ზურგი ოდნავ უახლოვდება მაგარ სასას, რის გამოც მოცემულ ბგერებს რბილი ელფერი არ აქვთ.

**test** [test] – **chest** [tʃest]

**deep** [di:p] – **jeep** [dʒi:p]

**shoes** [ʃu:z] – **choose** [tʃu:z]

**bad** [bæd] – **badge** [bædʒ]

ფრანგულში ანალოგიური ბგერები არ არსებობს. [dʒ] აგრეთვე არ არის გერ-  
მანულში (მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში: **Dschungel** ['dʒʊŋəl]). აფრიკატი [tʃ]  
უნდა განსხვავდებოდეს [t-ʃ] ბგერათმიმდევრობისაგან: **courtship** ['ko:t-ʃɪp],  
**nightshirt** ['naɪt-ʃɜ:t], **sweatshop** ['swet-ʃɒp], **nutshell** ['nʌt-ʃel].

**cheap** [tʃi:p] – **jam** [jæm]

**coach** [kəʊtʃ] – **hinge** [hɪndʒ]

**teacher** ['ti:tʃə] – **engine** ['endʒɪn]

### გერმანული [tʃ]

წინაენისმიერი პოსტალვეოლარული აფრიკატი, ყრუ, დაძაბული თანხმოვანი.

პირის ღრუ ოდნავ ღიაა. ენა ოდნავ წინ წამოწეულია. ენის წვერი ალვეოლების  
უკან ზშვას წარმოქმნის, რომელიც განხშვის შემდეგ გადადის ნაპრალში [tʃ]-ს  
წარმოსათქმელად. ბაგეები წინ წამოწეული და მომრგვალებულია. არტიკულაცი-  
ურად ყოველთვის დაჭიმულია და აკუსტიკურად მაგარი.

**keusch** [kʰɔɕtʃ] – **Deutsch** [dɔɕtʃ]

**Schach** [ʃax] – **Tschako** [tʃako]

გერმანული [tʃ] წარმოადგენს უფრო წინა ბგერას, ვიდრე ინგლისური [tʃ].

**tschilpen** [ˈtʃɪlpən]

**Kitsh** [kʰɪtʃ]

**Kutscher** [ˈkʰʊtʃɐ]

**შენიშვნა:** აფრიკატების წარმოთქმისას ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ხშულ და ნაპრალოვან ელემენტებს შორის ადგილი არ ჰქონდეს პაუზის წარმოქმნას. ისინი ერთ ბგერად უნდა წარმოითქმებოდეს.

### 13.4. ნახევარხმოვნები (აპროქსიმანტიები)

#### ინგლისური [w]

ლაბიოველარული ნახევარხმოვანი (აპროქსიმანტი).

ბაგეები დაჭიმულია და ძალზე მომრგვალებული, მაგრამ არ არის წინ წამოწეული. წარმოიქმნება ვიწრო მრგვალი გასასვლელი. ნაქი არ არის ჩამოშვებული. ენის ზურგის უკანა ნაწილი აწეულია რბილი სასისკენ. ბაგეები და ენა სწრაფად გადადის მომდევნო ბგერის წარმოსათქმელ მდგომარეობაში. ენის აწეულობა და ლაბიალიზაციის ხარისხი მომდევნო ხმოვნის ბუნებაზეა დამოკიდებული.

**vane** [veɪn] – **wane** [weɪn]

**veal** [vi:l] – **wheel** [wi:l]

ინგლისურ [w]-ს უფრო მეტად აქვს გამოხატული თანხმოვნური თვისებები ფრანგულ [w]-სთან შედარებით, მაგალითად ფრანგულ სიტყვაში: **ouate** [wat]. ინგლისურ [w] არასდროს ქმნის მარცვალს, ყრუ თანხმოვნის შემდეგ, მახვილიან მარცვალში, ნაწილობრივ ან სრულად კარგავს მჟღერობას: **twist** [twɪst], **quick** [kwɪk], **sweat** [swet]. არსებობს ყრუ ბგერაც [ʍ], რომელიც წარმოითქმის **wh** ბგერათშეერთებით დაწყებულ სიტყვებში და დამახასიათებელია ჩრდილოეთ ინგლისისათვის, შოტლანდიისა და ირლანდიისათვის. ასევე, ამერიკული წარმოთქმისათვისაც: **whale** [ˈweɪl], **which** [ˈwɪtʃ], **while** [ˈwaɪl].

**wind** [waɪnd]

**persuade** [pəˈsweɪd]

**შენიშვნა:** სალიტერატურო ინგლისურში **wh** წარმოითქმის როგორც [w]. თუმცა ზოგიერთ რაიონებში **wh**-ს წარმოთქვამენ როგორც [hw]-ს, და განასხვავებენ სიტყვებს:

**whet** [hwet] – **wet** [wet]

**whine** [hwaɪn] – **wine** [waɪn]

## ფრანგული [w]

ლაბიოველარული დაძაბული ნახევარხმოვანი (აპროქსიმანტი).

სამეტყველო ორგანოების მდგომარეობა იგივეა რაც [u]-ს წარმოთქმის შემთხვევაში, თუმცა ბაგეები უფრო მეტად არის დაჭიმული და დაახლოებული. ისინი სწრაფად გადადიან მომდევნო ბგერის წარმოსათქმელ პოზიციაში. პირის ღრუს ღიაობა ვიწროა. ენა ძალზე უკანაა გადაწეული. ენის ძირი მთლიანად არ არის ამოწეული. ენის ზურგის უკანა ნაწილი სასისკენაა აწეული. ენის წვერი ქვედა კბილების ალვეოლებზე ძევს. მომრგვალებული ბაგეები წინ წამოწეულია. ბაგეებთან წარმოქმნილი ჩქამი სხვა თანხმოვნებთან შედარებით სუსტია.

**choux** [ʃu] – **échouer** [e'ʃwe]

**faint** [fɛ̃] – **foin** [fwɛ̃]

ფრანგული [w] არ წარმოქმნის მარცვალს. მოგვაგონებს ინგლისურ [w]-ს, მაგრამ არტიკულაციისას ბაგეები უფრო პასიურია, არ წამოიწევა წინ. ბაგეების მდგომარეობის გამო ფრანგული ბგერა უფრო ვოკალურია. ბგერა [w]-ს მჟღერი ვარიანტი წარმოითქმის მჟღერი თანხმოვნების შემდეგ, იგი ასევე გვხვდება სიტყვების დასაწყისში: **avoir** [a'vwɑ:R], **loyal** [lwa'jal], **oui** [wi].

**oui** [wi]

**convoi** [kɔ̃'vwɑ]

**comptoir** [kɔ̃'twa:R]

## ფრანგული [ɥ]

ლაბიოპალატალური დაძაბული ნახევარხმოვანი (აპროქსიმანტი).

სამეტყველო ორგანოების მდგომარეობა იგივეა, რაც [y]-ს წარმოთქმის შემთხვევაში, თუმცა ბაგეები დაჭიმულია და ერთმანეთთან უფრო დაახლოებული. პირის ღრუს ღიაობა ვიწროა. ენა წინ წამოწეულია. ენის წვერი ქვედა კბილებს ებჯინება, ხოლო გვერდითი კიდეები ზედა კბილებს. ბაგეები წინ წამოწეულია, მომრგვალებული და ზომიერად დაჭიმული. ბაგეების ჭრილს გასწვრივი ნაპრაღის ფორმა აქვს. ნაქი აწეულია. არტიკულაციისას ენის წინა ნაწილი სასისკენ ოდნავ უფრო ნაკლებად არის აწეული, ვიდრე ეს [y]-თვისაა საჭირო. ბაგეებთან წარმოქმნილი ჩქამი სხვა თანხმოვნების ჩქამთან შედარებით სუსტია.

**pu** [py] – **puis** [pɥi]

**su** [sy] – **suivre** [sɥi:vR]

ფრანგული [ɥ] არ ქმნის მარცვალს. მჟღერი ვარიანტი წარმოითქმის მჟღერი თანხმოვნების შემდეგ და სიტყვის დასაწყისში: **luire** [lɥi:R], **huile** [ɥil], **buis** [bɥi].

**huit** [ɥit]

**cuire** [kɥi:R]

## ინგლისური [r\*]<sup>1</sup>

აპიკალური პოსტალვეოლარული აპროქსიმანტი.

ენის გვერდითი კიდეები მჭიდროდ ებჯინება ზედა გვერდით კბილებს. ენის წინა ნაწილს ჩაძრის ფორმა აქვს. ენის წვერი მიახლოებულია ალვეოლების უკანა ქანობს. ჰაერნაკადისთვის წარმოიქმნება ცენტრალური გასასვლელი. ბაგეები დაჭიმული და მომრგვალებულია. ჩქამი უმნიშვნელოა. **r\*** წარმოითქმის მხოლოდ ხმოვნების წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვების ბოლოს წარმოითქმის, როგორც [ɹ]: **Better late than never** ['beta 'leit ðen 'neɪvə], ხოლო ხმოვნების წინ წარმოითქმის, როგორც [ɹ].

**I** [aɪ] – **ride** [ɹaɪd]

**white** [waɪt] – **write** [ɹaɪt]

მახვილიან მარცვალში [p], [t], [k] ბგერების შემდეგ მოცემული ბგერა მთლიანად ყრუვდება: **prove** [pɹu:v], **cry** [kɹaɪ], **tree** [tri:], ხოლო ნაწილობრივ – უმახვილო მარცვალში [spɹ], [stɹ], [skɹ] ბგერათმომდევრობებში და სხვა ყრუ თანხმოვნების შემდეგ: **apron** ['eɪ.pɹɒn], **spring** [spɹɪŋ], **three** [θri:], **free** [fri:]. განსხვავდება გერმანული და ფრანგული [r], [R], [ʀ]-სგან. ამერიკულ წარმოთქმაში ისმის როგორც თანხმოვნის წინ, ისე სიტყვის ბოლოს. ინგლისის სამხრეთ-დასავლეთში თანხმოვნების წინ და სიტყვების ბოლოს ვოკალიზაცია განიცადა და რეტროფლექსიურად გარდაიქმნა, ანუ ენის წვერი ძლიერად იხნიქება უკან. ინგლისური ენის რამდენიმე დიალექტში ხმოვნის წინა პოზიციაში გავრცელებულია ამ ბგერის ლაბიალიზაცია – [ʋ] ლაბიოდენტალური აპროქსიმანტის სახით: **red** [ʋɛd], **merry Christmas** [meɪvɪ 'kɹɪsmɪs].<sup>2</sup>

### შენიშვნა:

ბგერი ინგლისელი საერთოდ არ წარმოთქვამს მაკავშირებელ [r]-ს (linking r).

## ინგლისური [j]

შუაენისმიერი პალატალური ნახევარხმოვანი (აპროქსიმანტი).

ენის ზურგის შუა ნაწილი აწეულია მაგარი სასისკენ (თითქმის [i]-ს მსგავსად) ენის კიდეები მჭიდროდაა მიბჯენილი ზედა გვერდით კბილებზე. ცენტრში წარმოიქმნება გასასვლელი ჰაერნაკადისათვის. ენის წვერი ქვედა კბილებთან მდებარეობს. ენა სწრაფად გადადის მომდევნო ბგერის წარმოსათქმელ მდგომარეობაში. ბაგეები განზეა გაჭიმული. ენის ზურგის შუა ნაწილის აწეულობის საფეხური მომდევნო ხმოვანზეა დამოკიდებული. წარმოთქმის დროს არავითარი ხახუნის ჩქამი არ ისმის.

<sup>1</sup> საერთაშორისო ფონეტიკური ტრანსკრიფციით [ɹ].

<sup>2</sup> [https://en.wikipedia.org/wiki/Pronunciation\\_of\\_English\\_\(r\)](https://en.wikipedia.org/wiki/Pronunciation_of_English_(r)).

**escort** ['eskɔ:t] – **yes** [jes]

**melon** ['melən] – **million** ['mɪljən]

ინგლისური [j] არ ქმნის მარცვალს, წარმოითქმის როგორც გერმანული ან ფრანგული [j] (Голубев, Смирнова 2005: 93). შესაძლებელია ჰქონდეს ყრუ ელფერი [hj] ბგერათმომდევრობაში: **human** ['hju:mən], ['çu:mən] და ყრუ თანხმოვნების შემდეგ: **pew** [pjʊ:], [pçʊ:]; **tune** [tju:n], [tçu:n].

ასიმილაციის სხვა შემთხვევები:

[sj], [ʃj], [ʃ]: **issue** ['ɪsju:], ['ɪʃju:], ['ɪʃu:];

[zj], [ʒj], [ʒ]: **casual** ['kæzjuəl], ['kæzjuəl], ['kæzʃəl];

[tj], [tʃ]: **actual** ['æktjuəl], ['æktʃuəl];

[dj], [dʒ]: **verdure** ['vɜ:dʒə], ['vɜ:dʒə].

**yield** [ji:ld], **you** [ju:], **union** ['ju:njən]

### ფრანგული [j]

შუაენისმიერი პალატალური ნახევარხმოვანი (აპროქსიმანტი).

სამეტყველო ორგანოების მდგომარეობა თითქმის იმეორებს [i]-ს არტიკულაციას, ოღონდ ენის ზურგი უფრო მაღლაა აწეული. პირის ღრუს ღიაობა ვიწროა. ენის წვერი ქვედა კბილებს ებჯინება, ხოლო გვერდითი კიდეები – ზედა კბილებს. ბაგეების კუთხეები განზე გაჭიმული ისე, როგორც ღიმილის შემთხვევაში. ბაგეების მდგომარეობა დამოკიდებულია მომდევნო ხმოვანზე. აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ბოლოკიდური [j]-ს მკაფიო და მჟღერ წარმოთქმას პაუზის წინ.

**eux** [ø]

**yeux** [jø]

**lin** [lɛ̃]

**lien** [ljɛ̃]

ბაგისმიერი და აპიკალური თანხმოვნების შემდეგ ფრანგული [j] შესამჩნევადაა წინ წამოწეული: **bien**, **lien**, **nier**; ჩქამი მხოლოდ [i]-ს მომდევნო პოზიციაში ფიქსირდება: **piller**[pi'je], **fille**[fi], მაგრამ გაცილებით სუსტია გერმანული j-ს ჩქამთან შედარებით. სხვა ხმოვნების მომდევნო პოზიციაში უფრო გერმანულ უმარცვლო [ɹ]-ს მსგავსია: **soleil** [sɔ'lej], **houille** [uj] (Голубев, Смирнова 2005: 93). ფრანგული [j] წარმოადგენს მოკლე ბგერას და ყოველთვის წინ უსწრებს მარცვალშემქმნელ ხმოვანს: **étudiant** [ety'djɑ̃], **parisien** [paʀi'sjɛ̃], **notion** [no'sjɔ̃].

**yole** [jɔl]

**évier** [e'vjɛ]

### 13.5. ცხვირისმიერი თანხმოვნები (ნაზალები)

#### ქართული მ [m]

წყვილბაგისმიერი ცხვირისმიერი (ნაზალური) ხშული თანხმოვანი (სონორი<sup>1</sup>).

მ და პ, ფ, ზ ბგერების არტიკულაცია მსგავსია იმ განსხვავებით, რომ მ-ს წარმოთქმისას ბაგეები ნაკლებად დაძაბულია, რბილი სასა მოღუნებულია, ნაქი ჩამოშვებულია და ჰაერნაკადი ცხვირის ღრუში გადის. ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადის ერთი ნაწილი გადის ცხვირის ღრუში ნაზალური რეზონანსის წარმოსაქმნელად, ხოლო მეორე ნაწილი ბაგეების განხშვის შემდეგ გამოედინება პირის ღრუდან (მრევლიშვილი 1949:74; ჟღერტი 1956:154). ბაგეები არ განიხშვება აბსოლუტურ ბოლოში და ლაბიალური თანხმოვნების წინ: დეღამ, ამბავი, ამფორა. ყრუვდება ლ, ნ, რ თანხმოვნების მსგავსად ორ ყრუ თანხმოვანს შორის: იქმს. ასევე ხშირად რედუცირდება: (მ)კვდარი, (მ)კვეთრი, (მ)სგავსი, ავად(მ)ყოფი [ავატყოფი/ავანტყოფი], თავ(მ)ჯდომარე.

მამა [mama]

მაგრამ [magram]

#### ინგლისური [m]

წყვილბაგისმიერი ცხვირისმიერი (ნაზალური) ხშული თანხმოვანი (სონორი<sup>2</sup>).

ბაგეების არტიკულაცია ისეთივეა, როგორიც [b] ბგერის წარმოთქმისას, თუმცა ნაქი ჩამოშვებულია და ჰაერნაკადი ცხვირის ღრუში გადის. ბაგეები დაჭიმულია და ოდნავ განზეა გაწეული. დახშული ბაგეების განხშვა ხდება მყისიერად. ინგლისური სონორების წარმოებისას ჩქამი არ მონაწილეობს. სიტყვის შუაში ყოველთვის მოკლედ წარმოითქმის: ammonia [ə'mɒnɪjə]

pet [pet] – met [met]

park [pɑ:k] – mark [mɑ:k]

ფრანგული [m]-სგან განსხვავებით, ინგლისური შესაბამისი ბგერა ხშირად არის მარცვლისშემქმნელი: chasm ['kæz-ɪz], prism ['prɪz-ɪz]. ამასთანავე გერმანულთან შედარებით ბაგეების უფრო ძლიერი დაჭიმულობით წარმოითქმის (Голубев, Смирнова 2005: 83); ზოგჯერ ბაგეებილისმიერი (ლაბიოდენტალური) თანხმოვნების წინ [m]-ს ბაგეებილისმიერ ვარიანტს წარმოთქვამენ: comfort ['kʌmfət], nymph [nɪmf]. ინგლისელმა მომღერალმა სიტყვა him-ის დაყოვნება რომ მოისურვოს, უნდა წარმოთქვას მოკლე ხმოვანი და გრძელი [m].

member ['membə]

dam [dæm]

hammer ['hæmə]

<sup>1</sup> სონორების წარმოთქმისათვის ჩქამი არ არის დამახასიათებელი.

<sup>2</sup> ინგლისური საენათმეცნიერო ტერმინოლოგიით – sonorant ან resonant.

### გერმანული [m]

წყვილბაგისმიერი ცხვირისმიერი (ნაზალური) ხშული თანხმოვანი (სონორი<sup>1</sup>).

ენა ოდნავ წინ წამოწეულია, მისი გვერდითი კიდეები ქვედა გვერდით კბილებს ეხება. ენის ზურგის წინა შუა ნაწილი ამობურცული ფორმისაა. ენის წვერი ქვედა წინა კბილებზე ძევს. ბაგეები ქმნის ხშვას. ხმის ტონი აღემატება ჩქამს.

**Pelz** [p<sup>h</sup>ɛlts] – **März** [mɛrts]

**Panne** [p<sup>h</sup>anɔ] – **Mann** [man]

იგი ზოგჯერ ქმნის მარცვალს: **kaltm** [ˈkaltm], სხვა თანხმოვნებთან შედარებით უფრო გრძლივია. გერმანული [m] ინგლისურისაგან განსხვავებით ბაგეების სუსტი დაჭიმულობით წარმოითქმის, თავსართისა და ძირის შესაყარზე არ გრძელდება: **immigrant** [ˈimiˈgrɑnt], **immobil** [ˈimobi:l].

**Mehl** [me:l]

**Lehm** [le:m]

**Himmel** [ˈhiməl]

### ფრანგული [m]

წყვილბაგისმიერი ცხვირისმიერი (ნაზალური) ხშული თანხმოვანი (სონორი<sup>2</sup>).

ჩამოშვებული ნაჩის გამო ბაგეები ოდნავ უფრო სუსტად არის დახშული, ვიდრე [p]-ს წარმოთქმისას. ამავე მიზეზით, პირის ღრუში ჰაერის წნევა არ ვითარდება. [m] გრძელდება სიტყვათშესაყარზე ან შესაბამისი ბგერების გაორმაგებისას **im-** თავსართით დაწყებულ სიტყვებში: **immatériel** [immat'eʁjɛl], **immobil** [immoˈbil], მაგრამ: **immangeable** [imɑ̃ˈʒabl], **immédiat** [imeˈdja], **immigrant** [imiˈgrɑ̃].

**papa** [paˈpa] – **maman** [maˈmɑ̃]

**Paris** [paˈʁi] – **mari** [maˈʁi]

ფრანგული [m] მარცვლისშემქმნელი არ არის, მისი ყრუ ვარიანტი გვხვდება სიტყვის თავში [s], [z] ბგერების წინ: **monsieur** [mɔ̃sjø]; სიტყვის ბოლოს – **spasm** [spasm], **dogm** [dɔgm]; ყრუ თანხმოვნების წინ და შორისდებულებში ფიქსირდება [m]-ს ნახევრად ყრუ ვარიანტი: **aines-tu?** [ɛ-m-ˈty?], **hem** [ɛm], სიტყვის ბოლოს წარმოითქმის უკიდურესად მოკლედ. ფრანგული [m] ინგლისურისა და გერმანულისაგან განსხვავებით, სიტყვის ბოლოს წარმოითქმის, როგორც მსკლომი ბგერა: **somme** [sum] (Голубев, Смирнова 2005: 83). ფრანგი მოძღვრალი ფრაზაში: **je t'aime** – სიტყვა **aime**-ის დასაყოვნებლად წარმოთქვამს [ɛ:] -ს გრძელ, ხოლო [m]-ს მოკლე ვარიანტს.

**même** [mɛ:m], **âme** [ɑ:m], **aimant** [ɛ.ˈmɑ̃]

<sup>1</sup> გერმანული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიით – Sonorant ან Sonorlaut

<sup>2</sup> ფრანგული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიით – sonante.

## ქართული ნ [n]

წინაენისმიერი დენტოალვეოლარული ცხვირისმიერი (ნაზალური) ხშული თანხმოვანი (სონორი).

ენის წვერი ებჯინება ზედა კბილებისა და ალვეოლების საზღვარზე. ბაგეები თავისუფალია, ქვედა ყბა ოდნავ დაშვებულია, ენის გვერდითი კიდეები საღეჭ კბილებს ეხება, რბილი სასა მოღუნებულია, ნაჩი ჩამოშვებულია და ჰაერნაკადი ცხვირის ღრუში გადის. ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადის ერთი ნაწილი გადის ცხვირის ღრუში, ხოლო მეორე ნაწილი განხშვის შემდეგ გამოედინება პირის ღრუდან (მრეკლიშვილი 1949: 74; ჟღენტა 1956: 155). ნ-ს წინაენისმიერი ხშვა შერწყმულია მომდევნო წინაენისმიერ თანხმოვანთან, ამიტომ ამ შემთხვევაში ნ-ს განხშვა ცალკე არ ხორციელდება: ანბა, ანთება. ლ თანხმოვნის მსგავსად ყრუდება ორ ყრუ თანხმოვანს შორის: ბუქნს [buk<sup>h</sup>ɲs], ხრახნს [χraxɲs] (ახვლედიანი 1999: 46).

ნანა [nana]

ამან [aman]

ვენახი [venaxi]

ბუნებრივია, რომ ნაზალური თანხმოვნები კოარტიკულაციის შედეგად იწვევენ მეზობელი ხმოვნების ნაზალიზაციას, განსაკუთრებით ორი ნაზალის შუაში. ამიტომ, ქართულმა მეტყველებამ რომ „ფრანგული ელფერი“ არ შეიძინოს, ხმოვნები უნდა წარმოითქვას მინიმალური ნაზალიზაციით.

## ინგლისური [n]

წინაენისმიერი აპიკალური ცხვირისმიერი ხშული თანხმოვანი (სონორი).

ენის კორპუსი ოდნავ უკან არის გადაწეული. ენის წვერი ალვეოლებს ებჯინება. ინგლისური სონორების წარმოებაში ჩქამი არ მონაწილეობს.

debt [det] – net [net]

deed [di:d] – need [ni:d]

[n] ინგლისურში უფრო უკანა წარმოებისაა, ვიდრე ფრანგულში და ოდნავ უფრო უკანა წარმოების, ვიდრე გერმანულში (Голубев, Смирнова 2005: 85). ფრანგული [n]-საგან განსხვავებით, ინგლისური ბგერა ხშირად მარცვალშემქმნელია: often ['ɒ-fɪ], ['ɔ:-fɪ]; mutton ['mʌ-tɪ], გერმანულთან შედარებით აქვს უფრო დაბალი ტემბრი და სიტყვის შუაში წარმოითქმის მოკლე: annals ['ænlz]. [n]-ს კბილისმიერი ვარიანტი გვხვდება [θ]-სა და [ð]-ს წინ: anthem ['æθ(ə)m], on them ['ɒn ð(ə)m].

nine [naɪn]

inn [ɪn]

manner ['mænə]

## გერმანული [n]

წინაენისმიერი აპიკალური ცხვირისმიერი სმული თანხმოვანი (სონორი).

პირი ოდნავ ღიაა. ენა წინ წამოწეულია. ენის წვერი ზედა კბილების ალვეოლებთან წარმოქმნის ხშვას, ენის გვერდითი კიდეები ზედა ყველა გვერდით კბილს ეხება. ნაქი ჩამოშვებულია. ხმის ტონი ჩქამს აღემატება. [m], [n], [l] სონორები სხვა თანხმოვნებთან შედარებით უფრო გრძლივები არიან.

**Dame** ['da:ma] – **Name** ['na:mə]

**dicht** [dɪçt] – **nicht** [nɪçt]

იგი უფრო უკანა წარმოებისაა, ვიდრე ფრანგულში, მარცვალშემქმნელია: **bieten** ['bi:-tɪ], **schreiben** ['ʃraɪ-bɪ]. წარმოითქმის ენის წვერით, მაშინ, როცა ინგლისური [n]-ს წარმოსათქმელად სასისაკენ ასევე აიწევს ენის წინა ნაწილიც (Голубев, Смирнова 2005: 85). ხშვა კბილებთან ოდნავ ახლოს ხდება, ვიდრე ინგლისური [n]-ს შემთხვევაში. გერმანული [n] თავსართის და ძირის შესაყარზე არ გრძელდება: **Innovation** ['ɪnova'tsɪo:n].

**nein** [naɪn]

**tun** [tʰu:n]

**Luna** ['lu:na:]

## ფრანგული [n]

წინაენისმიერი აპიკალური ცხვირისმიერი სმული თანხმოვანი (სონორი).

ბგერის არტიკულაცია [t]-სა [d]-ს არტიკულაციას ემთხვევა, მაგრამ ნაქი დაშვებულია. ენა სასისკენაა აწეული. ენის წვერი მთელი ძალით ებჯინება ზედა კბილებს. ბაგეები მომდევნო ხმოვნის წარმოსათქმელ პოზიციას იკავებს. [d]-სთან შედარებით ნაკლებ დაჭიმულია. გრძელდება მსოლოდ სიტყვათშესაყარზე ან შესაბამისი ბგერების გაორმაგებისას **in-** თავსართით დაწყებულ სიტყვებში: **innombrable** [ɪnɔ̃-'brabl], **inné** [in'ne], მაგრამ: **innerver** [inɛr've], **innover** [ino'vel], **innocent** [ino'sɑ̃].

**dette** [dɛt] – **nette** [net]

**dit** [di] – **nid** [ni]

ფრანგულში [n] უფრო წინა წარმოებისაა, ვიდრე გერმანულში ან ინგლისურში. ენის წვერი ეხება არა ალვეოლებს, არამედ ზედა კბილებს. [n]-ს ყრუ ვარიანტი გვხვდება სიტყვების დასაწყისში [s], [z]-ს წინ: **Ne sais-tu pas?** [nse ty 'pa?]. ყრუ თანხმოვნების წინ [n]-ს ნახევრად ყრუ ვარიანტი გვესმის: **Devines-tu?** [dəvin'ty?]. ინგლისურისა და გერმანულისაგან განსხვავებით, სიტყვის ბოლოს წარმოითქმის როგორც მსკლომი: **bonne** [bɔ̃n]. ფრანგული [n] არ არის მარცვალშემქმნელი.

**natte** [nat]

**une** [yn]

**panneau** [pa'no]

## ინგლისური [ŋ]

უკანაენისმიერი ცხვირისმიერი ხშული თანხმოვანი (სონორი).

ენის ზურგის უკანა ნაწილი ჩამოშვებულ რბილ სასას ებჯინება. წინა რიგის ხმოვნების შემდეგ ხშვის ადგილი მაგარი სასისაკენ ინაცვლებს: **a song – to sing**. ენის წვერი დაშვებულია. ტონი აღმატება ჩქამს. [ŋ]-ს შემდეგ [k] და [g] განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმოითქმის, რომლებიც ტრანსკრიფციაშია დაფიქსირებული: **England** [ˈɪŋɡlənd]<sup>1</sup>.

**sin** [sɪn] – **sing** [sɪŋ]

**win** [wɪn] – **wing** [wɪŋ]

**singer** [sɪŋə]

ინგლისური [ŋ] შეესატყვისება გერმანულ შესამამის ბგერას. ინგლისურ გაბმულ მეტყველებაში [ŋ] სონორმა შესაძლებელია შექმნას მარცვალი: **I can** [aɪ kæn], [aɪ kŋ], [aɪ kŋ].

## გერმანული [ŋ]

უკანაენისმიერი ცხვირისმიერი ხშული თანხმოვანი (სონორი).

ება დაშვებულია. ენის ზურგის უკანა ნაწილი ჩამოშვებული რბილი სასისკენაა აწეული და ხშვას წარმოქმნის, ენის გვერდითი კიდეები უკანა გვერდით კბილებს ეხება. წინა რიგის ხმოვნების შემდეგ ხშვის ადგილი მაგარი სასისაკენ ინაცვლებს: **lang – eng, Gang – dängen, fangen – bringen**. ბაგეების მდგომარეობა და პირის ღიაობა მომდევნო ხმოვანზეა დამოკიდებული. განხშვა არ არის მყისიერი. ხმის ტონი ჩქამს აღმატება. გერმანული [ŋ] გვხვდება მხოლოდ მოკლე ხმოვნების შემდეგ, შეესატყვისება ინგლისურ [ŋ]-ს.

**dient** [di:nt] – **Ding** [dɪŋ]

**Ahn** [ˈa:n] – **Angst** [ˈaŋst]

**streng** [ʃtrɛŋ]

**Menge** [ˈmɛŋə]

[ŋ] სონორმა, ინგლისურის მსგავსად, შესაძლებელია გაბმულ მეტყველებაში წარმოქმნას მარცვალი: **biegen** [ˈbi:ɡŋ], [ˈbi:ɡŋ].

---

<sup>1</sup> ინგლისურსა და გერმანულში [ŋ]-ს ნაცვლად [ŋɡ] ან [ŋk] დაბოლოებები მხოლოდ დიალექტებში გვხვდება (Голубев, Смирнова 2005: 87).

## ფრანგული [ი]

უკანაენისმიერი ცხვირისმიერი ხშული თანხმოვანი (სონორი).

ენის ზურგის უკანა ნაწილი ჩამოშვებულ რბილ სასას ებჯინება. ენის წვერი დაშვებულია. ხმის ტონი ჩქამს აღემატება. გვხვდება მხოლოდ ინგლისური ენიდან ნასესხებ სიტყვებში.

**camp** [kɑ̃]

**camping** [kɑ̃.'piŋ]

**moniteur** [mɔni'tœ:ʀ]

**monitoring** [mɔnita'niŋ]

შეესატყვისება ინგლისურ [ი]-ს. ბგერა [ი] გვხვდება მხოლოდ ინგლისური ენიდან ნასესხებ სიტყვებსა და ვალონურ დიალექტში (verviétois): **bien** [bɛŋ], **rien** [rɛŋ], **long** [lɔŋ].

**marketing** [mɑʀke'tiŋ]

## ფრანგული [ი]

შუაენისმიერი პალატალური ცხვირისმიერი ხშული თანხმოვანი.

ენის ზურგის შუა ნაწილი ამოზნექილია მაგარი სასის შუაში დახშვის ადგილამდე, რომელიც მაგარი სასის მთელ უკანა ნაწილს მოიცავს. ხშვის ადგილი ემთხვევა [j]-სა და [i]-ს დავიწროების ადგილს. ენის წვერი ქვედა საჭრელ კბილებს ეხება. ნაქი დაშვებულია. ბაგეების მდგომარეობა მომდევნო ხმოვანზეა დამოკიდებული. ხმის ტონი ჩქამს აღემატება. ოდნავ გრძელია, ვიდრე სხვა თანხმოვნები.

**peine** [pɛn]

**peigne** [pɛŋ]

**banne** [ban]

**bagne** [baŋ]

ინგლისურსა და გერმანულში მსგავსი ბგერები არ გვაქვს. ყრუ თანხმოვნების წინ, განსაკუთრებით ხშულებთან, ნაწილობრივ კარგავს მჟღერობას: **gagne-pain** [gɑŋ'pɛ̃]. ველარული ბგერა [ი] ძირძველ ფრანგულ სიტყვებში არ არის. ფრანგული [ი] არ შეიძლება შეიცვალოს [ი] ბგერებით და **indigné**-სა და **vignoble**-ის ნაცვლად წარმოითქვას **indinié** და **viniole**. [n]/[n']-ისაგან განსხვავებით, [ი]-ს წარმოთქმისას ენის წვერი მდებარეობს არა ზედა, არამედ ქვედა კბილების უკან.

**gnole** [iɔ]

**montagne** [mɔ̃.'tɑŋ]

**magnanime** [majɑ'nim]

## 13.6. გვერდითი თანხმოვნები (ლატერალები)

### ქართული ლ

წინაენისმიერი დენტალვეოლარული გვერდითი (ლატერალური) ხშულ-ნაპრალოვანი თანხმოვანი (სონორი).

ენის წვერი ებჯინება წინა კბილების ცოტა ზემოთ. ბაგეები თავისუფალია, ქვედა ყბა დაშვებულია, ენის ძირი აწეულია. ჰაერნაკადი გამოდის ენის გვერდებსა და ლოყებს შუა, არტიკულაცია სრულდება მიბჯენილი ენის წვერის მოსხლეტით (მრევლიშვილი 1949:76; ჟღენტი 1956:150). ქართული ლ აკუსტიკური შთაბეჭდილებით არც მაგარია და არც რბილი და ახლოს დგას გერმანულთან, მისი არტიკულაცია მეტად არის დამოკიდებული ხმოვნების გარემოცვაზე, წინა რიგის ხმოვნებთან ოდნავ რბილდება, ხოლო სხვებთან ოდნავ მაგარია. განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ ა, ო ხმოვნებთან „ოდნავ დარბილებული და მოდუნებული“ ლ-ს წარმოთქმას. ლ ყრუვდება ან საერთოთ ამოვარდება ორ ყრუ თანხმოვანს შორის **სახლს, სახ(ლ)ში** (ახვლედიანი 1999: 44).

ლალე [lale].

მივალ [mival]

ქალი [k<sup>h</sup>ali]

### ინგლისური [l], [ɫ]

წინაენისმიერი აბიკალური ლატერალური (გვერდითი) ხშულ-ნაპრალოვანი თანხმოვნები (სონორი):

[l] – დაძაბული

[ɫ] – არადაძაბული.

ენის წვერი მჭიდროდ ებჯინება ალვეოლებს, ენის გვერდითი კიდეები დაშვებულია და გვერდით გასასვლელებს ქმნის. ენის კორპუსი მომდევნო ხმოვნის წარმოსათქმელ მდგომარეობასთანაა მიახლოებული. [l]-ს წარმოთქმისას ენის მდგომარეობა [ɫ] ხმოვანს შეესატყვისება, ხოლო [ɫ]-ს წარმოთქმისას – [ɫ] ხმოვანს. [l]-ს ტემბრი დამოკიდებულია მეზობელი ბგერების ბუნებაზე. ჩვეულებრივ, მისი უფრო „მუქი“ ვარიანტი [ɫ] წარმოითქმის სიტყვის ბოლოს და თანხმოვნების წინ, სიტყვის ბოლოს იგი გაცილებით უფრო ხანგრძლივია. [l] სიტყვის შუაში ყოველთვის მოკლედ ჟღერს: **alliteration** [əˈlɪtəˈreɪʃ(ə)n].

**tell her** [ˈtɛl hɜː] – **tell me** [ˈtɛl miː]

**tell you** [ˈtɛl juː] – **tell them** [ˈtɛl ðəm]

გერმანული ან ფრანგული [l]-საგან განსხვავებით, ინგლისური [ɫ] ხშირად მარცვალშემქმნელია და ამ დროს იგი არ ყრუვდება, როგორც ეს ფრანგულის შემთხვევაშია: **people** [piːpl], **little** [lɪ-tl], **castle** [kɑːsl]. ინგლისური „ნათელი“ [l] გერმანული [l]-ს შესაბამისია. მჟღერობის დაკარგვა მახვილიან მარცვალში ყრუ თან-

ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ხდება: **play** [pʰleɪ], **slit** [sʰlɪt]. „ნათელი“ [I] წარმოითქმის იმ შემთხვევაშიც კი, როცა რიტმული ჯგუფის შიგნით ბოლოკიდურ I-ს ან II-ს მოსდევს სიტყვა, რომელიც ხმოვნით ან [j]-ით იწყება: **fill it** [ˈfɪl ɪt]. [θ]-სა და [ð]-ს წინ გვხვდება [I]-ს კბილისმიერი ვარიანტი: **health** [helθ], **tell them** [ˈtel ðəm]. [I]-სა და [tʃ]-ს წარმოსათქმელად საკმარისია ერთი გვერდითი ნაპრალის წარმოქმნა.

**let** [let] – **tell** [tʰet]

**belong** [brɪlɒŋ] – **belt** [bɛt]

### გერმანული [I]

წინაენისმიერი აპიკალური გვერდითი ხშულ-ნაპრალოვანი თანხმოვანი (სონორი).

ქვედა ყბა ოდნავ დაშვებულია. ენის ზურგის შუა და უკანა ნაწილები, ასევე მისი გვერდითი კიდეები დაშვებულია და გვერდით გასასვლელებს ქმნის. ენის წვერი ალვეოლებთან წარმოქმნის ხშვას. ზედა ბაგე ოდნავ აწეულია, ბაგეები მოშვებულია. ნაქი აწეულია. [I] სონორი დაჭიმული ბგერაა, მას „მუქი“ ვარიანტი არ გააჩნია, გრძელდება მხოლოდ რთულ სიტყვებში: **Stilleben** [ˈʃtɪl,le:bən], მაგრამ არა თავსართისა და ძირის შესაყარზე: **illegal** [ˈɪleɡa:l], **illoyal** [ˈɪlɔja:l]. ხმის ტონი ჩქამს აღემატება.

**Lob** [lo:p]

**Luft** [lʊft]

**Lampe** [ˈlampə]

**leicht** [laɪçt]

გერმანული [I] შეიძლება მარცვალშემქმნელი იყოს: **Vogel** [fo:g], **Gabel** [ga:b]. ჩრდილოეთ გერმანიაში ბოლოკიდური [I]-ს წინ ისმის [ə] ბგერა: **Schnabel** [ˈʃna:bəl]. ფრანგული ენის შესაბამისი ბგერის ანალოგიურია. წინა რიგის ხმოვნების წინ ოდნავ რბილდება: **Blick** [blɪk], **Glück** [ɡlʏk], **Kleid** [klaɪt], რადგან სასისაკენ მხოლოდ ენის წვერი იწვევს.

**Lenz** [lɛnts]

**voil** [fɔl]

**Puls** [pʊls]

### ფრანგული [I]

წინაენისმიერი აპიკალური გვერდითი ხშულ-ნაპრალოვანი თანხმოვანი (სონორი).

ენის წვერი ზედა კბილების ალვეოლებს ებჯინება. ენის კორპუსი შევიწროებულია, ენის გვერდითი კიდეები ლოყებს მოშორებულია, ორივე მხარეს ნაპრალები რჩება, რომლებშიც ჰაერნაკადი გაედინება. ბაგეები მომდევნო ხმოვნის შესაბამის მდგომარეობას იკავებს. [I] ნაკლებ დაძაბულია, ვიდრე [d], გრძელდება

მხოლოდ სიტყვათშესაყარზე, ან გაორმაგებისას **il-** თავსართიანი სიტყვის შემთხვევაში: **illicite** [illi'sit], **illettré** [ille'tre].

**l'eau** [lo]

**loup** [lu]

**lit** [li]

**lu** [ly]

ფრანგული [l] არასდროს არ ქმნის მარცვალს – [pœpl] (ერთი მარცვალაია), ბოლოკიდურ პოზიციაში ყრუვდება თანხმოვნის შემდეგ: **boucle** [bukl], **table** [tabl], ხოლო სიტყვის შუაში და ყრუ თანხმოვნების შემდეგ ყრუვდება ნაწილობრივ: **calpin** [kal'pɛ̃], **clair** [kle:R]. ფრანგული [l] შეესატყვისება ინგლისური [l]-ს „ნათელ“ ვარიანტს და გერმანული შესაბამისი ბგერის ანალოგიურია. [l] ფრანგულ წარმოთქმაში წინა რივის ხმოვნების წინ და განსაკუთრებით [i]-სა და [j]-ს წინ, ოდნავ რბილდება, ანუ ენის წინა ნაწილის ზედაპირი მაგარ სასას ებჯინება. აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ბოლოკიდური [l]-ს განხშვას. მჟღერი და მკაფიო [l]-ს წარმოსათქმელად ორივე გვერდითი ნაპრალი საკმაოდ ფართო უნდა იყოს.

**lait** [le]

**tel** [tɛl]

**culte** [kylt]

### 13.7. მთრთოლი თანხმოვნები (ვიბრანტები)

ინგლისური, გერმანული, ფრანგული [r]

აპიკალური ალვეოლარული მთრთოლი (სონორი).

პირი ოდნავ ღიაა. ენის შუა და უკანა ნაწილები დაწეულია, გვერდითი კიდეები ზედა კბილებს ეხება. ენის წვერი ალვეოლების უკანა ნაწილთან ვიბრირებს, მონაცვლეობით წარმოქმნის ხან ხშვას, ხან ნაპრაღს. ვიბრაციის რაოდენობა ერთი ან ორია. ბაგეები არ არის დაჭიმულია. ტონი აღემატება ჩქამს. მთრთოლი [r] დამახასიათებელია სასცენო მეტყველებისათვის, გარდა ამისა იგი გვხვდება ინგლისის ჩრდილოეთში, ასევე შოტლანდიაში: **merry** ['meri], **with respect** [wið ris'pekt], **better and better** ['betər ənd 'betə]. [r]-ს ვიბრაცია გერმანულში უფრო მკაფიოდ ისმის, ვიდრე ინგლისურში. გერმანულში ალვეოლარული [r], უველარული [R] და [ʀ] ერთი ფონემის ვარიანტებად ითვლება, აღსანიშნავია, რომ მთრთოლი [r] თითქმის უკამონაკლისოდ მხოლოდ გერმანული ენის სამხრეთულ ვარიანტებში გვხვდება. ფრანგული [r] (*r roulé*) წარმოადგენს ფონემის სამხრეთულ ვარიანტს. მას აგრეთვე უპირატესობას ანიჭებენ სასცენო მეტყველებაში. ერთდარტყმიანი [r] ინგლისურში ხშირად ისმის ხმოვნებს შორის და [θ], [ð] ბგერების წინ: **carry** ['kæri], **for ever** [fər 'evə], **throw** [θrəʊ].

## გერმანული, ფრანგული [R]

უკანაენისმიერი უვულარული მთრთოლი (სონორი).

პირის ღრუ ოდნავ უფრო ფართოდაა გაღებული, ვიდრე [r] -ს წარმოთქმისას. ენის ზურგის უკანა ნაწილი რბილი სასისკენაა აწეული, გვერდითი კიდეები უკანა გვერდით კბილებს ეხება. ენის წვერი წინა ქვედა კბილებზე ძევს. ნაქი ვიბრირებს. ბაგეები არ არის დაჭიმული. ტონი ჩქამს აღემატება.

**ფრანგულში** თანხმოვნების შემდეგ და სიტყვის დასაწყისში [R]-ს 3-4 ვიბრაცია აქვს: **roue** [RU], **crû** [kRY]; ხმოვნებს შორის, [i], [y], [j]-ის წინ, თანხმოვნების წინ და სიტყვის ბოლოს თანხმოვნების შემდეგ კი – 1-2 ვიბრაცია: **gourmé** [gur'me], **carré** [ka're], **or** [ɔ:r].

**გერმანულ** ენაში ბგერები [r], [R] გაცილებით ძლიერი სიტყვების თავში არიან ხმოვნების წინ: **Rat** [ra:t], [Ra:t]; თანხმოვნების წინ მოკლე ხმოვნების შემდეგ ერთჯერადი ვიბრაცია აქვთ: **kurz** [kʰʊrts], [kʰʊrts] (Голубев, Смирнова 2005: 96).. თანამედროვე გერმანულში ბგერები [r], [R] და [ʀ] ცალკეულ შემთხვევებში ვოკალიზდებიან.

*გერმანული* [R]

**rot** [RO:t], **Wort** [VɔRT]

*ფრანგული* [R]

**Qui vivra verra** [ki viv'ra ve''ra],

**Rira bien qui rira le dernier** [RiRa 'bjɛ̃ ɔ ki RiRa lə dɛR ''nje]

გერმანული და ფრანგული [R] იდენტურია: ნაქი ენის უკანა ნაწილს უახლოვდება ენის ძირის გასაყართან და იწყებს ვიბრირებას (Голубев, Смирнова 2005: 97). [R]-ს სწორად წარმოსათქმელად ენის ღარი საკმარისად ღრმა უნდა იყოს და რბილი სასა არ იყოს ძალზე დაშვებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაქი ვიბრირებას ვერ შეძლებს.

*გერმანული* [R]

**Rad** [ra:t]

**Brust** [BRʊst]

*ფრანგული* [R]

**rame** [Ram]

**Arabe** [a'rab]

**შენიშვნა:** [r] გავრცელებულია საფრანგეთის პატარა ქალაქებში, ხოლო [R] ბგერა პარიზსა და დიდ ქალაქებში. სიტყვის თავში ხმოვნის წინ დახმოვნის შემდეგ სიტყვის ბოლოს წარმოითქმის, როგორც მჟღერი: **rond** [rɔ̃], [Rɔ̃], სიტყვის ბოლოს ყრუვდება: **membre** [mɑ̃:br], [mɑ̃:br], [mɑ̃:bʁ], ნაწილობრივ ყრუვდება სიტყვების შუაში: **craie** [kre], [kre].

## ლიტერატურა

- გ. ახვლედიანი, *ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები*, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1938.
- გ. ახვლედიანი, *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები* (მეორე გამოცემა), სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1999.
- ც. ახვლედიანი, *ფრანგული ენის ფონეტიკა* (თეორიული კურსი), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011.
- ნ. გამყრელიძე, შ. კოტეტიშვილი, ი. ლეჟავა, ლ. ლორთქიფანიძე, ლ. ჯავახიძე, *ქართული ნორმატიული და დიალექტური მეტყველების ფონეტიკური ანალიზი*, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი 2006.
- თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თსუ გამომცემლობა, თბილისი 2008.
- შ. გაფრინდაშვილი, *საწარმოთქმო დაბრკოლებათა რავგარობის საკითხი ქართულში*, იკე, XII, 1960.
- გ. დოლიძე, *ჰ თანხმოვნის ფიზიოლოგიისათვის ქართულში*, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X, გვ. 417-418, 1955.
- მ. მრეკლიშვილი, *ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები*, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი 1949.
- ს. ჟღერტი, *ქართული ენის ფონეტიკა*, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1956.
- ტ. ფუტყარაძე, მ. მიქაუტაძე, *ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა*, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2014.
- ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I. მორფოლოგია*, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1973.
- ზ. ჯაფარიძე, *ქართულ ბგერათა სისტემა და მეტყველების სინთეზის ზოგი საკითხი*, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, 1995.
- Л. К. Гамсахурдия, *Шумные смычные фонемы грузинского языка*, Фонетический сборник I, Издательство ТГУ, Тбилиси 1961.
- А. П. Голубев, И. Б. Смирнова, *Сравнительная фонетика английского, немецкого и французского языков*, Москва 2005.
- И. Лежава, *Некоторые вопросы сопоставительного анализа консонантизма русского и грузинского языков*, Сборник трудов посвящается 85-летию Г. И. Цибахашвили, “Универсали”, Тбилиси 2006.
- Ts. Akhvediani, *Phonétique de la langue française*, Tbilissi 2011.
- F. Carton, *Introduction à la phonétique du français*, Paris 1974.
- P. Delarttre, *The Phonetic Features of English, French, German and Spanish*, L., Toronto: Wellington, Sydney 1965.
- K. J. Kohler, *Einführung in die Phonetik des Deutschen*. Berlin: Erich Schmidt Verlag, 1995.
- O.G. Kosmin, G. A. Sulemova, *Praktische Phonetik der deutschen Sprache*, Москва 1990.
- E. M. Krech, E. Stock, U. Hirschfeld, L. C. Anders, *Deutsches Aussprachewörterbuch*. Berlin 2009.
- Ch. W. Kreidler, *The Pronunciation of English (A Course Book)*, Blackwell Publishing, 2004.
- G. Lindner, *Der Sprechbewegungsablauf. Eine phonetische Studie des Deutschen*. Akademie – Verlag – Berlin, 1975.
- Longman Dictionary of Contemporary English*, New Edition, London 1992.
- J. Mayer, *Linguistische Phonetik*, Universität Stuttgart 2010.
- G. Meinhold, E. Stock, *Phonologie der deutschen Gegenwartssprache*, Leipzig 1982.